

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის

ბრძანება №1395

2011 წლის 2 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამწყობრო წესდების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამწყობრო წესდება“ თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის

სპეციალური სამსახურის უფროსი

სახელმწიფო დაცვის გენერალ-მაიორი თ. ჯანაშია

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2012 წლის 13 თებერვლის ბრძანება №167 - ვებგვერდი, 15.02.2012წ.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამწყობრო წესდება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესდების მიზანი

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სამწყობრო წესდება (შემდგომში – წესდება) განსაზღვრავს სამწყობრო ილეთებს, იარაღითა და უიარაღოდ მოძრაობის წესებს, მხედრულად მისაღმებისა და სამწყობრო დათვალიერების ჩატარების წესს, მწყობრში დროშის გამოტანისა და შეტანის წესს, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა (შემდგომში – მოსამსახურეთა) მოვალეობებს მწყობრში ყოფნისას და მოთხოვნებს სამწყობრო სწავლების დროს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **მწყობრი** – ერთობლივი მოქმედებისათვის მოსამსახურეების წესდებით დადგენილი განლაგება;
2. **მწკრივი** – ერთმანეთის გვერდით, ერთ ხაზზე, ქვეითად განლაგებულ მოსამსახურეთა ერთობლივი მწყობრი;
3. **რიგი** – ერთმანეთის ზურგს უკან, ერთ ხაზზე, ქვეითად განლაგებულ მოსამსახურეთა ერთობლივი მწყობრი;
4. **ფლანგი** – მწყობრის მარჯვენა (მარცხენა) დაბოლოება. მწყობრის მობრუნებისას სახელწოდება არ იცვლება;
5. **ფრონტი** – მწყობრის ის მხარე, რომლისკენაც მოსამსახურეები სახით არიან მიქცეული;
6. **მწყობრის ზურგის მხარე** – ფრონტის საპირისპირო მხარე.
7. **ინტერვალი** – მანძილი მოსამსახურეთა შორის ფრონტის მიხედვით.

8. **დისტანცია** – მოსამსახურეთა შორის მანძილი სიღრმეში.
9. **მწყობრის სივანე** – მანძილი ფლანგებს შორის;
10. **მწყობრის სიღრმე** – მანძილი პირველი მწკრივიდან (წინ მდგომი მოსამსახურიდან) ბოლო მწკრივამდე (ბოლოში მდგომ მოსამსახურემდე).
11. **მიჯრილი მწყობრი** – ერთიმეორისაგან დოინჯის ინტერვალით დაშორებული მოსამსახურეების ფრონტით განლაგებული მწკრივები.
12. **გაჯრილი მწყობრი** – ერთიმეორისაგან ნორმალური (განმკლავის) ან მეთაურის მიერ მითითებული ინტერვალით დაშორებული მოსამსახურეების ფრონტით განლაგებული მწკრივები.
13. **კოლონა** – მწყობრი, რომელშიც მოსამსახურეები ერთმანეთის ზურგს უკან დგანან. კოლონები შეიძლება თითო-თითოდ, ორ-ორად, სამ-სამად, ოთხ-ოთხად და უფრო მეტად იყვნენ მონწყობილი. კოლონა, რომელშიც ოთხი ან ოთხზე ნაკლები სამხედრო მოსამსახურეა, ყოველთვის თითო-თითოდ მოეწყობა.
14. **გაშლილი მწყობრი** – პირადი შემადგენლობის ფრონტისკენ ერთ ხაზზე ერთმწკრივად, ორმწკრივად ან სამმწკრივად წესდების შესაბამისად ან მეთაურის მიერ მითითებული ინტერვალით განლაგება. გაშლილ მწყობრს შემოწმების, დათვალიერების, აღლუმებისა და სხვა აუცილებელ ღონისძიებათა ჩასატარებლად იყენებენ;
15. **სალაშქრო მწყობრი** – პირადი შემადგენლობის კოლონებად მონწყობა, რომლებიც ერთმანეთს მიჰყვებიან წესდებით განსაზღვრულ ან მეთაურის მიერ მითითებულ დისტანციაზე.
16. **მიმართველი** – თავში მდგომი მოსამსახურე, რომელიც მოძრაობს მითითებული მიმართულებით. დანარჩენმა მოსამსახურეებმა თავიანთი მოქმედება მიმართველს უნდა შეუსაბამონ.
17. **ჩამკეტი** – მოსამსახურე, რომელიც კოლონის ბოლოში მოძრაობს.
18. **მწყობრის მართვა** – კომანდებითა და ბრძანებებით განხორციელებული მართვა, რომლებსაც მეთაური გასცემს ხმით და პირადი მაგალითით, აგრეთვე ტექნიკური და მოძრავი საშუალებებით. მწყობრში უფროსი მეთაური იმყოფება იქ, საიდანაც უკეთესად შეიძლება პირად შემადგენლობას უხელმძღვანელოს. დანარჩენი მეთაურები კომანდებს იძლევიან იმ ადგილიდან, რომელიც წესდებით ან უფროსი მეთაურის მიერ არის დადგენილი. ოცეულების მეთაურებსა და მათ ზემდგომთ, სალაშქრო მწყობრში ყოფნისას, მწყობრიდან გამოსვლის უფლება აქვთ მხოლოდ კომანდების გასაცემად და მათი შესრულების შესამოწმებლად.
19. **კომანდები** – წინასწარი და შესასრულებელი კომანდები. კომანდა შეიძლება მხოლოდ შესასრულებელიც იყოს.
20. **წინასწარი კომანდა** – მკაფიოდ, ხმამაღლა და გაგრძელებულად გაცემული კომანდა, რომლის მიზანია მწყობრში მდგომმა მოსამსახურეებმა გაიგონ, რას მოითხოვს მათგან მეთაური. ყოველი წინასწარი კომანდის გაცემისას მოსამსახურეები, რომლებიც მწყობრში ან მწყობრს გარეთ ადგილზე იმყოფებიან, „სმენაზე“ დგებიან, ხოლო მოძრაობისას – სამწყობრო ნაბიჯზე გადადიან.
21. **შესასრულებელი კომანდა** – პაუზის შემდეგ, ხმამაღლა, დამარცვლითა და მკაფიოდ გაცემული კომანდა. შესასრულებელი კომანდის გაცემისთანავე ხდება მისი დაუყოვნებლივ და ზუსტად შესრულება. პირადი შემადგენლობის ან ცალკეული მოსამსახურის ყურადღების მისაქცევად, კომანდაში, საჭიროების მიხედვით, შეიძლება კონკრეტულად მიეთითოს შენაერთი (ათეული, ოცეული და ა.შ.) ან/და მოსამსახურის წოდება და გვარი.

თავი II

სამწყობრო მომზადება და სწავლების მეთოდები

მუხლი 3 . ინსტრუქტაჟის მეთოდები

1. სამწყობრო ილეთების შესრულების სიზუსტეს და ერთდროულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მეთაურის მიერ მწყობრის პროფესიონალური ორგანიზება და ინსტრუქტაჟის მეთოდების გამოყენება;

2. სამწყობრო მომზადების დროს საჭიროების მიხედვით გამოიყენება ინსტრუქტაჟის შემდეგი მეთოდები:

- ა) ახსნა-განმარტება;
- ბ) დემონსტრირება;
- გ) პრაქტიკული შესრულება;
- დ) დათვლა;
- ე) ერთდროული სწავლება,

2. თითოეული ილეთისათვის დამახასიათებელი თავისებურების შესწავლა იძლევა სწავლებისთვის ყველაზე შედეგიანი მეთოდის შერჩევის შესაძლებლობას. მაგალითად: რეკომენდებულია მარშირების მოძრაობების „ერთდროული სწავლების“ მეთოდით მომზადება; მოსამსახურის და ქვედანაყოფის მრავალგზისი ან ერთობლივად შესასრულებელი მოძრაობების ათვისებისათვის – „ახსნა-განმარტების“ მეთოდის გამოყენება; ორ ან მეტ თვლაზე შესასრულებელი მოქმედებების სწავლებისთვის – „დათვლის“ მეთოდის გამოყენება.

მუხლი 4. ახსნა-განმარტება

ახსნა-განმარტების დროს, მეთაური:

- ა) ასახელებს სამწყობრო ილეთს;
- ბ) ასრულებს სამწყობრო ილეთს;

გ) გასცემს კომანდას ილეთის შესრულებისათვის და მოსამსახურეებს უხსნის კომანდის შემადგენელ ნაწილებს (წინასწარი და შესასრულებელი კომანდა), განმარტავს, თუ რა შემთხვევებშია საჭირო გადაადგილების შეწყვეტა (დამატებითი კომანდები).

მუხლი 5. დემონსტრირება

დემონსტრირების ეტაპზე მეთაურს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდები. ის პირადად აჩვენებს გადაადგილების ილეთს და იცვლის პოზიციას საჭიროებისამებრ, რომ შეინარჩუნოს პირად შემადგენლობასთან კონტაქტი.

მუხლი 6. პრაქტიკული შესრულება

პრაქტიკის ეტაპზე სამწყობრო ილეთები იმავე სახით სრულდება, როგორც დემონსტრირებისას, იმ განსხვავებით, რომ მეთაური იყენებს ქვედანაყოფის სიდიდის შესაბამის დასახელებას. ის ქვედანაყოფს არ აძლევს ჩვეულებრივი ტემპით მოძრაობის უფლებას მანამდე, ვიდრე ეს უკანასკნელი სამწყობრო ილეთს (ინსტრუქციის შესაბამისად) დამაკმაყოფილებლად არ შეასრულებს.

მუხლი 7. დათვლა

სამწყობრო მომზადებაში დათვლის მეთოდის გამოყენებისას, სამწყობრო ილეთის დათვლით შესრულების დასაწყებად გაიცემა კომანდა – „დაითვალეთ“. კომანდა – „დათვლის გარეშე“ გამოიყენება თვლაზე შესასრულებელი მოძრაობების შესაწყვეტად და ჩვეულებრივ რიტმზე გადასასვლელად. დათვლის დროს გაერთიანებულია ახსნა-განმარტებისა და დემონსტრირების მეთოდები, კერძოდ, სამწყობრო მოძრაობების ახსნა და დემონსტრირება ხდება ერთდროულად, ერთ თვლაზე.

მუხლი 8. ერთდროული სწავლება

1. ერთდროული სწავლების დროს, სამწყობრო ილეთები ერთდროულად ისწავლება ახსნა-განმარტების და დემონსტრირების მეთოდების გაერთიანების საფუძველზე.

2. სამწყობრო ილეთის უკეთესი აღქმისათვის სამწყობრო ილეთის სწავლების პროცესი შეიძლება დაიყოს ხუთ ეტაპად:

- ა) წინასწარი კომანდის ეტაპი;
- ბ) შუალედური ეტაპი;
- გ) შესასრულებელი კომანდის ეტაპი;
- დ) მოქმედების ეტაპი;
- ე) დამატებითი ეტაპი.

3. მოსამსახურეს ეძლევა განმარტება, რომ შესასრულებელ კომანდაზე გადადგას მხოლოდ ერთი ნაბიჯი და გაჩერდეს ახალი კომანდის – „მოემზადეთ, ნაბიჯით – იარ“ გაცემამდე. ამ პერიოდში, როდესაც მოსამსახურე გაჩერებულია, მეთაური აკეთებს შესწორებებს და განუმარტავს მას შემდგომ მოქმედებას:

ა) „წინასწარ კომანდაზე – „პირდაპირ, ნაბიჯით“ (კომანდიდან „პირდაპირ, ნაბიჯით – იარ“) მკვეთრი მოძრაობების გარეშე, სხეულის სიმძიმე მარჯვენა ფეხზე გადაიტანეთ“;

ბ) „შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ (კომანდიდან „პირდაპირ, ნაბიჯით – იარ“) მარცხენა ფეხით გადადგით სრული ნაბიჯი. თავი, თვალები და ტანი გეჭიროთ, როგორც მდგომარეობაში „სმენა“. ხელები ამოძრავეთ ბუნებრივად, იდაყვის მოუხრელად, შარვლის გვერდითა ნაკერებიდან წინ 23 სმ-ისა და უკან 15 სმ-ის დაშორებით. თითები ოდნავ უნდა ეხებოდეს შარვალს, როგორც მდგომარეობაში „სმენა“;

გ) „შესასრულებელ კომანდაზე – „ნაბიჯით,“ (კომანდიდან „მოემზადეთ, ნაბიჯით“) გადადგით სრული ნაბიჯი უკან მდგომი ფეხით. თავი, თვალები და ტანი გეჭიროთ როგორც მდგომარეობაში „სმენა“. ხელები ამოძრავეთ ბუნებრივად, იდაყვი მოუხრელად, შარვლის გვერდითა ნაკერებიდან წინ 23 სმ-ისა და უკან 15 სმ-ის დაშორებით. თითები ოდნავ ეხებოდეს შარვალს, როგორც მდგომარეობაში „სმენა“;

დ) „მოძრაობის შესაწყვეტად გაიყვამ კომანდა „სდექ“. წინასწარი კომანდა – „რიგითო“, „ათეულო“ და სხვა (შესასრულებელ კომანდამდე „სდექ“) გაიყვამ მინაზე ნებისმიერი ფეხის დადგმისთანავე, ხოლო შესასრულებელი კომანდა – „სდექ“ გაიყვამ მინაზე იმავე ფეხის დადგმისთანავე. შეჩერება ხდება ორ თვლაზე“;

ე) „შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ (კომანდიდან „პირდაპირ, ნაბიჯით – იარ“) იდგმება სრული ნაბიჯი მარცხენა ფეხით. მინაზე ფეხის დადგმისთანავე გაიყვამ წინასწარი კომანდა: „რიგითო“, „ათეულო“ და სხვა (შესასრულებელ კომანდამდე „სდექ“);

ვ) „კომანდაზე – „ნაბიჯით“ (კომანდიდან „მოემზადეთ, ნაბიჯით“) გადადგით სრული ნაბიჯი უკან მდგომი ფეხით. ეს არის შუალედური (მოფიქრების) ეტაპი წინასწარ და შესასრულებელ კომანდებს შორის.“;

ზ) „შესასრულებელ კომანდაზე – „ნაბიჯით“ (კომანდიდან „მოემზადეთ, ნაბიჯით“) გადადგით სრული ნაბიჯი უკან მდგომი ფეხით. მინაზე ფეხის დადგმისთანავე, გაიყვამ შესასრულებელი კომანდა: „სდექ“ (კომანდებზე: „რიგითო, სდექ“, „მოემზადეთ, ნაბიჯით“, შეჩერება კომანდით „სდექ“ ხდება ორ თვლაზე“).

თ) „შესასრულებელ კომანდაზე – „ნაბიჯით“ (კომანდიდან „მოემზადეთ ნაბიჯით“) უნდა გადაიდგას სრული ნაბიჯი უკან მდგომი ფეხით. ეს არის დამატებითი ეტაპი შესასრულებელი კომანდის შემდეგ“;

ი) „შესასრულებელ კომანდაზე – „ნაბიჯით“ (კომანდიდან „მოემზადეთ, ნაბიჯით“) უკან მდგომი ფეხი უნდა მიედგას წინ მდგომ ფეხს, მიიღება მდგომარეობა „სმენა“ და წყდება მოძრაობა. ამ მოძრაობას

ჩვეულებრივი რიტმით ასეთი თანამიმდევრობა ეწეება: „პირდაპირ, ნაბიჯით – იარ“, „რიგითო – სდექ“, „თავისუფლად.“;

4. სასწავლო ვარჯიშის დამთავრების წინ, მეთაური არკვევს, ხომ არ აქვთ მოსამსახურეებს შეკითხვები სამწყობრო მოძრაობის შესრულებასთან ან ინსტრუქტაჟთან დაკავშირებით და ბოლოს გასცემს განკარგულებას – „დაიშალეთ“.

თავი III. საინსტრუქციო მეთოდика

მუხლი 9. მწკრივების განლაგება

1. სამწყობრო ილეთების დემონსტრირება და პრაქტიკული შესრულება საუკეთესოდ ხორციელდება მწკრივებში. მიზანშეწონილია მოსამსახურეებმა მოძრაობები ისწავლონ, რაც შეიძლება მცირერიცხოვან ჯგუფებში, იმისათვის, რომ თითოეულ მათგანს სათანადო ყურადღება მიეცეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ათეულის მონყობა შეძლებისდაგვარად ისწავლება ათეულის სიდიდის მწყობრში, ოცეულისა – მისი სიდიდის შესაბამის მწყობრში და ანალოგიურად ასეულის შემთხვევაში.

2. სწავლების დროს გამოიყენება მწკრივად მონყობა ნორმალური (განმკლავის) ინტერვალით. მეთაურს, მეტი მოხერხებულობისათვის, შეუძლია ჯარისკაცები დააყენოს მართკუთხედის ფორმით. ამისათვის გასცემს სათანადო კომანდას.

მუხლი 10. მწყობრი

1. მწყობრში ინსტრუქტაჟის დროს, კომანდები გაიცემა და მოსამსახურეები მოქმედებენ შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) კომანდაზე: „გაიშალეთ მარცხნისაკენ, ნაბიჯით – იარ“, მარჯვენა ფლანგზე მდგომი ყველა მოსამსახურე რჩება ადგილზე და გაშლის მკლავებს მხრის დონეზე, ხელისგულებით დაბლა. ყველა დანარჩენი მოსამსახურე ბრუნდება მარცხნივ და აჩქარებული ნაბიჯით მიდის წინ. საკმარისი რაოდენობის ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ისინი ჩერდებიან და შემობრუნდებიან მარჯვნივ, შლიან მკლავებს მარჯვენა ფლანგზე მდგომი მოსამსახურეების მსგავსად ისე, რომ ერთმანეთისაგან დაახლოებით 30 სმ-ით იყვნენ დამორებულნი, სწორება აქვთ მარჯვნივ და იმყოფებიან მდგომარეობაში „სმენა“;

ბ) კომანდაზე: „ხელები დაბლა – დაუშვით“, მოსამსახურეები მკვეთრად სწვევენ ხელებს დაბლა (როგორც დგომში „სმენა“);

გ) კომანდაზე: „მარცხნისაკენ“, ყველა ბრუნდება მარცხნივ;

დ) კომანდაზე: „გაიშალეთ მარცხნისაკენ, ნაბიჯით – იარ“, მოსამსახურეები გადაადგილდებიან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ე) შემდეგ სრულდება კომანდა – „ხელები დაბლა – დაუშვი“;

ვ) მომდევნო კომანდა – „მარჯვნისაკენ“, რომელზეც მოსამსახურეები ბრუნდებიან მარჯვნივ;

ზ) შემდეგ კომანდაზე – „ფრონტიდან სიღრმისაკენ – გაითვალეთ“ პირველი მწკრივის ჯარისკაცები აბრუნებენ თავს მარჯვნივ და იწყებენ გათვლას „პირველი“ და ა.შ. და თავს აბრუნებენ წინ. მომდევნო მწკრივების შემადგენლობაც იგივენაირად გაითვლის, ხოლო ბოლო მწკრივში მდგომი მოსამსახურეები არ აბრუნებენ თავს;

თ) შემდეგ გაიცემა კომანდა: „ლუნი ნომრები მარცხნისაკენ, გამოდით რიგიდან“, რომელზეც ყველა ლუნი ნომრის მქონე (ამ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გათვლის მიხედვით) მოსამსახურე სწრაფად გამოდის მწყობრიდან, ბრუნდება მარჯვნივ და იღებს დგომს „სმენა“, რის შემდეგაც მწყობრი მზად არის ინსტრუქციის მისაღებად;

2. სანყის მდგომარეობაში დასაბრუნებლად ინსტრუქტორი გასცემს კომანდას: „მიჯერით მარჯვნივ, ნაბიჯით – იარ“, რომელზეც ყველა მოსამსახურე აჩქარებული ნაბიჯით მიდის მწყობრში თავისი სანყისი პოზიციისაკენ.

3. უფრო თვალსაჩინო სწავლებისათვის, ინსტრუქტორს შეუძლია მოსამსახურეები წრეზე მოაწყოს. ასეთი მოწყობისას:

ა) მეთაური დადგება პირველი ათეულის მიმართველი მოსამსახურე წინ და გასცემს კომანდას: „წრიული ხაზით, მომყვით“. მეთაური აჩქარებული ნაბიჯით მოძრაობს წრეზე. მიმართველი ათეულის მოსამსახურეები მიჰყვებიან დაახლოებით 100 სმ-ის დაშორებით. დანარჩენი ათეულების შემადგენლობაც აჩქარებული ნაბიჯით, კომანდის გარეშე მიჰყვება მიმართველი ათეულის ბოლო მოსამსახურეს, დადგენილი დისტანციით. წრის შეკვრის შემდეგ მეთაური გაემართება წრის ცენტრისაკენ, იღებს ღკომს „სმენა“ და გასცემს კომანდას: „სწრაფი ნაბიჯით – იარ“. მოსამსახურეები ასრულებენ კომანდას და მეთაურის მიერ ინდივიდუალურად მიცემული მითითებებით დგებიან ნორმალური (განმკლავის) ინტერვალით;

ბ) შემდეგ გაიცემა კომანდა – „სდექ“.

გ) ამას მოჰყვება კომანდა: „მარცხნისა – კენ“, რომელზეც ყველა მოსამსახურე ბრუნდება პირით მეთაურისაკენ (ცენტრისაკენ), რის შემდეგაც მწყობრი მზად არის ინსტრუქციის მისაღებად.

4. მწყობრის სანყის მდგომარეობაში დასაბრუნებლად მეთაური გასცემს კომანდას: „სმენა“, „დაიშალეთ“ და „მოეწყვით“. ბოლო კომანდაზე ყველა მოსამსახურე უბრუნდება სანყის პოზიციას.

5. იმისათვის, რომ დაიცულ იქნეს რიტმი, ინსტრუქტორი მარშირების დროს მოსამსახურეებს რიტმულად ათვლევინებს. ასეთ შემთხვევაში:

ა) სწრაფი ნაბიჯით მარშირების დროს, რიტმის დასაცავად, მარცხენა ფეხის მიწაზე დადგმისთანავე, ინსტრუქტორი გასცემს წინასწარ კომანდას: „რიტმულად“, ხოლო შესასრულებელი კომანდა – „დაითვალეთ“ გაიცემა მეორე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ. მოსამსახურე თვლას იწყებს მარცხენა ფეხის გადადგმიდან და აგრძელებს თვლას ყოველ ნაბიჯზე – ერთი, ორი, სამი, ოთხი. აჩქარებული ნაბიჯით მარშირებისას, იგივე მოქმედებები სრულდება, იმ განსხვავებით, რომ თვლა მხოლოდ მარცხენა ფეხის დადგმისას ხდება.

ბ) ადგილზე სიარულისათვის ორ ან მეტ თვლაზე ინსტრუქტორი გასცემს კომანდას: „რიტმულად, მარჯვნივ-კენ“. შესასრულებელ კომანდაზე მოსამსახურე იმავდროულად ასრულებს პირველი თვლის მოქმედებას და ამბობს – „ერთი“, მეორე თვლის მოქმედების შესრულებაზე – „ორი“.

6. რიტმული მოძრაობების შესანყვეტად გაიცემა კომანდა: „რიტმის გარეშე“, და მოწყობა გრძელდება ჩვეულებრივი მეთოდით. მაგალითად, რიტმული თვლის გარეშე მარშირების დროს გაიცემა კომანდა: „რიტმის გარეშე – იარ“, ხოლო ადგილზე სიარულის დროს – კომანდა: „რიტმის გარეშე, მარცხნისა-კენ“.

7. სამწყობრო ილეთების დასაუფლებლად მნიშვნელოვანია მოსამსახურეთა შორის დაინტერესების გაზრდა, გამეორება, აგრეთვე, ერთფეროვნებისა და მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად, სამწყობრო ილეთების შესრულებაში შეჯიბრებების მოწყობა, მასობრივი კომანდების გაცემა მოსამსახურეთა შორის ურთიერთნდობის შექმნისა და მეტი სიხალისისათვის.

თავი IV კომანდები

მუხლი 11. სამწყობრო კომანდები (ბრძანებები)

1. სამწყობრო კომანდით მითითებული მოქმედების შესრულების სიზუსტეს მნიშვნელოვნად განაპირობებს კომანდის სწორი ფორმით გაცემა, რისთვისაც მეთაური იყენებს შემდეგ წესებს:

ა) როცა ქვედანაყოფი ერთ ადგილზეა გაჩერებული, მეთაური კომანდების გაცემის დროს დგება მწყობრში მყოფი თანამშრომლების პირისპირ, ხოლო მარშირებისას იგი გვერდზე მიჰყვება ათეულს, იმისათვის რომ შეინარჩუნოს ქვედანაყოფის სახელმძღვანელო პოზიცია;

ბ) მარშირებისას კომანდების გასაცემად მეთაური თავს აბრუნებს მოსამსახურეებისკენ;

გ) წინასწარი კომანდის გასაუქმებლად მეთაური გასცემს კომანდას – „არ ვარგა“, რომელიც წინ უსწრებს შესასრულებელ კომანდას. მეთაურს არ შეუძლია შესასრულებელი კომანდის გაუქმება კომანდით „არ ვარგა“.

3. სამწყობრო ილეთების შესრულების გამარტივებისათვის, უმეტესად გამოიყენება ორნაწილიანი კომანდები, რომლებიც ორი ნაწილისაგან – წინასწარი და შესასრულებელი კომანდებისაგან შედგება. ასეთ შემთხვევაში, არც ერთი ნაწილი ცალკე კომანდას არ წარმოადგენს და ისინი გამოიყენება ერთად.

4. ორნაწილიანი კომანდა შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე წინასწარ კომანდას და შესასრულებელ კომანდას, აგრეთვე შესაძლებელია წინასწარი კომანდა შეიცავდეს რამდენიმე მითითებას, მაგალითად:

ა) კომანდები: „მოემზადეთ, იარაღი – მკერდზე“ და „მოემზადეთ, დაუმიზნეთ – ცეცხლი“ მიჩნეულია ორნაწილიან კომანდებად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოიცავენ ორ წინასწარ კომანდას („მოემზადეთ, იარაღი“ და „მოემზადეთ, დაუმიზნეთ“ – ორორი წინასწარი კომანდა, „მკერდზე“ და „ცეცხლი“ – შესასრულებელი კომანდები);

ბ) კომანდაში – „პირდაპირ, ნაბიჯით – იარ“, წინასწარი კომანდაა – „პირდაპირ, ნაბიჯით“, რომელზეც მოსამსახურე ემზადება მოქმედების შესასრულებლად, ხოლო შესასრულებელი კომანდაა – „იარ“, რომელიც მოქმედების დაწყებაზე მიუთითებს;

გ) მარშირების დროს ქვედანაყოფის მიმართულების შესაცვლელად წინასწარი და შესასრულებელი კომანდები ისე გაიცემა, რომ ისინი მოძრაობაშივე განხორციელდეს. მაგალითად: კომანდა – „მარჯვენა მხრით წინ, ნაბიჯით – იარ“, გაიცემა მინაზე მარჯვენა ფეხის დადგმისთანავე, ხოლო კომანდა – „მარცხენა მხრით წინ, ნაბიჯით – იარ“, გაიცემა მინაზე მარცხენა ფეხის დადგმისთანავე. წინასწარ და შესასრულებელ კომანდებს შორის ინტერვალი ყოველთვის არის ერთი ნაბიჯის გადადგმა ან ერთი თვლა. წინასწარი და შესასრულებელი კომანდები გაიცემა მაშინ, როცა მოსამსახურე იმავე ფეხს დაადგამს მინაზე.

5. ზოგიერთი კომანდა წარმოადგენს გაერთიანებულ კომანდას, რომელშიც გაერთიანებულია წინასწარი და შესასრულებელი კომანდები და რომელიც გაიცემა ჩვეულებრივი შესასრულებელი კომანდის შესაბამისად (მაგალითად: „მოწყვეთ – თავისუფლად“ და „თავისუფლად“);

6. ზემდგომი მეთაურების კომანდების შევსების, მოსამსახურეებამდე დაყვანისა და განუხრელი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გაიცემა დამატებითი კომანდები თანამდებობრივად ყველაზე ქვემდგომი მეთაურების მიერ, რომლებიც უშუალოდ აკონტროლებენ საერთო დიდი ქვედანაყოფის შემადგენელ ცალკეულ მცირე ქვედანაყოფებს.

7. დამატებითი კომანდა შეიძლება იყოს წინასწარი, ორნაწილიანი ან წინასწარი კომანდის ნაწილი. ის, როგორც წესი, გაიცემა წინასწარ და შესასრულებელ კომანდებს შორის. როდესაც კომანდა ცალკეული ქვედანაყოფისაგან მოითხოვს სხვა ქვედანაყოფებთან შედარებით განსხვავებულ მოქმედებას ან თვით ამ მოქმედების შესრულების დროის გადავადებას, ქვემდგომი მეთაურები გასცემენ შესაბამის დამატებით კომანდებს. კერძოდ, თუ ოცეული მოწყობილია რიგებად და ოცეულის მეთაური გასცემს კომანდას – „ორ რიგად მარცხნიდან (პაუზა), ნაბიჯით – იარ“. პირველი და მეორე ათეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „პირდაპირ“, ხოლო მესამე და მეოთხე ათეულების მეთაურები კომანდას – „დარჩით – ადგილზე“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ პირველი და მეორე ათეულები მიდიან წინ. იმავედროულად, მესამე ათეულის მეთაური დანარჩენი ორივე

ათეულისათვის გასცემს კომანდას – „რიგო, ნახევრად მარცხნივ, ნაბიჯით – იარ“. როდესაც მესამე და მეოთხე ათეულების მეთაურები მიაღწევნენ მარშირების ზღუდეს, ისინი ავტომატურად შემობრუნდებიან ნახევრად მარჯვნივ და დგებიან პირველი და მეორე ათეულების უკან, ნორმალური (განმკლავის) ინტერვალით;

8. დამატებითი კომანდების გაცემისას, ქვემდგომ მეთაურს თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა ქვედანაყოფი მისგან მარცხნივ მოძრაობს ან ასრულებს კომანდებს – „რიგო – მარცხნივ (ნახევრად – მარცხნივ)“ ან „მარცხენა ფლანგისა-კენ“. თავის მარცხნივ მიბრუნებით, მეთაური კომანდებს გასცემს იმ შემთხვევაშიც, როცა ქვედანაყოფი იცვლის მწყობრის სახეობას, როგორცაა მწკრივად ან ოთხრიგად მოწყობა და გადაწყობა (მაგალითად: ოცეული მოწყობილია ერთ რიგად და აპირებს მწკრივად გადაწყობას მარცხნისაკენ. მარცხენა ფლანგზე მდგომი ათეულის მეთაური, რომელსაც თავი მარცხნივ აქვს მიბრუნებული, გასცემს კომანდას – „რიგო – მარცხნივ“, ხოლო სხვა ათეულების მეთაურები ამავე ფორმით გასცემენ კომანდას – „დარჩით – ადგილზე“;

შენიშვნა: როცა ქვედანაყოფი არის დგომში – „მისალმება იარალით“, წინასწარ კომანდაზე – „იარალი – ფეხთან“, ქვემდგომი მეთაურები დამატებითი კომანდის გაცემის წინ წყვეტენ მისალმებას.

8. გაერთიანებული კომანდების დროს ქვემდგომი მეთაური არ გასცემს დამატებით კომანდებს. მაგალითად: კომანდაზე – „მოეწყვე, თავისუფლად“ ან მასობრივი მოწყობისას, როცა მისი ქვედანაყოფი არის უფრო დიდი შენაერთის შემადგენელი ნაწილი, ქვემდგომი მეთაური არ გასცემს დამატებით კომანდებს;

9. საერთო მოწყობის დროს, ოცეულის მეთაურები წინასწარი კომანდების შემდგომ თავად გასცემენ დამატებით კომანდებს. როდესაც წინასწარი კომანდა ეხება ასეულს, ოცეულების მეთაურები იმავდროულად იღებენ დგომს – „სმენა“ და გასცემენ კომანდას – „ოცეულო“. ასეულის მეთაური ნებას რთავს ოცეულის მეთაურებს, შესასრულებელი კომანდების წინ გასცენ დამატებითი კომანდები;

10. როდესაც შესაბამის კომანდაში მიმართულება არ არის მითითებული, იგი გულისხმობს წინ სვლას, ხოლო როცა მარშირების ტემპზე არ გაიცემა კომანდა, მაშინ მოსამსახურეები მიდიან აჩქარებული ნაბიჯით. თუ მარშირების მიმართულება ან ტემპი უნდა აღინიშნოს წინასწარ კომანდაში, მაშინ ის იღებს დამატებითი კომანდის სახეს;

11. დაქვემდებარებული ქვედანაყოფების გადაადგილების ან მოძრაობის, ასევე მათ მიერ დავალების დამოუკიდებლად შესრულების დროს მეთაური გასცემს მითითებებს. მეთაური ქვემდგომ მეთაურებს აძლევს მითითებებს წინადადების ფორმით, ჩვეულებრივი ტერმინების გამოყენებით, მაგალითად: „მოაწყვეთ თქვენი ქვედანაყოფები რიგში გაშლილი მწყობრით და დააწყვეთ იარალი“.

შენიშვნა: „ჩაიბარეთ თქვენი ქვედანაყოფები“ – არის ერთადერთი მითითება, რომელზეც ზემდგომი და ქვემდგომი მეთაურები ერთმანეთს ესალმებიან.

მუხლი 12. საკომანდო ხმა

1. კომანდების სწორად გაცემას სჭირდება სიზუსტე, შესაბამისი ტონი, ტემპი და შეწყვეტა და დროული პასუხი.

2. ხმის კონტროლი – საკომანდო ხმის სიმაღლე დამოკიდებულია ქვედანაყოფში მოსამსახურეთა რაოდენობაზე. მეთაური დგება მწყობრის ცენტრის გასწვრივ, პირით მოსამსახურეებისკენ და საუბრობს ყველასთვის გასაგებად, კერძოდ, ხმა უნდა იყოს საკმაოდ ძლიერი, მაგრამ არა გადაჭარბებული და ზედმეტად დაძაბული;

3. კომანდების გაცემისათვის საუკეთესო დგომია „სმენა“;

4. გარკვევით წარმოთქმა – ყველა კომანდა უნდა წარმოითქვას მკვეთრად და გარკვევით;

5. ხმის მოდულაცია – ხმის მოდულაცია გულისხმობს ხმის აწევ-დაწევასა და ტონის შეცვლას;

ა) წინასწარი კომანდის წარმოთქმა უნდა დაიწყოს ბუნებრივი, სალაპარაკო ხმით, იმისათვის რომ კომანდის გამცემს ღარჩეს ხმის გაძლიერების შესაძლებლობა შესასრულებელი კომანდის გაცემისთვის;

ბ) შესასრულებელი კომანდა გაიცემა მკვეთრი ტონითა და წინასწარი კომანდის ბოლო მარცვალზე შედარებით მაღალი ხმით;

5. სიხშირე კომანდებში ნიშნავს სიტყვების სათანადო თანამიმდევრობით და რიტმულად წარმოთქმას. კომანდებს შორის ინტერვალის ხანგრძლივობა ყველა ქვედანაყოფისათვის საერთოა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ქვედანაყოფის თითოეულმა მოსამსახურემ შეძლოს წინასწარი კომანდის გაგება და დაელოდოს შესასრულებელ კომანდას:

ა) ათეულის ან ოცეულის მარშირებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჭიროა დამატებითი კომანდების გაცემა, დროის ინტერვალის წინასწარ და შესასრულებელ კომანდებს შორის არის ერთი ნაბიჯის ან „ერთი“ თვლის ტოლი. იგივე ინტერვალის გამოიყენება კომანდების გაცემის დროს, როცა ქვედანაყოფი გაჩერებულია. უფრო გრძელი კომანდების წარმოთქმა, როგორცაა – „მარჯვენა ფლანგისაკენ, ნაბიჯით – იარ“, ისე უნდა დაიწყოს, რომ წინასწარი კომანდის გაცემა დამთავრდეს სათანადო ფეხის გადადგმისთანავე და წინასწარსა და შესასრულებელ კომანდებს შორის ღარჩეს „ერთი“ თვლის ტოლი ინტერვალი;

ბ) როცა საჭიროა დამატებითი კომანდების გაცემა, მეთაური ტოვებს „ერთი“ თვლის ინტერვალს წინასწარსა და ქვემდგომი მეთაურის დამატებით კომანდებს შორის და კიდევ „ერთს“ ამ უკანასკნელის შემდეგ, შესასრულებელი კომანდის გაცემამდე.

თავი V

ინდივიდუალური სამწყობრო მომზადება

მუხლი 13. სამწყობრო ილეთების შესრულება ადგილზე

1. სამწყობრო ილეთების შესრულება იწყება დგომის – „სმენა“ (ნახ.13.1.) მიღების შემდეგ.

2. იმისათვის, რომ ქვედანაყოფმა მიიღოს დგომი „სმენა“, საჭიროა გაიცეს ორი კომანდა კომანდა – „მოწყვეთ“, რომელიც გაიცემა ქვედანაყოფის მოსაწყობად ან საწყისი მდგომარეობის მისაღებად და ორნაწილიანი კომანდა – „ათეულო (ოცეულო) სმენა“;

3. მწყობროში თავისუფალ დგომში მყოფი მოსამსახურეები დგომს – „სმენა“ იღებენ კომანდაზე – „ათეულო (ოცეულო) სმენა“;

4. დგომის – „სმენა“ მისაღებად, ქუსლები ედგმება ერთმანეთს სწორ ხაზზე, ფეხის წვერები ფრონტის ხაზზე მიმართულია თანაბრად, ისე, რომ შეიქმნას 45-გრადუსიანი კუთხე. სხეულის სიმძიმე გადატანილია ორივე ფეხის ტერფსა და ქუსლებზე, მუხლები გამართულია. ტანი უსწორდება თეძოს დონეს, მაღლა აწეული მკერდით მთელი სხეული ოდნავ წინ არის წამოწეული, მხრები გაშლილ მდგომარეობაშია. თავი მაღლა აწეული და გამართულია სახით პირდაპირ ისე, რომ ნიკაპი წინ არ წამოიწიოს. ხელები უნდა იყოს მოშვებული და სწორად ჩამოშვებული. ხელის თითები გაშლილ მდგომარეობაშია, შეერთებულია ერთმანეთთან ერთ სიბრტყეში და მიღებულია შარვლის გვერდითა ნაკერზე.

5. „სმენაზე“ მოსამსახურეები დგანან ჩუმად და გაუნძრევლად სხვა მითითებების მიღებამდე.

შენიშვნა: დგომი „სმენა“ მოსამსახურემ უნდა მიიღოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიმართავს ნოდებით უფროს მოსამსახურეს.



ნახ.13.1 (დგომი - „სმენა“)

6. დგომის – „სმენა“ მიღების შემდეგ, თავისუფალი დგომის მისაღებად (დგომი „თავისუფლად“) კომანდა გაიცემა სხვადასხვა სახით:

ა) სააღლუმო თავისუფალი დგომი მიიღება კომანდის – „სმენა“ შესრულების შემდეგ, კომანდის – „სააღლუმოდ - თავისუფლად“ საფუძველზე. კომანდაზე – „თავისუფლად“, მარცხენა ფეხი იდგმება 25 სმ-ით განზე. ფეხები გამართულია სწორად და დაუჭიმავად. სხეულის სიმძიმე თანაბრად არის განაწილებული ორივე ფეხის ტერფსა და ქუსლზე.) ორივე ხელი ერთდროულად ლაგდება წელთან შუაში, ქამრის დონეზე. ხელის თითები გაშლილ მდგომარეობაშია, ხელები მიტანილია ერთმანეთთან ისე, რომ ხელისგულები გარეთაა მოქცეული და ცერები გადაჯვარედინებულია ერთმანეთთან. მოსამსახურეს თვალები და თავი უჭირავს ისე, როგორც მდგომარეობაში „სმენა“, დგას ჩუმად და გაუნძრევლად სხვა მითითების მიღებამდე (ნახ.13.2.). ამ პოზიციიდან შესაძლებელია კომანდების – „დადექით თავისუფლად“, „დაისვენეთ“ და „თავისუფლად“ შესრულება;



ნახ. 13. 2. (სააღლუმო თავისუფალი დგომი)

ბ) „დადევით თავისუფლად” – სამწყობრო ილეთის შესასრულებლად გაიცემა კომანდა: „დადევით თავისუფლად”. სამწყობრო დგომი სრულდება ისევე, როგორც კომანდა – „სააღლუმო თავისუფლად”. კომანდის – „დადევით თავისუფლად” შესრულების შემდეგ, შეიძლება გაიცეს კომანდა – „თავისუფლად” ან „დაისვენეთ”;

გ) „თავისუფლად” – სამწყობრო ილეთის შესასრულებლად გაიცემა კომანდა „თავისუფლად”. მოსამსახურეებს შეუძლიათ იმოძრაონ მარჯვენა ფეხის გაუნძრევლად და დაასვენონ ხელები ცერების გადაჯვარედინებით, საუბარი არ შეიძლება. კომანდის – „თავისუფლად” შესრულების შემდეგ შეიძლება გაიცეს კომანდა – „დაისვენეთ”;

დ) „დაისვენეთ” – სამწყობრო ილეთის შესასრულებლად გაიცემა კომანდა – „დაისვენეთ”. ამ შემთხვევაში მოსამსახურეებს შეუძლიათ ისაუბრონ და იმოძრაონ, მარჯვენა ფეხის გაუნძრევლად;

ე) მეთაურის მიერ წინასწარი კომანდის – „სმენა” გაცემისას, მოსამსახურეები დგომიდან „დადევით თავისუფლად”, „თავისუფლად” და „დაისვენეთ”, ასრულებენ კომანდას – „სააღლუმო თავისუფლად” და იღებენ შესაბამის დგომს;

ვ) „დაიშალეთ” – სამწყობრო ილეთის შესასრულებლად გაიცემა კომანდა „დაიშალეთ”, რომლის შესრულების წინ ქვედანაყოფი დგება დგომში – „სმენა”. უიარალო ათეულებისთვის გაიცემა მხოლოდ აღნიშნული კომანდა, ხოლო იარაღიანი მოსამსახურეებისათვის კომანდამდე – „დაიშალეთ”, გაიცემა შემდეგი კომანდები: „შეამოწმეთ იარაღი”, „მოემზადეთ, იარაღი მკერდზე”, „იარაღი ფეხთან”, „იარაღი ქამარზე”;

7. ადგილზე, დგომიდან – „სმენა”, შესაძლებელია შესრულდეს 5 სახის ბრუნი შესაბამის კომანდებზე: „მარჯვისა-კენ”, „მარცხისა-კენ”, „ნახევარბრუნით მარჯვისა-კენ”, „ნახევარბრუნით მარცხისა-კენ” და „ზურგისა-კენ”;

8. ადგილზე მარცხნივ ბრუნები სრულდება ორ თვლაში (ნახ.13.3.):

ა) თვლაზე - „ერთი”, მოსამსახურე მარჯვენა ფეხის ქუსლსა და მარცხენა ფეხის წვერს სწევს უმნიშვნელოდ, მარცხენა ფეხის ქუსლსა და მარჯვენა ფეხის წვერზე ოდნავი დაწოლით 90 გრადუსით ბრუნდება მარცხნივ. ამ დროს მარცხენა ფეხი გაჭიმულია, მარჯვენა კი იხრება ბუნებრივად;

ბ) თვლაზე - „ორი”, მოსამსახურე მარჯვენა ფეხს ადგამს მარცხენას ისე, რომ მიიღოს დგომი - „სმენა”. ამ მოძრაობების განმავლობაში, სხეული და ხელები უჭირავს ისევე, როგორც მდგომარეობაში - „სმენა”;



ნახ.13.3. (ადგილზე მარცხნივ ბრუნები ორ თვლაში)

9. ბრუნი – „ზურგისა-კენ”, სრულდება ორ თვლაში (ნახ.13.4.):

ა) თვლაზე – „ერთი”, მოსამსახურე მარჯვენა ფეხს ადგამს უკან, ოდნავ მარცხნივ, ფეხის წვერზე. სიმძიმის ცენტრი გადააქვს მარცხენა ფეხის ქუსლზე და მარჯვენა მუხლს ხრის ბუნებრივად. მარცხენა ფეხის ქუსლზე და მარჯვენა ფეხის წვერზე ბრუნდება 180 გრადუსით ზურგისაკენ, მარჯვენა მხრიდან;

ბ) თვლაზე – „ორი”, მოსამსახურე მარჯვენა ფეხს ადგამს მარცხენას ისე, რომ მიიღოს დგომი – „სმენა”. ამ მოძრაობების განმავლობაში, სხეული და ხელები უჭირავს ისევე, როგორც მდგომარეობაში – „სმენა”;



ნახ. 13. 4. (ბრუნი ზურგისაკენ)

10. კომანდა – „მხედრული მისალმება“ სრულდება ერთ თვლაზე, ადგილზე და მარშირებისას. ხელით მისალმებას ასრულებს მხოლოდ ის მოსამსახურე, რომელსაც უსწორდება მწყობრი. სირბილით სვლის დროს, თითოეული მოსამსახურე, რომელიც მწობრზე პასუხისმგებელი პირი ან მეთაურია, მხედრულ მისალმებამდე უნდა გადავიდეს აჩქარებული ნაბიჯით სვლაზე (ნახ.. 13. 5.):

ა) თუ მოსამსახურეს ახურავს კეპიანი ქუდი (ან ჩაფხუტი), კომანდის გაცემისთანავე ასწევს მარჯვენა ხელს მკვეთრად, ისე, რომ თითები შეერთებული იყოს ხელის გულით ქვემოთ, მტევანი გამართული. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის წვერი ეხებოდეს ქუდის კეპს (ჩაფხუტს) მარჯვენა თვალთან ისე, რომ წინა მხრიდან არ უნდა ჩანდეს ხელისგული და მტევნის ზედაპირი, ხოლო იდაყვი უნდა იყოს მხრის სიმაღლეზე;

ბ) თუ მოსამსახურეს ახურავს ბერეტი, მხედრულ მისალმებას ასრულებს იმავე მეთოდით, როგორც ეს აღწერილია ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, მხოლოდ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის წვერს მიიტანს შუბლთან მარჯვენა მხრიდან, მარჯვენა წარბთან ახლოს (ხოლო მოსამსახურე ატარებს სათვალეს, თითს მიიტანს სათვალის ჩარჩოსთან);



ნახ. 13. 5. (მხედრული მისალმება)

გ) მხედრული მისალმების (მოხსენების) შემდეგ მოსამსახურე ჩამოუშვებს ხელს მკვეთრად ერთ თვლაზე და მიიღებს დგომს „სმენა“;

დ) როდესაც მოსამსახურე აბარებს პატაკს ან პატივს მიაგებს უფროსს, მას სახეში უყურებს და ისე ესალმება. ამ დროს მოქმედებები სრულდება კომანდის გაუცემლად. მოსამსახურე მეთაურთან ექვსი ნაბიჯით მიახლოებისას იწყებს მისალმებას და წყვეტს მასთან გასწორებისთანავე (საპასუხო მისალმებისთანავე);

ე) პატაკის ჩაბარების დროს, მოსამსახურე მეთაურს უნდა დაუდგეს წინ, ორი-სამი ნაბიჯის მოშორებით. პატაკის ჩაბარების შემდეგ, დამოუკიდებლად დაუშვებს ხელს და მიიღებს დგომს „სმენა“, ხოლო მოძრაობაში მხედრული მისალმებისას, მეთაურამდე ხუთი-ექვსი ნაბიჯით მიახლოებისას, ფეხის დადგმასთან ერთად წყვეტს ხელებით მოძრაობას, მიაბრუნებს თავს, მარჯვენა ხელს საფეთქელთან მიიტანს და მეთაურისაკენ ცქერით აგრძელებს მოძრაობას; როდესაც მეთაურს ჩაუვლის, მარცხენა ფეხის მიწაზე დადგმისთანავე გაასწორებს თავს, მეთაური იყურება პირდაპირ და მარჯვენა ხელს დაბლა დაუშვებს, ხოლო გასწრების დროს, მოსამსახურე მეთაურს პირველ ნაბიჯზევე ესალმება, მეორე ნაბიჯზე თავს პირდაპირ მიაბრუნებს და მარჯვენა ხელს ჩამოუშვებს.

მუხლი 14. სამწყობრო ილეთები უიარაღოდ მოძრაობისას

1. მოსამსახურეთა ინდივიდუალური სამწყობრო მომზადება შეისწავლება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. მისი დასრულების შემდეგ ხორციელდება სამწყობრო მომზადების შესწავლა ქვედანაყოფის შემადგენლობაში.

2. მარშირების (გადაადგილების) ძირითადი საკითხები მოიცავს სამწყობრო მომზადების ყველა ელემენტს, კერძოდ:

ა) სამწყობრო მომზადების დროს ყველა სახის გადაადგილება იწყება დგომიდან – „სმენა“;

ბ) მოსამსახურე, სალაშქრო და თავისუფალი ნაბიჯებით გადაადგილების გარდა, ყველა სახის გადაადგილებას ასრულებს როგორც „სმენაზე“ მარშირების დროს, რომელიც წარმოადგენს დგომის – „სმენა“ და ნაბიჯების შესრულების კომბინაციას;

გ) მოძრაობა, დგომიდან – „სმენა“, მარცხენა ფეხით იწყება იმ შემთხვევაში, თუ არ არის გაცემული კომანდა – „მარჯვენა ფეხით ნაბიჯით-იარ“;

დ) მოკლე მანძილზე მოსამსახურის გადაადგილებისათვის, მეთაურმა უნდა გასცეს კომანდა და აღნიშნოს (მიუთითოს) ნაბიჯების რაოდენობა და მოძრაობის მიმართულება. (მაგალითად: წინ, ზურგისკენ ან რომელიმე მხრისაკენ, შემდეგი კომანდების გაცემით: „ერთი ნაბიჯით მარჯვნივ – იარ“ ან „ორი ნაბიჯით უკან (წინ) – იარ“). კომანდაზე – „ნაბიჯით – იარ“ მოძრაობა იწყება შესაბამისად მარცხენა ან მარჯვენა ფეხით და ავტომატურად ჩერდება მეთაურის მიერ მითითებული ნაბიჯების გავლის შემდეგ. წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს სრული 75 სმ., თუ რაიმე სხვა მითითება არ არის გაცემული;

ე) სამწყობრო მომზადების დროს, კომანდაზე – „ნაბიჯით იარ“, გადაადგილება სრულდება აჩქარებული (ზომიერი) ნაბიჯით, სვლის რიტმში - 120 ნაბიჯი/წუთში, გარდა სრული ნაბიჯით სვლისას, რომელიც შესაძლოა შესრულდეს კომანდაზე – „სირბილით იარ“, რიტმით 180 ნაბიჯი/წუთში;

ვ) სამწყობრო ნაბიჯის სიგრძე არის მანძილი ერთი ფეხის ქუსლიდან მეორე ფეხის ქუსლამდე. მოსამსახურის სამწყობრო ნაბიჯი პატარა მანძილზე სრულდება არასრული ნაბიჯით.

2. ადგილიდან გადაადგილება სრული ნაბიჯით სრულდება კომანდის – „პირდაპირ, ნაბიჯით – იარ“ შემდეგ:

ა) სამწყობრო ილეთის შესასრულებლად გაიცემა წინასწარი კომანდა – „პირდაპირ, ნაბიჯით“, ამ დროს სიმძიმის ცენტრი გადადის მარჯვენა ფეხზე ზედმეტი მოძრაობების გარეშე. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მარცხენა ფეხით იდგმება სრული ნაბიჯი და გრძელდება მარშირება ამავე ზომის თანაბარი ნაბიჯებით, თავი მიბრუნებულია წინ, მზერა მიმართულია პირდაპირ. ხელები მოძრაობს ბუნებრივად, იდაყვებში მოუხრელად, შარვლის გვერდითი ნაკერიდან 23 სმ-ით წინ და 15 სმ-ით უკან. მოსამსახურეს ხელის თითები უჭირავს ისე, როგორც დგომისას - „სმენა“;

ბ) მარშირების შესაჩერებლად კომანდა გაიცემა შემდეგი სახით: „ათეულო (ოცეულო), სდექ“. წინასწარი კომანდა – „ათეულო (ოცეულო)“, გაიცემა მინაზე ერთ-ერთი ფეხის დადგმისას. მარშირება გრძელდება და შესასრულებელი კომანდა – „სდექ“ გაიცემა იმავე ფეხის მინაზე დადგმისას. შეჩერება სრულდება ორ თვლაზე. მოსამსახურე კომანდის – „სდექ“ შემდეგ ადგამს დამატებით ნაბიჯს და წინ გადადგმულ ფეხს მიადგამს მეორე ფეხს, იღებს დგომს – „სმენა“ და წყვეტს მოძრაობას;

3. ნაბიჯის შეცვლა – ქვედანაყოფის მწყობრით გადაადგილებისას (სრული ნაბიჯით გადაადგილებისას) თუ მოსამსახურეს აერია ფეხი (ნაბიჯი), მეთაური გასცემს კომანდას მარჯვენა ფეხის მინაზე დადგმისთანავე: წოდება, გვარი და შემდეგ სიტყვები – „შეცვალეთ ფეხი (ნაბიჯი)“. კომანდაზე – „ფეხი (ნაბიჯი)“ მოსამსახურე დგამს დამატებით კიდევ ერთ ნაბიჯს ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა ფეხით. მარჯვენა ფეხის ცერს დგამს მარცხენა ფეხის ქუსლთან ახლოს და განაგრძობს სვლას მარჯვენა ფეხით, ხელებს ამოძრავებს ბუნებრივად;

4. ზურგისაკენ ბრუნი მოძრაობისას – სრულდება გადაადგილების (მოძრაობის) მიმართულების 180 გრადუსით შესაცვლელად (სრული ნაბიჯებით მარშირებისას). ზურგისაკენ მისაბრუნებელი კომანდა – „ზურგისაკენ“ გაიცემა მინაზე მარჯვენა ფეხის დადგმისთანავე. ამ კომანდაზე, მოსამსახურე მარცხენა ფეხით ადგამს კიდევ ერთ ნაბიჯს (თვლაზე – „ერთი“). მარჯვენა ფეხს ადგამს ნახევარი ნაბიჯით წინ და ოდნავ მარცხნივ, ორივე ფეხის წვერზე მკვეთრად ბრუნდება მარცხნივ (თვლაზე – „ორი“) და აგრძელებს სვლას მარცხენა ფეხით ახალი მიმართულებით (თვლაზე – „სამი“) მობრუნების დროს ხელებს არ ამოძრავებს;

5. „თავისუფალი გადაადგილება სრული ნაბიჯით“ მოიცავს სიარულს „სალაშქრო ნაბიჯით“ და „თავისუფალი ნაბიჯით“:

ა) კომანდა – „თავისუფალი ნაბიჯით – იარ“, გაიცემა ერთერთი ფეხის მიწაზე დადგმისას. კომანდის შემდეგ მოსამსახურეებს აღარ მოეთხოვებათ ფეხშენწყობილად სიარული, მაგრამ ინტერვალი და დისტანცია დაცული უნდა იყოს. ამავე დროს, შესაძლებელია გაიცეს კომანდები – „სირბილით – იარ“ და „სალაშქრო ნაბიჯით – იარ“;

ბ) კომანდა – „სალაშქრო ნაბიჯით – იარ“ სრულდება წინა კომანდის მსგავსად, იმ განსხვავებით, რომ მოსამსახურეებს უფლება აქვთ ისაუბრონ და დალიონ წყალი (მათარიდან).

შენიშვნა: თავისუფალი გადაადგილებისას მარშირების მიმართულების შესაცვლელად, მეთაური მიმართველ (მენინავე) მოსამსახურეებს მიუთითებს გადაადგილების მიმართულებას. მოძრაობაში სხვა სამწყობრო ილეთების შესასრულებლად ქვედანაყოფმა უნდა დაიწყოს ფეხშენწყობილი სვლა. კომანდაზე – „აჩქარებული ნაბიჯით–იარ“, ქვედანაყოფი ავტომატურად გადადის სვლაზე – „გადაადგილება სმენაზე“. მეთაური ახორციელებს დათვლას ან მოსამსახურეები ინდივიდუალურად აწარმოებენ ფეხის შეცვლას.

6. არასრული ნაბიჯით გადაადგილება ხდება სხვადასხვა მდგომარეობაში:

ა) არასრული ნაბიჯით ადგილიდან გადაადგილება სრულდება კომანდის: „ნახევარი ნაბიჯით – იარ“ გაცემის შემდეგ. წინასწარ კომანდაზე – „ნახევარი ნაბიჯით“, სიმძიმის ცენტრი გადადის მარჯვენა ფეხზე, შესამჩნევი მოძრაობების გარეშე. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ მარცხენა ფეხი გადადის 40 სმ-ით წინ და გრძელდება მარშირება ამ მანძილის დაცვით. ხელები მოძრაობს ისევე, როგორც სრული ნაბიჯით სვლისას;

ბ) სრული ნაბიჯის არასრული ნაბიჯით შესაცვლელად, ერთერთი ფეხის მიწაზე დადგმისთანავე გაიცემა კომანდა – „ნახევარი ნაბიჯით – იარ“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ იდგმება კიდევ ერთი სრული ნაბიჯი და იწყება სვლა არასრული ნაბიჯებით. ხელები მოძრაობს ისევე, როგორც სრული ნაბიჯით სვლისას;

გ) სრული ნაბიჯით სვლაზე დასაბრუნებლად, ერთერთი ფეხის მიწაზე დადგმისთანავე გაიცემა კომანდა – „პირდაპირ, ნაბიჯით – იარ“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ იდგმება კიდევ ერთი არასრული ნაბიჯი და იწყება სვლა სრული ნაბიჯით;

დ) ნახევარი ნაბიჯით სვლის შეწყვეტა ხორციელდება ორ თვლაზე იმავე წესით, როგორც სრული ნაბიჯით სვლისას;

ე) ნახევარი ნაბიჯით მარშირების დროს შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი კომანდების გაცემა: „ადგილზე ნაბიჯით – იარ“, „პირდაპირ, ნაბიჯით – იარ“, „ნორმალური (განმკლავის) ინტერვალით, ნაბიჯით – იარ“ და „სდექ“.

7. ადგილზე ნაბიჯით სიარულზე გადასვლისათვის, ერთერთი ფეხის მიწაზე დადგმისთანავე, გაიცემა კომანდა – „ადგილზე, ნაბიჯით – იარ“. სრული ან არასრული ნაბიჯით გადაადგილებისას, შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ იდგმება კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და ფეხი ფეხს ედგმება, რის შემდეგაც იწყება მარშირება ადგილზე. ამისათვის, თითოეული ფეხი იწევა (მონაცვლეობით) მიწიდან 5 სმ-ის სიმაღლეზე, ხელები მოძრაობს ისე, როგორც სრული ნაბიჯით სვლისას. მწყობრში ადგილზე ნაბიჯით სვლის დროს, მოსამსახურეებმა უნდა დაათვინონ თავიანთი ადგილმდებარეობა და გაუსწორდნენ მწყობრს. მოსამსახურეებს შორის ინტერვალი უნდა შეესაბამებოდეს ერთი ხელის სიგრძეს პლუს 15 სმ (დაახლოებით 102 სმ). ადგილზე ნაბიჯით სიარულის შეწყვეტა სრულდება ორ თვლაზე, ისევე, როგორც სრული ნაბიჯით სვლის დროს. სრული ნაბიჯით სვლაზე გადასასვლელად გაიცემა კომანდა: „პირდაპირ, ნაბიჯით იარ“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ ფეხი კიდევ ერთხელ იდგმება ადგილზე და შემდეგ იდგმება სრული ნაბიჯი;

8. არასრული ნაბიჯის მარჯვნივ (მარცხნივ) გადადგმის მიზნით, სამწყობრო ილეთი სრულდება ადგილზე დგომის დროს, რისთვისაც გაიცემა კომანდა – „მარჯვნივ (მარცხნივ), ნაბიჯით – იარ“. წინასწარ კომანდაზე – „მარჯვნივ (მარცხნივ) ნაბიჯით“ სიმძიმის ცენტრი გადადის მარჯვენა (მარჯვენა) ფეხზე. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ ოდნავ იხრება მარჯვენა (მარცხენა) მუხლი და ფეხი იწევა მხოლოდ იმ სიმაღლეზე, რაც თავისუფლად გადადგმისათვისაა საჭირო. მოსამსახურემ მარჯვენა (მარცხენა) ფეხი უნდა დადგას მარცხენა (მარჯვენა) ფეხიდან 40 სმ-ის დაშორებით და შემდეგ მიადგას მეორე ფეხს, მარცხენა (მარჯვენა) ფეხი აქვს გაჭიმულ მდგომარეობაში, იღებს დგომს – „სმენა“ და ხელები უჭირავს ამავე დგომის შესაბამისად.

9. მარჯვენა ან მარცხენა მხარეს ნაბიჯების გადადგმის შეწყვეტა სრულდება კომანდაზე – „ათეულო (ოცეულო) – სდექ“. ეს მოძრაობა ხორციელდება ორ თვლაზე. წინასწარი კომანდა გაიცემა მაშინ, როცა ფეხის ქუსლები ერთადაა. შესასრულებელი კომანდის – „სდექ“ გაცემა შესაძლებელია ქუსლების ყოველი მომდევნო ერთად დადგმის დროს. შესასრულებელ კომანდაზე – „სდექ“, მოსამსახურე ადგამს კიდევ ერთი ნაბიჯს წამყვანი ფეხით, რომელსაც გვერდით მიადგამს მეორე ფეხს და იღებს დგომს – „სმენა“;

10. ნახევარი ნაბიჯით უკან გადასაადგილებლად გაიცემა კომანდა: „უკან, ნაბიჯით – იარ“. წინასწარ კომანდაზე – „უკან, ნაბიჯით“ სიმძიმის ცენტრი გადადის მარჯვენა ფეხზე. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ მარცხენა ფეხით უკან იდგმება არასრული ნაბიჯი და გრძელდება მარშირება უკან ამავე ზომის ნაბიჯებით. ხელებს მოძრაობს ბუნებრივად. უკან ნაბიჯით სვლის შეწყვეტა სრულდება ორ თვლაზე, ისევე, როგორც სრული ნაბიჯებით სვლისას;

11. მთლიანი სრული ნაბიჯებით სირბილი იწყება კომანდის – „სირბილით – იარ“ გაცემის შემდეგ, როდესაც ადგილზე დგომისას (შეჩერებისას) ან სრული აჩქარებული ნაბიჯებით მარშირების დროს იწყება სირბილი ტემპით 180 ნაბიჯი/წუთში. ადგილზე დგომის შემთხვევაში, წინასწარ კომანდაზე – „სირბილით“ სიმძიმის ცენტრი გადადის მარჯვენა ფეხზე. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, ხელები იხრება იდაყვებში 90⁰-ით, იხრება ხელის თითები, ტანი იწევა ოდნავ წინ და იწყება სირბილი მარცხენა ფეხით, სრული ნაბიჯით, ტემპით 180 ნაბიჯი/წუთში. ხელები მოძრაობს წინ და უკან 90⁰-ით. (როდესაც მოსამსახურე შეიარაღებულია, წინასწარ კომანდაზე – სირბილით“ იარალს მიიტანს მკერდთან). მითითებაზე – „დაიცავით მწკრივი“ მიმმართველები, როდესაც მათ იარაღი აქვთ ქამარზე, იწყებენ სირბილს ამავე მდგომარეობაში; სრული აჩქარებული ნაბიჯით (120 ნაბიჯი/წუთში) მარშირების დროს, კომანდა – „სირბილით – იარ“ გაიცემა მაშინ, როდესაც მოსამსახურე ერთერთ ფეხს დაადგამს. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მოსამსახურე გადადგამს კიდევ ერთ აჩქარებულ ნაბიჯს და იწყებს სირბილს ამ მომენტისთვის უკან დადგმული ფეხით. იმისათვის, რომ მოსამსახურე დაუბრუნდეს სრული აჩქარებული ნაბიჯით სვლას, გაიცემა კომანდა – „აჩქარებული ნაბიჯით – იარ“ ერთერთი ფეხის დადგმისას. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მოსამსახურემ უნდა გადადგას კიდევ ორი ნაბიჯი სირბილით, დაუშვას ხელები და განაგრძოს მარშირება სრული აჩქარებული ნაბიჯით.

შენიშვნა: სირბილით სვლის დროს შესაძლებელია კომანდების: „აჩქარებული ნაბიჯით – იარ“, „ათეულო, ნახევრად მარცხნისა-კენ (მარჯვენისა-კენ)“ და „ათეულო, მარცხნისა-კენ (მარჯვენისა-კენ)“ შესრულება. კომანდის – „სირბილით იარ“ გაცემამდე შეიარაღებული მოსამსახურეები უნდა იყვნენ დგომში – „იარაღი მკერდთან“.

12. ბრუნები მოძრაობის დროს ისეთი მოძრაობების მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორცაა: ხაზზე გასწორება, რიგთა გადაადგილება, მოსამსახურეთა შემონახვა მწკრივში და ნორმალური (განმკლავის) ინტერვალის ორმაგი (ორი განმკლავის) ინტერვალით შეცვლა ან პირიქით:

ა) კომანდა – „მარჯვენისაკენ (მარცხნისაკენ), ნაბიჯით – იარ“, შეიძლება გაიცეს მხოლოდ ინსტრუქციის მიცემის მიზნით, რათა მოსამსახურემ ინდივიდუალურად ისწავლოს ამ კომანდის

სათანადოდ შესრულება. წინასწარ კომანდაზე – „მარჯვენისაკენ (მარცხნისაკენ), ნაბიჯით“ სიმძიმის ცენტრი (ზეღმეტი მოძრაობების გარეშე) გადადის მარჯვენა ფეხზე. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, ხდება მარჯვენა (მარცხენა) ფეხის ტერფზე 90 გრადუსით შებრუნება მარჯვენისაკენ (მარცხნისაკენ) და იდგმება მარცხენა ფეხი მითითებული მიმართულებით. ბრუნი და ნაბიჯი სრულდება ერთ თვლაზე და იწყება მარშირება ახალი მიმართულებით;

ბ) მარშირების დროს, შეჩერებიდან ნახევარბრუნით მარჯვენისაკენ (მარცხნისაკენ) შებრუნება ხორციელდება იმავე მეთოდით, როგორც ბრუნება მარჯვენისაკენ (მარცხნისაკენ), მხოლოდ ბრუნი უნდა ქმნიდეს 45-გრადუსიან კუთხეს მარჯვენისაკენ (მარცხნისაკენ);

გ) მარშირების დროს, ბრუნების შეჩერება სრულდება ორ თვლაზე, ისევე, როგორც სრული ნაბიჯით სვლისას.

მუხლი. 15 ინდივიდუალური სამწყობრო ვარჯიშები იარაღით

1. კომანდაზე – „მოეწყვეთ“, შეიარაღებული მოსამსახურეები იღებენ დგომს - „იარაღი ფეხთან“ (ნახ.15.1.), ხოლო კომანდაზე – „სმენა“, გადადიან სააღლუმო დგომზე. მოსამსახურემ იარაღის კონდახი მარჯვენა ხელის გულში უნდა მოაქციოს ისე, რომ თითის წვერები ეხებოდეს კონდახის ქვედა მხარეს. იარაღი უნდა დაიკავოს ვერტიკალურად მჭიდროდ წინ, ხოლო მარცხენა უნდა ჰქონდეს ჩამოშვებული, ისე რომ ხელის შუა თითი ედოს შარვლის ნაკერის გასწვრივ.



ნახ.15.1. (დგომი – „იარაღი ფეხთან“)

2. კომანდა – „თავისუფლად“ (თავისუფალი დგომი) სრულდება იმავე თანამიმდევრობით, როგორც ინდივიდუალური მონწყობისას, შემდეგი დამატებით:

ა) კომანდაზე – „აღლუმზე თავისუფლად“ შესასრულებელ კომანდაზე – „თავისუფლად“, მოსამსახურე ასრულებს ისეთივე მოქმედებას, როგორც ინდივიდუალური მონწყობისას, იარაღისა და მარჯვენა ხელის გაუნძრევლად;

ბ) შესასრულებელ კომანდაზე – „თავისუფლად“, მოსამსახურე იღებს „სააღლუმო თავისუფალ“ დგომს და თავს აბრუნებს წინ მეთაურისკენ (იარაღის მიუბრუნებლად);

3. დგომიდან – „იარაღი ფეხთან“, დგომზე – „იარაღი მკერდთან“ (ნახ. 15. 2.) გადასვლა სრულდება ორ თვლაში, კომანდაზე – „იარაღი მკერდზე“:

ა) შესასრულებელ კომანდაზე – „მკერდზე“, თვლაზე „ერთი“, მოსამსახურე მარჯვენა ხელს ჰკიდებს იარაღის ლულის ზესადებს ზემოთ;

ბ) თვლაზე „ორი“, მოსამსახურე ითავისუფლებს მარჯვენა ხელს და სწევს იარაღს დიაგონალურად, წელიდან 10 სმ-ის დაშორებით. ამავე დროს, მარჯვენა ხელს ჰკიდებს კონდახს, ხოლო იდაყვები უჭირავს ტანთან ახლოს;



თვლაზე „ერთი“

თვლაზე „ორი“

ნახ. 15. 2. (გადასვლა მდგომარეობიდან – „იარაღი ფეხთან“ მდგომარეობაში – „იარაღი მკერდზე“)

4. მდგომარეობიდან – „იარაღი მკერდზე“, მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“ გადასვლა სრულდება ორ თვლაში, კომანდაზე – „იარაღი ფეხთან“. შესასრულებელ კომანდაზე – „ფეხთან“, თვლაზე „ერთი“, მოსამსახურე მარჯვენა ხელს უშვებს ავტომატს და იარაღი გადააქვს გვერდზე, როგორც დგომში – „იარაღი ფეხთან“. ამავე დროს, მარჯვენა ხელს მიიღებს გვერდთან და იჭერს

იარაღის კონდახს (როგორც მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“). თვლაზე „ორი“, ითავისუფლებს მარცხენა ხელს, მკვეთრად დაუშვებს გვერდზე და იღებს დგომს – „სმენა“ (ნახ. 15. 3.).



თვლაზე „ერთი“

თვლაზე „ორი“

ნახ. 15.3. (გადასვლა მდგომარეობიდან – „იარაღი მკვერდზე“
მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“)

5. მდგომარეობიდან – „იარაღი ფეხთან“, მდგომარეობაში – „იარაღი ყარაულზე“ (ნახ.15.4.) გადასვლა სრულდება სამ თვლაზე, კომანდაზე – „იარაღი ყარაულზე“. შესასრულებელ კომანდა – „ყარაულზე“, მიიღება მდგომარეობა „იარაღი მკვერდზე“, ორ თვლაში. თვლაზე „სამი“, მოსამსახურე მოაბრუნებს იარაღს მარჯვენა ხელით ისე, რომ ვერტიკალურად იყოს სხეულის ცენტრიდან 10 სმ-ის დაშორებით, მჭიდროდ წინ; დასწევს იარაღს დაბლა იქამდე, ვიდრე მარცხენა წინა მკლავს ჰორიზონტალურად არ დაიჭერს და იდაყვებს გვერდებთან არ მიიტანს;



ნახ. 15. 4. (დგომი – „იარაღი ყარაულზე“)

6. მდგომარეობიდან – „იარაღი ყარაულზე“, მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“, გადასვლა სრულდება სამ თვლაში კომანდაზე – „იარაღი ფეხთან“. შესასრულებელ კომანდაზე – „ფეხთან“, თვლაზე „ერთი“, მოსამსახურე შეაბრუნებს იარაღს და იკავებს როგორც მდგომარეობაში – „იარაღი მკერდზე“. თვლაზე „ორი“ და „სამი“, სრულდება იგივე მოქმედებები, როგორც მდგომარეობაში – „იარაღი მკერდზე“.

7. იარაღის შესამოწმებელ კომანდაზე (იარაღის შემოწმება) – „შეამოწმეთ იარაღი“ ,მდგომარეობიდან – „იარაღი ფეხთან“, მდგომარეობაში – „იარაღი შემოწმებაზე“ გადასვლა ხორციელდება ექვს თვლაში (ნახ. 15. 5.):

ა) შესასრულებელ კომანდაზე – „იარაღი“, თვლაზე „ერთი“ და „ორი“, მოსამსახურე იღებს მდგომარეობას – „იარაღი მკერდზე“;

ბ) თვლაზე „სამი“, მოსამსახურე ითავისუფლებს მარჯვენა ხელს, ცერით ხსნის ცეცხლის რეჟიმის გადამრთველს, საკეტის ჩარჩოს გადასწევს გადატენის სახელურით და გააჩერებს უკანა მდგომარეობაში;

გ) თვლაზე „ოთხი“, იარაღი უნდა გადაინიოს ისე, რომ მასრის გამოსაგდები სარკმელი მაღლა იყოს მიმართული. მოწმდება მიმღები მასრის გამოსაგდები სარკმელიდან;

დ) თვლაზე „ხუთი“, მოსამსახურე უშვებს საკეტის ჩარჩოს გადატენის სახელურს ხელს, აკეთებს საკონტროლო გასროლას და დააყენებს მცველზე ცეცხლის რეჟიმის გადამრთველი;

ე) თვლაზე „ექვსი“, მოსამსახურე მიმართავს იარაღს ლულით ზემოთ და იღებს მდგომარეობას – „იარაღი მკერდზე“.



თვლაზე „ერთი“

თვლაზე „ორი“

ნახ.15. 5. (იარაღის შემოწმება)

8. მდგომარეობის – „იარაღი მარჯვენა მხარზე“ მისაღებად სრულდება შემდეგი მოქმედებები:

ა) მდგომარეობიდან – „იარაღი ფეხთან“, მდგომარეობაში – „იარაღი მარჯვენა მხარზე“ გადასვლა სრულდება ოთხ თვლაში კომანდაზე – „იარაღი მარჯვენა მხარზე“ (ნახ. 15. 6.):

ა.ა) შესასრულებელ კომანდაზე – „მხარზე“, სრულდება მოქმედება „იარაღი მკერდზე“ (ერთ თვლაში);

ა.ბ) თვლაზე „ორი“ სრულდება მოქმედებები ისევე, როგორც მდგომარეობაში – „იარაღი მკერდზე“, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მოსამსახურემ მარჯვენა ხელის ცერი და მომდევნო ორი თითი უნდა მოჰკიდოთ კონდახის ზედა ნაწილს;

ა.გ) თვლაზე „სამი“ (თავის მოუბრუნებლად) მოსამსახურე ითავისუფლებს მარცხენა ხელს და სწევს იარაღს ისე, რომ სამიზნე ზემოთ იყოს მიმართული. შემდეგ მიიღებს იარაღს მარჯვენა მხარზე. მარჯვენა გაშლილი ხელით იარაღის კონდახს იკავებს მხრის გასწვრივ წინ განეულ მდგომარეობაში. მარცხენა ხელით იკავებს სალულეს, თითები გაშლილად ეწყობა იარაღზე, ხელის გულით სხეულისაკენ. მარცხენა იდაყვი უნდა იყოს დაბლა დანეული;

ა.დ) თვლაზე „ოთხი“, მარცხენა ხელი მკვეთრად ეშვება გვერდზე და მიიღება დგომი – „სმენა“.



თვლაზე „ერთი“ თვლაზე „ორი“ თვლაზე „სამი“ თვლაზე „ოთხი“

ნახ. 15. 6. (მდგომარეობიდან – „იარაღი ფეხთან“, მდგომარეობაში – „იარაღი მარჯვენა მხარზე“ გადასვლა);

ბ) მდგომარეობიდან – „იარაღი მარჯვენა მხარზე“, მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“, გადასვლა სრულდება სამ თვლაში კომანდაზე – „ფეხთან“ (ნახ. 15. 7.):

ბ.ა) შესასრულებელ კომანდაზე – „ფეხთან“, თავის დაუხრელად მარჯვენა ხელით (გადაადგილების გარეშე) მოსამსახურე სწევს იარაღს ოდნავ მაღლა და იკავებს სხეულისადმი დიაგონალურად, წელიდან 10 სმ-ით ზევით. მარცხენა ხელს ჰკიდებს ავტომატის ლულის ზესადებს;

ბ.ბ) თვლაზე „ორი“, მოსამსახურე ითავისუფლებს მარჯვენა ხელს, მიიტანს იარაღს გვერდთან, როგორც მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“ და მარჯვენა ხელით იჭერს კონდახს;

ბ.გ) თვლაზე „სამი“, მოსამსახურე მარცხენა ხელს უშვებს იარაღს, ხელს მკვეთრი მოძრაობით დაუშვებს გვერდზე და იღებს დგომს – „სმენა“.



თვლაზე „ერთი“ თვლაზე „ორი“ თვლაზე „სამი“

ნახ. 15. 7. (გადასვლა მდგომარეობიდან – „იარალი მარჯვენა მხარზე“, მდგომარეობაში – „იარალი ფეხთან“)

9. მდგომარეობიდან – „იარალი ფეხთან“, მდგომარეობაში – „იარალი მარცხენა მხარზე“, გადასვლა სრულდება ოთხ თვლაზე, კომანდაზე – „იარალი მარცხენა მხარზე“ (ნახ. 15. 8.):

ა) შესასრულებელ კომანდაზე – „მხარზე“, ორ თვლაში, მიიღება მდგომარეობა – „იარალი მკერდთან“;

ბ) თვლაზე „სამი“, მოსამსახურე ითავისუფლებს მარცხენა ხელს და თავის დაუხრელად, მარჯვენა ხელით მიიტანს იარაღს მარცხენა მხართან ისე, რომ იდაყვი დაბლა დარჩეს დახრილი. ამავე დროს, მარცხენა ხელის ცერს და საჩვენებელ თითს ჰკიდებს კონდახის ზედა ნაწილს. მარცხენა გაშლილი ხელით იარაღის კონდახს იკავებს მხრის გასწვრივ წინ განეულ მდგომარეობაში;

გ) თვლაზე „ოთხი“, მარჯვენა ხელი მკვეთრად ეშვება გვერდზე და მიიღება დგომი – „სმენა“;



თვლაზე „ერთი“

თვლაზე „ორი“

თვლაზე „სამი“

თვლაზე „ოთხი“

ნახ. 15. 8. (გადასვლა მდგომარეობიდან – „იარაღი ფეხთან“, მდგომარეობაში – „იარაღი მარცხენა მხარზე“)

10. მდგომარეობიდან – „იარაღი მარცხენა მხარზე“, მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“, გადასვლა სრულდება ოთხ თვლაზე კომანდაზე – „იარაღი ფეხთან“ (ნახ. 15. 9.):

ა) შესასრულებელ კომანდაზე – „ფეხთან“ თვლაზე, „ერთი“, მოსამსახურე სწევს მარჯვენა ხელს მაღლა, სხეულისადმი დიაგონალურად და ჰკიდებს კონდახის ვიწრო ყელს ისე, რომ იდაყვი დაბლა დარჩეს დახრილი;

ბ) თვლაზე „ორი“ (თავის გაუნძრევლად) მოსამსახურე ითავისუფლებს მარცხენა ხელს და მარჯვენა ხელით გადასწევს იარაღს დიაგონალურად, წელიდან 10 სმ-ით მაღლა. ამავე დროს, მოჰკიდებს მარცხენა ხელს ლულის ზესადებს და უბრუნდება მდგომარეობას – „იარაღი მკერდთან“. თვლაზე „სამი“ და „ოთხი“, მოქმედებები ისევე სრულდება, როგორც მდგომარეობიდან – „იარაღი მკერდთან“ მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“ გადასვლის დროს. მარშირებისას, კომანდა გაიყვამა მიწაზე ნებისმიერი ფეხის დადგმისთანავე.



თვლაზე „ერთი“ თვლაზე „ორი“ თვლაზე „სამი“ თვლაზე „ოთხი“

ნახ. 15. 9. (გადასვლა მდგომარეობიდან – „იარაღი მარცხენა მხარზე“, მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“)

11. მდგომარეობიდან – „იარაღი ფეხთან“ მოშვებული ქამრით მდგომარეობაში – „იარაღი ქამარზე“, გადასასვლელად გაიცემა კომანდა – „იარაღი ქამარზე“, წინასწარ კომანდაზე – „იარაღი“, მოსამსახურე ჩასჭიდებს ლულას მარჯვენა ხელს და ასწევს მას ვერტიკალურად. ქამარს, ლულაზე მისამაგრებელთან ახლოს, ჩასჭიდებს მარცხენა ხელს და გაითავისუფლებს მარჯვენა ხელს. მარჯვენა ხელსა და მკლავს გაატარებს ქამარსა და იარაღს შორის და გადაიტანს ქამარს მარჯვენა მხარზე. ჩასჭიდებს ქამარს მარჯვენა ხელს ისე, რომ მაჯა იყოს პირდაპირ, მარჯვენა მკლავი – ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, იდაყვი – მჭიდროდ მიბჯენილი გვერდზე და იარაღი - ვერტიკალურ მდგომარეობაში. მარცხენა ხელი თავისუფლდება, არის მკვეთრად დაშვებული, როგორც მდგომარეობაში – „სმენა“ (ნახ. 15. 10.).



ნახ. 15.10. (გადასვლა მდგომარეობიდან – „იარაღი ფეხთან“, მოშვებული ქამრით, მდგომარეობაში – „იარაღი ქამარზე“)

12. მდგომარეობის – „იარაღი ფეხთან“ მისაღებად (დაჭიმული ქამრებით) გაიცემა კომანდა – „მოირგეთ ქამრები“. შესასრულებელ კომანდაზე – „ქამრები“, მოსამსახურე მოიხსნის იარაღს მხრიდან, შემდეგ მარჯვენა ხელს მოჰკიდებს ლულას და იარაღს ვერტიკალურად მაღლა სწევს, მარცხენა ხელით მიიღებს იარაღის კონდახს მარჯვენა თეძოზე და ჩადებს მარჯვენა მოხრილ მკლავში, ორივე ხელით დაჭიმავს ქამარს, მარცხენა ხელს მოჰკიდებს ლულის ზესადებს და გადაიტანს იარაღს პოზიციაში – „იარაღი ფეხთან“. ამავე დროს, მიიღებს მარჯვენა ხელს გვერდზე და მოჰკიდებს იარაღის კონდახს. ამის შემდეგ, გათავისუფლებულ მარცხენა ხელს, მკვეთრი მოძრაობით დაუშვებს გვერდზე და დაიკავეს როგორც დგომში – „სმენა“.

13. მდგომარეობის – „იარაღი ფეხთან“ (დაჭიმული ქამრებით) შესაცვლელად მდგომარეობით „იარაღი ქამარზე“, გაიცემა კომანდა – „იარაღი ქამარზე“. შესასრულებელ კომანდაზე – „ქამარზე“, მოსამსახურე მარცხენა ხელს (დიაგონალურად) ჰკიდებს ლულის ზესადებს, მარჯვენა ხელით მიიღებს კონდახს მარჯვენა თეძოზე და იარაღს ჩადებს მარჯვენა მოხრილ მკლავში. ორივე ხელით დაჭიმავს ქამარს, შემდეგ მოჰკიდებს მარცხენა ხელს ქამრის სამაგრს ლულასთან და მიიღებს მდგომარეობას – „იარაღი ქამარზე“;

შენიშვნა: შეიარაღებული მოსამსახურეები ეწყობიან მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“ (მოშვებული ქამრებით) გარდა სპეციფიკური შემთხვევებისა, რაზეც გაცემული იქნება შესაბამისი კომანდა.

14. იარაღის სანჯის მდგომარეობაში დასაბრუნებლად (იარაღი ფეხთან) გაიცემა კომანდა – „მოუშვით ქამრები“. შესასრულებელ კომანდაზე – „ქამრები“, მოსამსახურე მარცხენა ხელს ჰკიდებს მარჯვენა მხარზე გადაკიდებულ ქამარს, ითავისუფლებს მარჯვენა ხელს და იხსნის იარაღს მხრიდან. შემდეგ მარჯვენა ხელს ჰკიდებს ლულას და მარცხენა ხელი გადააქვს ლულის ზესადებზე, შემდეგ ისევ უშვებს მარჯვენა ხელს იარაღს და უბრუნდება სანჯის მდგომარეობას. როგორც კი მოსამსახურე მიიღებს მდგომარეობას – „იარაღი ფეხთან“, ხელახლა ჰკიდებს მარჯვენა ხელს კონდახს, ხოლო მარცხენა ხელს გაშლილ მდგომარეობაში მკვეთრი მოძრაობით მიიღებს გვერდზე, როგორც დგომში „სმენა“.

15. მოსამსახურე, იარაღით მხედრული მისალმებისას, იღებს მდგომარეობას – „იარაღი ფეხთან“, შემდეგ გადადის მდგომარეობაში – „იარაღი ყარაულზე“, აბრუნებს თავს და მზერით აცილებს უფროსს. „იარაღი ფეხთან“ დგომისას, მოსამსახურე მხედრულ მისალმებას ასრულებს ავტომატურად, დამატებითი კომანდის გარეშე. როდესაც სამხედრო მოსამსახურე იარაღით დგას მარტო, დგომს „იარაღი ყარაულზე“ იღებს დამოუკიდებლად. იგი სამხედრო მისალმების შემდეგ უბრუნდება სანჯის მდგომარეობას.

16. დგომიდან – „იარაღი ქამარზე“ მხედრული მისალმებისთვის გაიცემა კომანდა – „სააღლუმოდ თავისუფლად“ და შემდეგ კომანდა – „სმენა“. მოსამსახურე კომანდაზე – „სმენა“ გადადის დგომში – „იარაღი ქამარზე“, იმ განსხვავებით, რომ ნიკაჰს წევს მალლა და თავს აბრუნებს მეთაურისკენ (ნახ.15.11.);



ნახ. 15.11. (მხედრული მისალმება მდგომარეობიდან – „იარაღი ქამარზე“)

17. იარაღით სირბილის დროს, მხედრული მისალმებისათვის მოსამსახურე უნდა გადავიდეს აჩქარებული ნაბიჯით სიარულზე.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2012 წლის 13 თებერვლის ბრძანება №167 - ვებგვერდი, 15.02.2012წ.

მუხლის 16. სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების შეიარაღებულ მოსამსახურეთა მწყობრი

1. სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების მოსამსახურეები, რომლებიც მწყობრში იარაღით დგებიან, იღებენ სანცის დგომს, კერძოდ მოსამსახურეს ტანი უჭირავს გასწორებულ მდგომარეობაში, ფეხები მიდგმული აქვს, როგორც სმენაზე დგომისას, სახე და მხერა მიმართული აქვს პირდაპირ, ორივე ხელი აქვს ჩამოშვებული და გასწორებულ მდგომარეობაში, მარჯვენა ხელით სახელურით უჭირავს იარაღი ლულით დაბლა დაშვებულ მდგომარეობაში მარჯვენა ფეხის გასწვრივ (ნახ. 16.1.).



ნახ. 16.1. (მწყობრში იარაღით სანცისი დგომი)

2. სანცისი დგომიდან „იარაღი სააღლუმოდ მკერდზე“ თავისუფალ დგომზე გადასასვლელად, მოსამსახურე მარცხენა ფეხით გადადის თავისუფალი დგომის მდგომარეობაში, იარაღი ლულით დაშვებულ მდგომარეობაში მარჯვენა ხელით ამოაქვს მკერდთან, ხოლო მარცხენა ხელით განზე შლის იარაღის ქამარს მხარზე გადასატანად, გადააქვს მხარზე და იარაღს იჭერს მარცხენა მხარეს ლულით დაბლა დახრილ მდგომარეობაში, იარაღი დახრილი მდგომარეობით დაბლა დაშვებულია ბოლომდე, რის საშუალებასაც ქამარი იძლევა (ნახ. 16.2.).



ნახ. 16.2. (გადასვლა საწყისი დგომიდან „იარაღი სააღლუმოდ მკერდზე“ თავისუფალ დგომზე)

3. „იარაღი სააღლუმოდ მკერდზე“ თავისუფალ დგომიდან „იარაღი სააღლუმოდ მკერდზე“ სმენაზე გადასასვლელად, მოსამსახურე ფეხებს მიადგამს ისე, როგორც კომანდაზე „სმენა“ და იარაღი ამოაქვს მკერდთან იმავე დახრილობის მდგომარეობით როგორც არის „იარაღი სააღლუმოდ მკერდზე“ თავისუფალი დგომისას (ნახ. 16.3.).



ნახ. 16.3. („იარაღი სააღლუმოდ მკერდზე” სმენაზე დგომი)

შენიშვნა: იარაღით მწყობრში მდგომი სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის მოსამსახურეები მხედრულად ესალმებიან „იარაღი სააღლუმოდ მკერდზე” სმენაზე დგომის მიღებით.

მუხლი 17. სამწყობრო ილეთების შესრულება დროში

1. დროშა აღმართული უნდა იყოს მონყობაზე მეთაურის მიერ მითითებულ დროს. როდესაც მედროშე შეიარაღებულია შაშხანით (ავტომატით), ის მას ზურგზე იკიდებს ისე, რომ ქამარი დიაგონალურად კვეთდეს მკერდს, ლულა კი მიმართული იყოს ზემოთ, მარჯვენა მხარეს.

2. მონყობის შემდეგ, მედროშემ უნდა გადადგას ერთი ნაბიჯი წინ და ორი 45 სმ-იანი ნაბიჯი მარცხნივ ისე, რომ იმ მოსამსახურისაგან, რომელიც მწყობრის თავში დგას (პირით ქვედანაყოფისკენ) და ხელმძღვანელობს ქვედანაყოფს, მარჯვნივ აღმოჩნდეს:

ა) თუ მონყობას ხელმძღვანელობს ზემდგომი მეთაური და მის კომანდაზე მწყობრის წინიდან გამოდის წინ მდგომი ქვედანაყოფის უშუალო ხელმძღვანელიც, მაშინ მედროშე მის კომანდაზე – „ადგილებზე” წინ დგამს სამ ნაბიჯს;

ბ) მედროშეს დროშა წინა პირით თავისკენ აქვს მოქცეული, შემდეგ 3 სმ-ით წასწევს წინ ისე, რომ მარჯვენა ხელის იდაყვი მოხრილი უნდა ჰქონდეს. ამ მოქმედების შესრულების შემდეგ, ავტომატურად უშვებს დროშას და უბრუნდება საწყის მდგომარეობას;

გ) მედროშე ბრუნდება, გადაადგილდება, ისვენებს და გადადის მდგომარეობაში – „იარაღი ყარაულზე” ქვედანაყოფთან ერთად. იარაღის გამოყენების ილეთების შესრულების დროს, დროშა რჩება „სააღლუმოდ თავისუფლად” მდგომარეობაში;

3. როდესაც ასეული დგას მწკრივში და სწორდება მარჯვნივ გადასადგილებლად, მედროშეც იღებს მარჯვნივ სწორებას, დროშა კი საწყის მდგომარეობაში უჭირავს. ამ მდგომარეობიდან იგი გადაადგილდება ასეულიდან 5 ნაბიჯით წინ, პირველი ოცეულის ათეულის მეთაურებისაკენ. თუ ასმეთაური რიგის თავში უნდა ჩადგეს, მედროშე დგამს ორ ნაბიჯს მარცხნივ.

4. როდესაც რიგებად მონყობილი ქვედანაყოფი ასრულებს ბრუნებს მარცხნივ (მარჯვნივ), მედროშე შესასრულებელ კომანდაზე ბრუნდება ნახევრად მარცხნივ (მარჯვნივ) და ამგვარად ინარჩუნებს თავის ადგილს ქვედანაყოფში.

შენიშვნა: მედროშე დროშას მაღლა სწევს შემდეგი კომანდების წინასწარ კომანდებზე: „იარაღი ყარაულზე”, „სწორება მარჯვნივ” და „იარაღი ფეხთან” (რომელიც სრულდება მდგომარეობის – „იარაღი ყარაულზე” და „სწორება მარჯვნივ” მიღების შემდეგ), ასევე გამაფრთხილებელ კომანდაზე – „მოემზადეთ” („მოემზადეთ – პირდაპირ”);

5. მდგომარეობაში – „დროშა ფეხთან”, დროშის ტარის ბოლო უნდა ეხებოდეს მედროშის მარჯვენა ფეხის წვერს, ტარი უნდა ეჭიროს მარჯვენა გაჭიმული ხელით (ნახ.17.1.);



ნახ. 17. 1. (დროშა ფეხთან)

6. „თავისუფალი დგომის“ მისაღებად, წინასწარ კომანდაზე – „აღლუმზე“, მედროშე იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელს დროშის ტარზე ააცურებს მალლა იქამდის, ვიდრე ხელი წინმკლავით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გაჩერდება. „თავისუფალი დგომის“ შესრულების შემდეგ, მედროშემ გაშლილი მკლავით უნდა გასწიოს დროშის ტარი წინ და ამავე დროს შეასრულოს „სააღლუმო თავისუფალი დგომი“ (ნახ.17.2.).



ნახ. 17. 2. (დგომი „აღლუმზე თავისუფლად“)

7. მედროშე „თავისუფალ დგომში“ დადგება იმავე თანამიმდევრობით, როგორც „სააღლუმო თავისუფალ დგომში“, იმ განსხვავებით, რომ მედროშეს თავი და მხერა მეთაურისკენ აქვს მიმართული.

8. მედროშე თავისუფალ დგომში გადადის მდგომარეობიდან – „დროშა ფეხთან“.

9. იმისათვის, რომ მედროშემ მიიღოს დგომი – „დროშა მხართან“, გადაადგილებისთვის გაცემულ წინასწარ კომანდაზე ის მდგომარეობიდან – „დროშა ფეხთან“, მდგომარეობაში – „დროშა მხართან“ გადადის მარცხენა ხელის დახმარებით (ნახ. 17.3.). მარცხენა ხელით სწვდება დროშის ტარს და სწევს 15 სმ-ით მაღლა, ხოლო მარჯვენა ხელის ცერს მოაქცევს ტარის წინ, დაბლა დახრილს. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, სწრაფი მოძრაობით დაუშვებს მარცხენა ხელს გვერდზე და იწყებს მარშირებას;



ნახ. 17. 3. (დროშა ტარების მდგომარეობაში)

10. დროშის საწყის მდგომარეობაში („დროშა ფეხთან“) დასაბრუნებლად, მედროშე მარცხენა ხელით სწვდება დროშის ტარს და სწევს დაბლა, შემდეგ გადაიტანს დროშას მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენა ხელს მკვეთრი მოძრაობით დაუშვებს მარცხენა გვერდზე, როგორც დგომში „სმენა.“

11. სირბილის დროს მედროშე დროშას დიაგონალურად იჭერს ისევე, როგორც იარაღს მდგომარეობაში – „იარაღი მკერდზე“.

12. ანეული დროშა – წინასწარ კომანდაზე „იარაღი (იარაღი ყარაულზე) მოამზადე (სწორება მარჯვნივ (მარცხნივ)“, მედროშე მარჯვენა ხელით სწევს დროშას ვერტიკალურ მდგომარეობაში, მარცხენა ხელს კი ჩასჭიდებს ტარს და გაანონასწორებს დროშას ისე, რომ მარჯვენა ხელი იყოს მარჯვენა მხრის სიმაღლეზე. დროშა ამ მდგომარეობაში რჩება შესასრულებელი კომანდის გაცემამდე (ნახ. 17.4.).

შენიშვნა: როდესაც მედროშეს დროშა მდგომარეობიდან – „დროშა მხართან“ გადააქვს მდგომარეობაში – „ანეული დროშა“, ჯერ იღებს მდგომარეობას – „დროშა თუხთან“, შემდეგ, მარცხენა ხელს ჰკიდებს დროშის ტარს და ასწევს დროშას ისე, როგორც ამ ქვეპუნქტში არის აღწერილი. მდგომარეობიდან – „ანეული დროშა“ გადასვლა მდგომარეობაში – „დროშა მხართან“, ხდება ისე, როგორც აღწერილია ამ მუხლის მე-9 პუნქტში.



ნახ. 17. 4. (დროშის ანევა მაღლა)

13. დროშა ყარაულზე – კომანდების – „იარაღი ყარაულზე“, „სწორება მარჯვნივ (მარცხნივ)“ წინასწარ კომანდებზე მედროშე სწევს დროშას მაღლა. შესასრულებელ კომანდაზე მედროშე მარჯვენა ხელით დროშას წინ გადახრის, მოიქცევს დროშის ტარს ილღიაში და დაიკავებს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. შემდეგ მარცხენა ხელს მკვეთრი მოძრაობით მარცხენა გვერდზე დაუშვებს (ნახ. 17.5.).



ნახ. 17.5. (დროშა ყარაულზე)

14. ქვედანაყოფის დათვალიერების დროს, კომანდაზე – „მარჯვნივ“, მედროშე მზერას მარჯვნივ მიმართავს. ხოლო როცა მედროშე დროშას ასწევს კომანდაზე – „მოემზადეთ“, „წინ“, მწყობრში მყოფი მოსამსახურეები თავს ფრონტისკენ აბრუნებენ;

15. კომანდაზე – „იარალი მოანესრიგეთ“ ან „მოემზადეთ, წინ“, მედროშემ მარცხენა ხელი უნდა მოჰკიდოს დროშის ტარს ისევე, როგორც სანცის მდგომარეობაში და დროშა მაღლა ასწიოს. კომანდაზე – „ფეხთან“ ან „პირდაპირ“, მედროშე დროშას აბრუნებს მდგომარეობაში – „დროშა მხართან“ ან „დროშა ფეხთან.“

16. მედროშის მიერ მხედრული მისალმება – როდესაც მედროშეს (არა მოწყობის დროს) უწევს მისალმება მდგომარეობიდან – „დროშა მხართან“ ან „დროშა ფეხთან“, იგი მისალმებას ასრულებს მარცხენა ხელით. ამ მდგომარეობის მისალმებად მედროშემ უნდა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

ა) მედროშემ მკვეთრი მოძრაობით უნდა მიიტანოს მარცხენა ხელი დროშის ტართან ისე, რომ საჩვენებელი თითით ეხებოდეს მას. თითები უნდა იყოს გამართული და ერთმანეთთან მჭიდროდ შეერთებული, ხელისგული ქვემოთ მიმართული, მაჯა გასწორებული, მკლავი კი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში (ნახ. 17.6.).

ბ) მედროშემ მისალმების შემდეგ მარცხენა ხელი მკვეთრი მოძრაობით უნდა მიიღოს მარცხენა გვერდზე;



ნახ. 17. 6. (დროშის მდგომარეობა მისალმებისას)

17. სირბილის დროს (არა მწყობრში) მედროშემ დროშა უნდა დაიჭიროს ტარების მდგომარეობაში და შეასრულოს მისალმება ისევე, როგორც ამ მუხლის მე-16 პუნქტშია აღწერილი.

18. ამ მოქმედების შესრულების შემდეგ, მედროშე უბრუნდება „დროშის ტარების“ პოზიციას და გადადის სირბილზე (ნახ. 17.7.).



თავი VI ათეულის მწყობრი

მუხლი 18. ზოგადი დებულებანი

1. ათეულის მწყობრი არის ორი სახის:

- ა) გაშლილი ერთმწყობრიანი;
- ბ) სალაშქრო – კოლონაში ერთ ან ორ რიგად.

2. ათეულის გაშლილ მწყობრში მონყობისას, ათეულის ათვლა ხდება მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო სალაშქრო მწყობრში – ფრონტიდან სიღრმეში.

3. სწავლებისას ათეულის მონყობის ძირითადი ფორმა არის გაშლილი მწყობრი.

4. ათეულის გადაადგილებისათვის მონყობის ძირითადი ფორმა არის სალაშქრო მწყობრი. მცირე მანძილებზე ათეული შეიძლება გაშლილი მწყობრითაც გადაადგილდეს.

5. გაშლილი ერთმწყობრიანი მწყობრის კოლონაში ერთ რიგად გადანყოფა ხდება ათეულის მარჯვნივ მობრუნებით.

6. ათეულის მიერ ბრუნები ადგილზე და მოძრაობაში სრულდება ისევე, როგორც ინდივიდუალური ილეთების შესრულების დროს.

7. ათეულის ერთ მწყობრად მონყობისას, ათეულის მეთაური (მოსამსახურე რომელსაც დავალებული აქვს აღნიშნული ფუნქცია) დგება ქვედანაყოფის ცენტრიდან სამი ნაბიჯით წინ, ხოლო, როცა ათეული მონყობილია კოლონაში ერთ ან ორ რიგად, მეთაური იკავებს პოზიციას ქვედანაყოფის ცენტრიდან სამი ნაბიჯით მარცხნივ; როცა ათეული მონყობილია უფრო დიდი ქვედანაყოფის შემადგენლობაში, მისი მეთაური ათეულში იკავებს ნომერ პირველ პოზიციას.

მუხლი 19. ათეულის მონყოფა

1. ათეული, ძირითადად, მოეწყობა ერთ მწყობრში, საჭიროების შემთხვევაში კი შეიძლება გადაეწყოს რიგებად ისე, რომ თითოეულ წევრს მწყობრში თავისი ადგილი ჰქონდეს მიკუთვნებული (ნახ.19.);

2. ჩვეულებრივი ინტერვალით მონყობისას, ათეულის მეთაური დგება დგომში „სმენა“ და გასცემს კომანდას – „მოწყვეტ“, ამას მოსდევს ათეულის პირადი შემადგენლობის მიერ შემდეგი ერთდროული მოქმედებები:


ა) თითოეული წევრი სირბილით მიემართება თავისი პოზიციისაკენ;

ბ) მარჯვენა ფლანგზე მყოფი მოსამსახურე დგება ისე, რომ ათეული იყოს ათეულის მეთაურისაგან სამი ნაბიჯით წინ და მწყობრის ცენტრი უსწორდებოდეს ათეულის მეთაურს;

გ) მარჯვენა ფლანგზე მდგომი მოსამსახურე იღებს დგომს „სმენა“, მაღლა სწევს მარცხენა ხელს მხრის დონეზე, იდაყვში მოუხრელად, თითები აქვს გამართული და მჭიდროდ შეერთებული, ხელისგული ქვემოთ არის მიმართული;

დ) მარჯვენა ფლანგის მოსამსახურიდან მარცხნივ, ყველაზე ახლოს მდგომი მოსამსახურე იღებს დგომს „სმენა“, აბრუნებს თავს მარჯვნივ და იკავებს ხელს იმავენივრად, როგორც მის მარჯვნივ მდგომი. მოძრაობს წინ და უკან მოკლე ნაბიჯებით, სანამ ზუსტად არ გაუსწორდება მარჯვენა ფლანგის მოსამსახურეს. შემდეგ ის მარცხნივ და მარჯვნივ მოკლე ნაბიჯების გადადგმით იკავებს ზუსტ ინტერვალს, სანამ მისი მხარი არ შეეხება მარჯვენა ფლანგის ჯარისკაცის თითებს. ამის შემდეგ დანარჩენები დაუშვებენ ხელებს, მკვეთრად მიაბრუნებენ თავს წინ და იღებენ დგომს „სმენა“;

- ე) მარჯვენა ფლანგზე მდგომი მოსამსახურე მყისვე იღებს ღგომს „სმენა“;
- ვ) ათეულის ყველა დანარჩენი წევრი ღგება იმავე მდგომარეობაში, გარდა მარცხენა ფლანგის მოსამსახურისა, რომელიც მალა არ სწევს მარცხენა ხელს.



ნახ. 19. (ათეულის მონყობა)

შენიშვნა: მარჯვენა ფლანგის მოსამსახურე მალა სწევს ხელს და იყურება პირდაპირ, სანამ ათეული არ გაუსწორდება მას. თუ მოსამსახურე (მარჯვენა ფლანგი) თვითონ უნდა გაუსწორდეს მის მარჯვნივ მდგომ ათეულს, მაშინ ის აბრუნებს თავს მარჯვნივ და ღგება მის გასწვრივ.

3. მონყობა „ახლო ინტერვალით“ (მიჯრილი ინტერვალით) სრულდება ისევე, როგორც „ნორმალური ინტერვალით“ (განმკლავით გაჯრილი ინტერვალი), იმ განსხვავებით, რომ ამჯერად გაიცემა კომანდა – „ახლო ინტერვალით, მოეწყვეთ“. ათეულის შემადგენლობა განლაგდება ახლო ინტერვალით, მარცხენა ხელის შეკუმშული მუშტი მიღებული აქვთ ბარძაყზე ისე, რომ იდაყვი სხეულს სიგრძეზე უსწორდებოდეს და ეხებოდეს მარცხნივ მდგომი მოსამსახურის მკლავს.

4. ათეულის მეთაური მოსაწყობად ღგება მითითებული ფლანგის პირისპირ და გასცემს კომანდას – „ათეულო, ორ რიგად, მოეწყვეთ“. ამ კომანდის შესრულებისას ათეულის მოსამსახურეები ეწყობიან ორ რიგად ისე, რომ უკანა პოზიციაზე მდგომი მოსამსახურე უსწორდება მის წინ მდგომს;

შენიშვნა: რიგებში მოსამსახურეებს შორის სრული მანძილი დაახლოებით 90 სმ-ია, რაც უტოლდება ერთი ხელის განვდენას პლუს 15 სმ.

5. მონყობის დანყობამდე (უსათრთხოების მიზნით) გაიცემა კომანდა – „შემომწმეთ იარაღი“ და შემდეგ იწყება ილეთების შესრულება „მოემზადეთ, იარაღი მკერდზე“; „იარაღი ქამარზე“. იარაღის შემომწმება კომანდის – „დაიშალეთ“ გაცემამდეც სრულდება.

მუხლი 20. გათვლა

1. ათეულის გათვლა წარმოებს როგორც გაშლილ მწყობრში, ასევე სალაშქრო კოლონაში. ათეულის გათვლისათვის გაიცემა კომანდა – „ათეულო-გათვალე“. კომანდის – „გათვალე“ გაცემამდე გაიცემა კომანდა – „თავისუფლად“;

2. ათეულის გაშლილ მწყობრში გათვლა ხდება მარჯვნიდან მარცხნივ. ათეულის თითოეული მოსამსახურე, გარდა მარჯვენა ფლანგზე მდგომისა, აბრუნებს თავს მარჯვნივ. მარჯვნივ მდგომი მოსამსახურე ამბობს „ერთი“. ათეულის დანარჩენი პირადი შემადგენლობა გათვლის რიგითობის მიხედვით. მოსამსახურე რიცხვის დასახელებისთანავე აბრუნებს თავს პირდაპირ;

3. სალაშქრო კოლონაში გათვლა ხდება ფრონტიდან სილრმეში. პირველი მოსამსახურე რიცხვის დასახელებისას აბრუნებს თავს მარჯვნივ, მხრის ზემოდან ამბობს „ერთი“ და სწრაფად აბრუნებს თავს პირდაპირ. ათეულის დანარჩენი პირადი შემადგენლობა, იგივე თანამიმდევრობით ასახელებს თავის ნომერს. მხოლოდ რიგის ბოლოს მდგომი მოსამსახურე არ აბრუნებს თავს მარჯვნივ.

მუხლი 21. მწკრივში ინტერვალის შეცვლა

1. მწკრივში ინტერვალის შესაცვლელად, იმისათვის რომ მოსამსახურეებმა გაარკვიონ გადასადგმელი ნაბიჯების რაოდენობა, მეთაურმა ინტერვალის შეცვლაზე კომანდის გაცემამდე, უნდა გასცეს კომანდა: „გათვალეთ, თავისუფლად“. მოსამსახურეებმა ინტერვალის შეცვლისას არ უნდა ასწიონ მკლავები;

2. ნორმალური ინტერვალიდან (განმკლავით გაჭრილი ინტერვალიდან) ახლო ინტერვალზე (მიჭრილ ინტერვალზე) გადასასვლელად გაიცემა კომანდა: „ახლო ინტერვალით, ნაბიჯით – იარ“. კომანდაზე – „იარ“ მარჯვენა ფლანგზე მდგომი პირველი მოსამსახურე ადგილზე რჩება, ხოლო მის მარცხნივ მდგომი მოსამსახურეები მარჯვნივ, განზე დგამენ სათანადო (თავიანთ ნომრებზე ერთით ნაკლებ) ნაბიჯებს და ჩერდებიან.

შენიშვნა: ათეულის მეთაური დგამს შესაბამისი რაოდენობის ნაბიჯებს, რათა შეინარჩუნოს პოზიცია (სამი ნაბიჯით წინ, სახით ათეულის ცენტრისაკენ).

3. ახლო ინტერვალიდან (მიჭრილი ინტერვალიდან) ნორმალურ ინტერვალზე გადასასვლელად გაიცემა კომანდა: „ნორმალური (განმკლავით გაჭრილი) ინტერვალით, ნაბიჯით – იარ“. კომანდაზე – „იარ“, მარჯვენა ფლანგზე მდგომი მოსამსახურე ადგილზე რჩება, ხოლო მის მარცხნივ მდგომი მოსამსახურეები მარცხნივ, განზე დგამენ ნაბიჯებს (თავიანთ ნომრებზე ერთით ნაკლებს) და ჩერდებიან.

4. ნორმალური ინტერვალიდან (განმკლავით გაჭრილ ინტერვალიდან) ორმაგ ინტერვალზე (ორმაგი განმკლავით გაჭრილ ინტერვალზე) გადასასვლელად გაიცემა კომანდა: „განმკლავით (გაჭრილი) მწყობრით, ნაბიჯით – იარ“. კომანდაზე – „იარ“ მარჯვენა ფლანგზე მდგომი მოსამსახურე ადგილზე რჩება, ხოლო მის მარცხნივ მდგომი მოსამსახურეები, რომლებსაც პირი მიბრუნებული აქვთ მარცხნივ, დგამენ დაახლოებით სრულ ნაბიჯებს (თავიანთ ნომრებზე ერთით ნაკლები რაოდენობის), ჩერდებიან და იღებენ დგომს – „სწორება მარჯვნივ“.

5. ორმაგი ინტერვალიდან (ორმაგი განმკლავით გაჭრილი ინტერვალიდან) ნორმალურ ინტერვალზე (განმკლავით გაჭრილ ინტერვალზე) გადასასვლელად გაიცემა კომანდა: „ნორმალური ინტერვალით, ნაბიჯით – იარ“. კომანდაზე – „იარ“ მარჯვენა ფლანგზე მდგომი მოსამსახურე ადგილზე რჩება, ხოლო მის მარცხნივ მდგომი მოსამსახურეები მიბრუნებული პირით მარჯვნივ (როგორც მარშის დროს) დგამენ სრულ ნაბიჯებს (თავიანთ ნომრებზე ერთით ნაკლებს), ჩერდებიან და იღებენ მდგომარეობას „სწორება მარცხნივ“.

მუხლი 22. ათეულის ერთ ხაზზე გასწორება

1. ერთ ხაზზე ათეულის გასწორების კომანდის გაცემამდე, ათეულის მეთაური აწყობს ათეულს შესაბამის მწყობრში;

2. ნორმალურ ინტერვალზე (განმკლავით გაჭრილ ინტერვალზე) ათეულის ერთ ხაზზე მოსაწყობად გაიცემა კომანდები: „სწორება მარჯვნივ“, „სწორდი“ და „მოემზადეთ, პირდაპირ“. მოსამსახურეების იარაღით მონყოფის შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული კომანდები გაიცემა მხოლოდ მდგომარეობაში – „იარაღი ფეხთან“ ან „იარაღი ქამარზე“. კომანდაზე – „სწორდი“, მარჯვენა ფლანგზე მდგომი მოსამსახურე ადგილზე რჩება. დანარჩენები აბრუნებენ თავს მარჯვნივ და უსწორდებიან მარჯვნივ მდგომს. თითოეული მოსამსახურე, მარცხენა ფლანგზე მდგომის გარდა, იდაყვში გაშლილ მარჯვენა ხელს გაიწვდის გვერდზე, ზუსტად მხრის სიმაღლეზე (ხელის მტევანი შეკრულია, ხელისგული მიმართულია ქვემოთ), მარჯვნივ და მარცხნივ მოკლე-მოკლე ნაბიჯების გადადგმით საბოლოოდ იკავებს ისეთ პოზიციას, რომ მისი მარჯვენა მხარი ეხებოდეს მარჯვნივ მდგომი მოსამსახურის თითის წვერებს. კომანდაზე – „პირდაპირ“ ათეულის მთლიანი შემადგენლობა მკვეთრად იღებს დგომს – „სმენა“ (ნახ.22.1);



ნახ.22.1. (ხაზზე მონყოფა გაჭრილ მწყობრში)

შენიშვნა: ერთ ხაზზე ათეულის უფრო ზუსტად გასწორების მიზნით, კომანდაზე – „სწორდით“ ათეულის მეთაური თავს აბრუნებს ნახევრად მარცხნივ, მიდის პირდაპირ, უსწორდება იმ ხაზს, სადაც ათეული დგას და ჩერდება მარჯვენა ფლანგის მოსამსახურიდან ერთი ნაბიჯის სიშორეზე. თავისი პოზიციიდან ის ამოწმებს ათეულის განლაგებას სწორ ხაზზე, მიმართავს მათ სახელებით ან ნომრების მიხედვით წინ წასაწევად ან უკან დასახევად. ხაზზე ათეულის მონყოფის შემდეგ, მეთაური მარცხნივ ან მარჯვნივ მოკლე-მოკლე ნაბიჯების გადადგმით გაუსწორდება მარჯვენა ფლანგზე მდგომ ჯარისკაცს (სახით მისკენ). შემდეგ ნახევრად მიაბრუნებს თავს მარჯვნივ და უბრუნდება საწყის მდგომარეობას (ათეულის ცენტრს), ჩერდება ათეულისადმი პერპენდიკულარულად სახით მარცხნივ და გასცემს კომანდას: „მოემზადეთ – წინ“. ეს მოქმედებები სრულდება ათეულის მიჭრილი ან განმკლავით გაჭრილი მწყობრით ხაზზე განლაგებისათვის.

3. ხაზზე ახლო ინტერვალით (მიჭრილი ინტერვალით) ათეულის გასასწორებლად გაიცემა კომანდა: „ახლო ინტერვალით სწორება მარჯვნივ – სწორდით“ და „მოემზადეთ – წინ“. ხაზზე ნორმალური ინტერვალით (განმკლავით გაჭრილი ინტერვალით) განლაგებისას იგივე მოძრაობები სრულდება (თუ არ ხდება გადასვლა ახლო ინტერვალით მწყობრზე) (ნახ.22.2).



ნახ. 22. 2 (ხაზზე მონყობა მიჯრილ მწყობრში)

4. ხაზზე ორმაგი ინტერვალით (ორმაგი განმკლავის ინტერვალით) ათეულის განლაგებისათვის გაიყვამ კომანდები: „ორმაგი ინტერვალით, სწორება მარჯვნივ – სწორდით“ და „მოემზადეთ – წინ“. ეს კომანდები გაიყვამ მხოლოდ მაშინ, როცა მოსამსახურეები უიარალოდ არიან ან იმყოფებიან დგომში „იარალი ქამარზე“. კომანდაზე – „სწორება მარჯვნივ“ თითოეული მოსამსახურე (მარჯვენა ფლანგზე მდგომის გარდა) თავს აბრუნებს მარჯვნივ და გაუსწორდება მარჯვნივ მდგომ მოსამსახურეს. ამავე დროს, მოსამსახურეები (გარდა მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე მდგომებისა) განზე სწევენ ორივე ხელს და (წინ და უკან მოკლე ნაბიჯების გადადგმით) გაუსწორდნენ მარჯვნივ და მარცხნივ მდგომ მოსამსახურებს ისე, რომ ხელის თითების წვერებით ერთმანეთს ეხებოდნენ (მარჯვენა ფლანგზე მდგომი მოსამსახურე სწევს მარცხენა ხელს, ხოლო მარცხენა ფლანგზე მდგომი – მარჯვენას).

5. ერთ რიგში ათეულის გასასწორებლად გაიყვამ კომანდა: „გაუსწორდით“ და „შენწყვიტეთ გასწორება“. კომანდაზე – „გაუსწორდით“ თითოეული მოსამსახურე (გარდა პირველისა) წინ განეულ, იდაყვში გაშლილ მარცხენა ხელს სწევს მხრის სიმაღლეზე (ხელის მტევანი შეკრულია, ხელისგული კი მიმართულია ქვემოთ) და დგება მის წინ მდგომი ჯარისკაცისაგან ერთი ხელის განვდენას პლუს 15 სმ დაშორებით. ამავე დროს, უკან მდგომი თითოეული მოსამსახურე უსწორდება მის წინ მდგომს. კომანდაზე – „შენწყვიტეთ გასწორება“ დაუყოვნებლივ მიიღება დგომი „სმენა“.

მუხლი 23. გადაადგილება ათეულის შემადგენლობაში

1. მწკრივში მონყობილ ათეულს გადაადგილება შეუძლია მხოლოდ მოკლე მანძილზე.
2. დიდ მანძილზე ათეული რიგში მონყობილი გადაადგილდება.
3. მწკრივიდან რიგში მწყობრზე გადასვლისათვის გაიყვამ კომანდა – „მარჯვნივსა-კენ“.
4. მწკრივში ახლო ინტერვალით (მიჯრილი ინტერვალით) დგომიდან რიგში გადასასვლელად, ათეულის მოსამსახურეებმა მოკლე მანძილზე უნდა გაიარონ ნახევარ-ნახევარი ნაბიჯებით, რაც მათ შორის დადგენილ დისტანციას ამცირებს. დადგენილი დისტანციის აღსადგენად გაიყვამ კომანდა: „გაიშალეთ, ნაბიჯით - იარ“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ პირველი მოსამსახურე დგამს კიდევ ერთ არასრულ ნაბიჯს და შემდეგ სვლას აგრძელებს სრული ნაბიჯებით. ათეულის ყოველი მოსამსახურე იწყებს სიარულს სრული ნაბიჯებით, დაახლოებით იმ ადგილიდან, სადაც პირველმა ჯარისკაცმა გადადგა პირველი ნაბიჯი ან დადგენილი დისტანციის აღდგენისთანავე.

მუხლი 24. მიმართულების შეცვლა რიგის შიგნით გადაადგილებისას

1. ადგილიდან 45 ან 90 გრადუსით შეცვლილი მიმართულებით მოძრაობის გასაგრძელებლად გაიცემა კომანდა: „რიგო, მარჯუნისაკენ (მარცხნისაკენ), ნაბიჯით - იარ” ან „რიგო, ნახევრად მარჯუნისაკენ (მარცხნისაკენ), ნაბიჯით - იარ”. კომანდაზე – „ნაბიჯით - იარ”, თავში მდგომი მოსამსახურის მითითებული მხარის შესაბამისი ფეხის ქუსლზე ბრუნდება, დგამს სრულ ნაბიჯს მითითებული მიმართულებით და განაგრძობს სვლას. მეორე მოსამსახურე დგამს უფრო მოკლე ან გრძელ ნაბიჯს პირველი მოსამსახურის მიმართულების შეცვლის წერტილამდე. როცა ის (მეორე მოსამსახურე) მიაღწევს, პირველი მოსამსახურის მიმართულების შეცვლის წერტილს, ბრუნდება ფეხის ქუსლზე და უკან მდგომი ფეხით დგამს სრულ ნაბიჯს ახალი მიმართულებით. ათეულის დანარჩენი წევრები პირველ ნაბიჯს დგამენ მარცხენა ფეხით და განაგრძობენ სვლას სრული ნაბიჯებით, როგორც მეორე მოსამსახურე.

2. მარშირებისას, მიმართულების 45 ან 90 გრადუსით შესაცვლელად, გაიცემა კომანდა: „რიგო, მარჯუნისაკენ (მარცხნისაკენ) ნაბიჯით - იარ” ან „რიგო, ნახევრად მარჯუნისაკენ (მარცხნისაკენ) ნაბიჯით - იარ”. შესასრულებელი კომანდა – „იარ” გაიცემა მიწაზე მობრუნების მიმართულების შესაბამისი ფეხის დადგმისთანავე, რასაც მოჰყვება შემდეგი მოქმედებები: პირველი მოსამსახურე დგამს დამატებით კიდევ ერთ ნაბიჯს, ბრუნდება და განაგრძობს სვლას ნაბრძანები მიმართულებით, დანარჩენები განაგრძობენ მწყობრით სიარულს წინ და ბრუნდებიან ისე, როგორც პირველ პუნქტშია მითითებული.

3. მწკრივში მარშირებისას, დაბრკოლების გვერდის ასავლელად მეთაური მიუთითებს: „შემოუარეთ მარცხნიდან (მარჯვნიდან)”. პირველი მოსამსახურე შემოუვლის მარცხნიდან (მარჯვნიდან) დაბრკოლებას და განაგრძობს სვლას საწყისი მიმართულებით. დანარჩენები მიჰყვებიან პირველ მოსამსახურეს.

მუხლი 25. გადაადგილება ფლანგისაკენ

ფლანგისაკენ ათეული გადაადგილდება (ისიც მცირე მანძილზე) მაშინ, როდესაც მოწყობილია რიგში. ამ მოქმედების შესასრულებლად გაიცემა კომანდა: „მარჯვენა (მარცხენა) ფლანგისაკენ, ნაბიჯით - იარ”. შესასრულებელი კომანდა – „იარ” გაიცემა მობრუნების მიმართულების შესაბამისი ფეხის მიწაზე დადგმისთანავე, კომანდაზე ათეულის ყველა მოსამსახურე დგამს კიდევ ერთ ნაბიჯს, ბრუნდება წინ გადადგმული ფეხის ქუსლზე 90 გრადუსით (ნაბრძანები მიმართულებით) და განაგრძობს სვლას მეორე (უკან მდგომი) ფეხით. ფლანგისაკენ მარშირებისას მოსამსახურეებს მიღებული უნდა ჰქონდეთ დგომი – „სწორება მარჯვნივ”.

მუხლი 26. ათეულის ორ რიგად მონყობა და გადაწყობა

1. მწკრივიდან ორ რიგად ათეული გადაწყობა მისი შეჩერების შემდეგ. ამისათვის გაიცემა კომანდა: „ორ რიგად მარჯვნივ (მარცხნივ), ნაბიჯით - იარ”. წინასწარ კომანდაზე წინ მდგომი ჯგუფის წინამძღოლი თავისი მოსამსახურეებისათვის გასცემს კომანდას: „ადგილზე - დარჩით”, მისი მომდევნო ჯგუფის წინამძღოლი კი ხელქვეითებს მიმართავს: „რიგო, ნახევრად მარჯვნივ (მარცხნივ), ნაბიჯით”. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ” მომდევნო ჯგუფის ხელმძღვანელი თავად წაუძღვება თავის რიგს, შემობრუნდება მარცხნივ (მარჯვნივ), ვიდრე დადგენილი ინტერვალი (ჯარისკაცებს შორის) არ აღდგება გასცემს კომანდას: „ადგილზე ნაბიჯით - იარ” და „ჯგუფო - სდექ”, თვითონ კი ხაზზე უსწორდება წინა ჯგუფის ხელმძღვანელს;

2. ორრიგიანი მწყობრიდან ერთმწკრივიან მწყობრზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ შეჩერების შემდეგ:

ა) ამ მოქმედების შესასრულებლად გაიცემა კომანდა: „მწკრივო, მარცხნიდან (მარჯვნიდან), ნაბიჯით - იარ”. წინასწარ კომანდაზე წინ მდგომი ჯგუფის ხელმძღვანელი მიმართავს თავის მოსამსახურეებს: „პირდაპირ”, ხოლო მომდევნო ჯგუფის ხელმძღვანელი – „დარჩით - ადგილზე”;

ბ) შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, წინა ჯგუფი მიდის პირდაპირ. როგორც კი მენინავე ჯგუფის ბოლოდან მეორე ჯარისკაცი გაუსწორდება მომდევნო ჯგუფის ხელმძღვანელს, ეს უკანასკნელი გასცემს წინასწარ კომანდას: „რიგო, ნახევრად მარცხნივ, ნაბიჯით“;

გ) როდესაც მენინავე ჯგუფის ბოლო ჯარისკაცი გაუსწორდება მომდევნო ჯგუფის ხელმძღვანელს და მიწაზე დაადგამს მარჯვენა ფეხს, მომდევნო ჯგუფს ეძლევა კომანდა „იარ“. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი ბრუნდება მარცხნივ (მარჯვნივ), რათა მიჰყვეს მენინავე ჯგუფს დადგენილ დისტანციაზე.

შენიშვნა: თუ ჯგუფი მარჯვნივსავე გადაადგილდება ან მეორე ჯგუფი მარჯვნივ მიჰყვება, მისი ხელმძღვანელი კომანდებს გასცემს მარჯვენა მხრიდან, ხოლო თუ მარცხნისაკენ მიდის (ან მეორე ჯგუფი მარცხენა მხრიდან მიჰყვება) – მარცხნიდან.

მუხლი 27. ათეულის დაშლა

ათეული დაშლის წინ დგება დგომში – „სმენა“. იარაღიანი მოსამსახურეებისათვის კომანდამდე – „დაიშალეთ“, გაიცემა შემდეგი კომანდები: „შეამოწმეთ - იარაღი“, „მოემზადეთ, იარაღი - მკერდზე“, „იარაღი ფეხთან“, „იარაღი ქამარზე“. უიარაღო ათეულებისათვის გაიცემა მხოლოდ კომანდა „დაიშალეთ“.

მუხლი 28. იარაღის აღება და დანყოფილება

1. ათეულის წევრები იარაღს აწყობენ მწკრივში (გაჭრილ მწყობრში) დგომისას პოზიციიდან – „იარაღი - ფეხთან“. როცა ათეული მწკრივში დგას, ათეულის მეთაური გასცემს კომანდას: „გაითვალეთ“ და დანიშნავს მოსამსახურეებს, რომლებიც ავტომატებს დააწყობენ ნუმერაციის მიხედვით.

შენიშვნა: სხვადასხვა სერიის შაშხანების ერთად დანყოფილება მიზანშეწონილი არ არის. ორი სხვადასხვა სერიის შაშხანები უნდა დაეწყოს (ჯგუფურად) ცალ-ცალკე მიწაზე ისე, რომ მოსამსახურეებს მათი დანახვა არ გაუძნელდეთ.

2. როცა ათეული არის უფრო დიდი ქვედანაყოფის შემადგენელი ნაწილი, ჯგუფურად იარაღის დანყოფილება შეიძლება რიგში მოწყობის დროსაც. თუ ქვედანაყოფი შედგება სამი ან მეტი მწკრივისაგან და ათეულები დგანან ნორმალური ინტერვალით (განმკლავით გაჭრილი ინტერვალით), მწყობრში მეორე ან მესამე ათეულს დაევალებათ იარაღის დანყოფილება ჯგუფურად.

მუხლი 29. ქამრების მომზადება

იარაღის დამწყობი პირადი შემადგენლობის განსაზღვრის შემდეგ, ათეულის მეთაური გასცემს კომანდას – „მოამზადეთ - ქამრები“. შესასრულებელ კომანდაზე – „ქამრები“ იარაღის დამწყობი თითოეული მოსამსახურე მარჯვენა ხელს ჰკიდებს თავისი შაშხანის ლულას და სწევს იარაღს ვერტიკალურად, მარცხენა ხელით მიიღებს შაშხანის კონდახს მარჯვენა თეძოზე, მოიმარჯვებს იარაღს მარჯვენა მოხრილი იდაყვით და ორივე ხელით არეგულირებს საქამრეს. ამის შემდეგ უბრუნდება დგომს „იარაღი ფეხთან“.

მუხლი 30. იარაღის აღება

იარაღის ასაღებად გაიცემა კომანდა „აიღეთ იარაღი“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარაღი“ მოსამსახურეები იღებენ თავიანთ იარაღს იმავე წესით, როგორც დააწყეს. იარაღის ამღებ მოსამსახურეს ისევე უჭირავს ყულფი, როგორც დანყოფილისას, მის მარცხნივ და მარჯვნივ მდგომი

მოსამსახურეები დგებიან მის წინ, იხრებიან, იღებენ თავიანთ აიარაღს და იჭერენ ჰორიზონტალურად ერთი ხელის – კონდახის ვინრო ყელზე, ხოლო მეორის – ლულის ზესადებზე ჩავლებით. მარჯვნივ მდგომი მოსამსახურე პირველი დაუშვებს თავის იარაღს და იღებს მდგომარეობას „იარაღი ფეხთან“. მარცხნივ მდგომი მოსამსახურე იგივეს იმეორებს.

თავი VII **ოცეულის მწყობრი**


მუხლი 31. ზოგადი დებულებანი

1. ოცეული შეიძლება განლაგდეს მწკრივში ან რიგში (ნახ.31.). რიგში განლაგებისას ოცეულში შემავალი ათეულები, ნომრების მიხედვით ფრონტიდან ზურგისაკენ დაეწყოებიან, ხოლო მწკრივში მონყობისას – მარცხნიდან მარჯვნივ.

2. ოცეულის სამწყობრო მომზადება, უმეტეს შემთხვევაში, უზრუნველყოფს ათეულების შერწყმულ მოქმედებას ქვედანაყოფის შემადგენლობაში. ინდივიდუალური მომზადება და იარაღის ხმარება ათეულის მომზადებისას აღწერილი მოქმედებების მსგავსად ხდება:

ა) ოცეულის მონყობისა და გადაადგილების დროს, ოცეულის მეთაურსა და ოცეულის სერჟანტს (მოსამსახურეები, რომლებსაც დაეკისრებათ ოცეულის მეთაურისა და ოცეულის სერჟანტის ფუნქცია) იარაღი აქვთ მდგომარეობაში – „ქამარზე“. ასეულის შემადგენლობაში ოცეულის მონყობისას, ოცეულის მეთაური და ოცეულის სერჟანტი რჩებიან იმავე მდგომარეობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისალმება ხელით ხდება;

ბ) ოცეულის სერჟანტის მიერ, ოფიცრის გარეშე, ოცეულის რიგში ან მწკრივში მონყობისას, ოცეულის სერჟანტი იკავებს პოზიციას ოცეულის ცენტრიდან სამი ნაბიჯით წინ;



ნახ.31. (ოცეულის მწყობრი)

გ) ოცეულის მეთაურის თანხლებით, ოცეულის რიგში ან მწკრივში მონყობისას, ოცეულის სერჟანტი დგება ოცეულის მწყობრის ცენტრიდან ერთი ნაბიჯით უკან;

დ) ოცეულის მეთაურის თანხლებით მარშირებისას, მწკრივის მწყობრიდან რიგის მწყობრზე გადასვლის დროს, ოცეულის სერჟანტი ბრუნდება მარცხნივ და მიემართება თავისი ადგილისაკენ. შემდეგ იგი ჩერდება და ბრუნდება მარჯვნივ, ხოლო რიგის მწყობრიდან მწკრივის მწყობრზე გადასვლისას, ოცეულის სერჟანტი ბრუნდება მარჯვნივ და მიემართება პირდაპირ თავისი ადგილისაკენ, ჩერდება ოცეულის ცენტრში და ბრუნდება მარცხნივ;

შენიშვნა: როდესაც რიგები არ არის შევსებული, ოცეულის სერჟანტს, სისწორის დასაცავად, მოსამსახურეები უფრო გრძელი რიგიდან არასრულ რიგში გადაჰყავს ან მას შეუძლია თვითონ შეავსოს ცარიელი ადგილი, როგორც მარჯვენა ფლანგის ბოლო მოსამსახურემ.

ე) მარშირების დროს, ოცეულის მეთაურის მიერ მწყობრის მართვის ოცეულის სერჟანტისათვის გადასაცემად, ოცეულის სერჟანტი მარჯვენა ფლანგის შემოვლით იკავებს ოცეულის მეთაურის ადგილს, ხოლო ოცეულის მეთაური მარცხენა ფლანგის შემოვლით – სერჟანტის ადგილს;

ვ) კომანდების: „გამლილი მწყობრით – იარ“; „ზურგისა - კენ“; „მარჯვენა (მარცხენა) ფეხით – იარ“; „პირდაპირ – იარ“ და იმ კომანდების შესრულების დროს, რომლებიც იწვევს ოცეულის მწყობრში ინტერვალის შეცვლას, ოცეულის მეთაური შესასრულებელი კომანდის გაცემისთანავე (შესაბამისი ნაბიჯით) მიემართება შესაბამისი პოზიციის დასაკავებლად;

ზ) ოცეულის მწკრივში მონყობისას, სანყისი წერტილი პირველი ათეულის მეთაურია, ხოლო რიგში მონყობისას – მეოთხე ათეულის მეთაური;

თ) სანვრთნელი მეცადინეობების დროს, ქვედანაყოფებში მონინავე ოცეულის მედროშის დგომის ადგილია ოცეულიდან სრული ნაბიჯით წინ და სრული ნაბიჯით მარჯვნივ, ოცეულის მეთაურის პირდაპირ. მარშირებისას, როცა მწყობრი მარჯვნივ ბრუნდება, მედროშე მოქმედებს ისევე, როგორც ნაჩვენებია 23-ე მუხლში, იმ განსხვავებით, რომ იგი დგას ათეულის მეთაურთა ცენტრიდან სამი ნაბიჯით წინ. თუ ოცეულის მეთაურს თავისი ადგილი უკავია, მაშინ მედროშე დგება ერთი ნაბიჯით უკან და ოცეულის მეთაურისაგან სრული ნაბიჯით მარცხნივ;

ი) ოცეულის, როგორც ცალკეული ქვედანაყოფის, მწკრივში მონყობისას ოცეულის მეთაური დგას ოცეულის ცენტრიდან ექვსი ნაბიჯით წინ. რიგში მონყობისას ოცეულის მეთაური დგას ოცეულის ცენტრიდან ექვსი ნაბიჯით მარცხენა ფლანგისაკენ. ოცეულის, როგორც უფრო დიდი ქვედანაყოფის შემადგენლობის, მარშირებისას ოცეულის მეთაური დგას ათეულის მეთაურთა ცენტრიდან ერთი ნაბიჯით წინ;

კ) როდესაც ოცეულის მეთაური გასცემს კომანდებს: „გაშლილი მწყობრით – იარ“, „ზურგისა – კენ“, „მარჯვენა (მარცხენა) ფეხით – იარ“, „პირდაპირ – იარ“ ან ახდენს ინტერვალის ცვლილებას ოცეულში, იგი მიემართება შესაბამისი პოზიციის დასაკავებლად;

კ.ა) მარშირებისას, მწკრივის მწყობრიდან რიგის მწყობრზე გადასასვლელად ოცეულის მეთაური ბრუნდება მარჯვნივ და მიემართება პირდაპირ თავისი პოზიციისაკენ, ჩერდება და ბრუნდება მარცხნივ;

კ.ბ) მარშირებისას, რიგის მწყობრიდან მწკრივის მწყობრზე გადასასვლელად ოცეულის მეთაური ბრუნდება მარცხნივ, მიემართება თავისი ადგილისაკენ, შემდეგ ჩერდება ქვედანაყოფის პერპენდიკულარულად და ბრუნდება მარჯვნივ.

მუხლი 32. ოცეულის მონყობა

1. ოცეული, ჩვეულებრივ, ეწყობა მწკრივში, თუმცა იგი შეიძლება გადაეწყოს რიგში, თითოეულ მოსამსახურეს შეუძლია განსაზღვროს ზუსტი ადგილი მწყობრში.

2. ოცეულისა და ათეულის მონყობა არსებითად ერთნაირად ხდება. ოცეულის სერჟანტი იღებს დგომს – „სმენა“ და იძლევა კომანდას – „მოენწყვეთ“ („ახლო ინტერვალით – მოენწყვეთ“ ან „ოლონაში – მოენწყვეთ“). კომანდაზე – „მოენწყვეთ“ (ახლო ინტერვალით მოენწყვეთ) პირველი ათეული და მისი მეთაური დგას ოცეულის სერჟანტის დგომის ადგილიდან სამი ნაბიჯით წინ. სხვა ათეულის მეთაურები შესაბამისი დისტანციის დაცვით უსწორდებიან პირველი ათეულის მეთაურს. ყველა ათეულის პირადი შემადგენლობა ეწყობა თავიანთი ათეულის მეთაურების კომანდაზე. იღებენ დგომს – „სმენა“ და აბრუნებენ თავებს მარჯვნივ. პატარა ნაბიჯებით წინ ან უკან გადაადგილებით ისინი იცავენ შესაბამის დისტანციას და უსწორდებიან მარჯვნივ მდგომ მოსამსახურეს. შემდეგ მკვეთრად მიატრიალებენ თავს წინ, როგორც დგომისას – „სმენა“ და შესაბამისი ინტერვალის დაცვით გადაადგილდებიან მარცხნივ და მარჯვნივ, რათა ზურგში გაუსწორდნენ წინ მდგომ მოსამსახურეს.

3. როცა ოცეული შეიარაღებულია, მისი წევრები იღებენ დგომს – „იარალი – ფეხთან“ ან „იარალი – ქამარზე“. უსაფრთხოების მიზნით კომანდები: „შემამონეთ იარალი“, „მოემზადეთ, იარალი – მკერდზე“ და „იარალი – ქამარზე“ გაიცემა მონყობამდე და ბოლო კომანდის („დაიშალეთ“) წინ.

4. პატაკების მისაღებად ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას „მომახსენეთ“. ათეულის მეთაურები ფრონტიდან ზურგისაკენ ერთმანეთის მიყოლებით აბრუნებენ თავებს ოცეულის სერჟანტისაკენ, ესალმებიან და აბარებენ პატაკს:

ა) როდესაც ათეულის ყველა მოსამსახურე მონყობილია, ათეულის მეთაური აბარებს პატაკს – „ყველა ადგილზეა“;

ბ) როდესაც ათეულის პირადი შემადგენლობა არასრულადაა მონყობილი, ათეულის მეთაური აბარებს პატაკს მოსამსახურეების არყოფნის მიზეზების შესახებ.

5. ოცეულის სერჟანტი აბრუნებს თავს მომხსენებელი ათეულის მეთაურისაკენ, იღებს პატაკს და პასუხობს მისაღმებაზე. ათეულის მეთაურებისაგან პატაკების მიღების შემდეგ, ოცეულის სერჟანტი

უცდის ოცეულის მეთაურის განკარგულებას პატაკის ჩაბარების შესახებ. ოცეულის მეთაური იკავებს თავის ადგილს, ოცეულის სერჟანტი ესალმება და აბარებს პატაკს. მისალმების შემდეგ, ბრუნდება მარჯვნივ, შემოუვლის ათეულების მეთაურებს, ჩერდება თავის ადგილზე და ბრუნდება მარჯვნივ.

6. თუ ოცეულის მეთაური მონყობის დროს არ იმყოფება ადგილზე, ოცეულის სერჟანტი წინ დგამს სამ ნაბიჯს (ათეულების მეთაურებისაგან პატაკების მიღების შემდეგ), გასცემს კომანდას – „ადგილებზე“ და ასრულებს ოცეულის მეთაურის ფუნქციებს.

7. ოცეულის მეთაურის მიერ ოცეულის მონყობისას, ოცეულის მონყობა ხორციელდება იმ განსხვავებით, რომ პირველი ათეული ეწყობა ოცეულის მეთაურიდან ექვსი ნაბიჯის დაშორებით, ხოლო ოცეულის სერჟანტი იკავებს თავის ადგილს ოცეულის უკან.

მუხლი 33. მწყობრიდან გამოსვლა

სიტუაციიდან გამომდინარე, თუ ერთი ან მეტი მოსამსახურე ტოვებს მწყობრს, ოცეულის სერჟანტი მიუთითებს მის წოდებასა და გვარს. როდესაც მოსამსახურის გვარი გამოცხადდება, იგი იღებს დგომს „სმენა“ და პასუხობს „ვარ“. შესასრულებელ კომანდაზე დგამს ნახევარ ნაბიჯს უკან, ჩერდება, ბრუნდება მარჯვნივ (მარცხნივ), ტოვებს მწყობრს და მიემართება უახლოესი ფლანგისაკენ. ამ დროს მოსამსახურე არ იყურება მარჯვნივ ან მარცხნივ. მწყობრის დატოვების შემდეგ იგი გადადის აჩქარებული ნაბიჯით გადაადგილებაზე (სირბილზე) და ჩერდება ოცეულის სერჟანტისაგან ორი ნაბიჯით წინ.

შენიშვნა: მწყობრიდან გამოსული მოსამსახურეები ეწყობიან ისე, რომ ოცეულის სერჟანტი ცენტრში იდგეს. ოცეულის სერჟანტმა პირველი მოსამსახურე ისე უნდა დააყენოს, რომ ბოლო მოსამსახურის რიგში ჩადგომისას ცენტრი არ დაირღვეს.

მუხლი 34. გათვლა

გათვლა ოცეულში ხორციელდება ისე, როგორც ათეულში. მწკრივში მონყობისას, ათეულები გაითვლიან მარჯვნიდან მარცხნივ; თითოეული ათეულის მეთაური წარმოთქვამს „ერთი“, დანარჩენი ათეულის წევრები კი ნუმერაციის შესაბამისად. რიგში მონყობისას გაითვლიან ფრონტიდან ზურგისაკენ; თითოეული ათეულის მეთაური წარმოთქვამს – „ერთი“.

მუხლი 35. ინტერვალის შეცვლა

1. ოცეულის მწკრივში მონყობისას, ინტერვალის შეცვლა ხდება იმავე თანამიმდევრობით, როგორც ათეულის შემადგენლობით მონყობის დროს.

2. რიგში მონყობილ ოცეულში ინტერვალის შეცვლისას, მარჯვენა მწკრივი ადგილზე რჩება და ასრულებს ათეულის წერტილის ფუნქციას. დანარჩენი მოსამსახურეები (გვერდიგვერდ) გადაადგილდებიან ისე, როგორც ზემოთაა აღწერილი. ნორმალური ინტერვალიდან (განმკლავით გაჭრილი ინტერვალიდან) ახლო ინტერვალზე (მიჭრილ ინტერვალზე) გადასვლისას, მესამე ათეული დგამს ერთ ნაბიჯს მარჯვნივ, მეორე ათეული – ორ ნაბიჯს მარჯვნივ, ხოლო პირველი ათეული – სამ ნაბიჯს მარჯვნივ. ნორმალურ ინტერვალზე გადასვლა სრულდება უკუთანამიმდევრობით (ათეულები იმავე რაოდენობის ნაბიჯებით გადაადგილდებიან მარცხნივ).

3. რიგებად მონყობილი ოცეულის მარშირებისას, ინტერვალის შეცვლისათვის გაიცემა კომანდა – „ახლო ინტერვალით – იარ“. წინასწარი კომანდა – „ახლო ინტერვალით“, გაიცემა მიწაზე მარჯვენა ფეხის დადგმისას, შესასრულებელი კომანდა – „იარ“ გაიცემა მიწაზე მარჯვენა ფეხის შემდეგი დადგმისთანავე:

ა) შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მარჯვენა ათეული დგამს კიდევ ერთ სრულ ნაბიჯს და შემდეგ აგრძელებს მოძრაობას ნახევარი ნაბიჯით. ყველა დანარჩენი ათეული დგამს კიდევ ერთ

ნაბიჯს, შემდეგ ერთდროულად ბრუნდება ნახევრად მარჯვნივ, განაგრძობს მარშირებას ახლო ინტერვალის დამყარებამდე, ბრუნდება ნახევრად მარცხნივ და აგრძელებს მარშირებას;

ბ) კომანდაზე – „პირდაპირ – იარ“, ყველა მოსამსახურე აგრძელებს მარშირებას სრული ნაბიჯებით. აგრეთვე შეიძლება გაიყოს კომანდა „ადგილზე – იარ“ ან „ოცეულო – სდექ“.

4. მარშირებისას, გაჭრილ ინტერვალზე გადასასვლელად წინასწარი კომანდა – „ნორმალური ინტერვალით“ გაიცემა მიწაზე მარცხენა ფეხის დადგმისთანავე. შესასრულებელი კომანდა – „იარ“ გაიცემა მიწაზე მარცხენა ფეხის შემდეგი დადგმისას. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, ოცეულის პირადი შემადგენლობა მოეწყობა ნორმალური ინტერვალით, ისევე, როგორც ახლო ინტერვალით მოწყობისას, იმ განსხვავებით, რომ თითოეული ათეული ასრულებს კომანდებს: „რიგო, ნახევრად მარცხნივ“ და შემდეგ – „რიგო, ნახევრად მარჯვნივ“.

5. ნორმალური ინტერვალიდან ორმაგ ინტერვალზე (ორი განმკლავით გაჭრილ ინტერვალზე) გადასვლისას მოქმედებები იმავე თანამიმდევრობით ხორციელდება, როგორც ახლო ინტერვალიდან ნორმალურ ინტერვალზე გადასვლის დროს.

6. ორმაგი ინტერვალიდან (ორი განმკლავით გაჭრილი ინტერვალიდან) ნორმალურ ინტერვალზე (განმკლავით გაჭრილ ინტერვალზე) გადასვლა სრულდება იმავე თანამიმდევრობით, როგორც ნორმალური ინტერვალიდან ახლო ინტერვალზე გადასვლის დროს.

მუხლი 36. ოცეულის ერთ ხაზზე მოწყობა

1. ოცეული ერთ ხაზზე ეწყობა ათეულის მსგავსად.

2. კომანდის – „სწორდით“ შესრულებისათვის, პირველი ათეულის მეთაური რჩება ადგილზე და ყველა დანარჩენი უსწორდება მას. დანარჩენი ათეულების მეთაურები რიგების მიხედვით იცავენ დადგენილ დისტანციას. ზუსტი ინტერვალის დასაცავად პირველი ათეულის მოსამსახურეები მოქმედებენ ისევე, როგორც ათეულის სამწყობრო სწავლებისას. ყველა დანარჩენი ათეულები, პირველი ათეულის მსგავსად, ასრულებენ იმავე მოქმედებებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ათეულის ყველა წევრი სწევს მარცხენა ხელს, ისე, რომ შუა თითი ოდნავ ეხებოდეს წინ მდგომი მოსამსახურის მხარს.

3. თუ ოცეულის სერჟანტს უნდა მწყობრის ერთ ხაზზე ზუსტი მოწყობა, იგი მიბრუნდება ნახევრი ბრუნით მარცხნივ ან მარჯვნივ, მიემართება პირველი ათეულისაკენ თავისი პოზიციის დასაკავებლად. ამ პოზიციიდან იგი ასწორებს პირველი ათეულის მწყობრის რიგს, საჭიროების შემთხვევაში, მოსამსახურეებს მიმართავს გვართ ან ნომრით. ოცეულის მეთაური ინარჩუნებს დგომს – „სმენა“, საჭიროებისამებრ დგამს მოკლე ნაბიჯს მარჯვნივ ან მარცხნივ, რათა შეხედოს ათეულს:

ა) პირველი ათეულის ერთ ხაზზე მოწყობის შემდეგ ოცეულის სერჟანტი იკავებს პოზიციას ათეულის წინ და ცენტრში, ბრუნდება მარცხნივ (მარჯვნივ), დგამს ორ ან სამ მოკლე ნაბიჯს შემდეგი ათეულისაკენ, ჩერდება, უსწორდება ხაზს და მეორე ათეულს აწყობს ისევე, როგორც პირველ ათეულს;

ბ) ოცეულის სერჟანტი, ბოლო ათეულის ერთ ხაზზე მოწყობის შემდეგ, დგამს მოკლე ნაბიჯებს მარჯვნივ ან მარცხნივ და უსწორდება ათეულის მეთაურს, შემდეგ ბრუნდება მარჯვნივ (მარცხნივ) და მიემართება თავისი პოზიციისაკენ (ოცეულის ცენტრში), ჩერდება ქვედანაყოფის პერპენდიკულარულად, ბრუნდება მარცხნივ (მარჯვნივ) და იძლევა კომანდას – „მოემზადეთ – პირდაპირ“.

შენიშვნა: როცა ოცეული ერთ ხაზზე სწორდება, როგორც უფრო დიდი ქვედანაყოფის ნაწილი, ათეულის მეთაურები აბრუნებენ თავს მარჯვნივ და უსწორდებიან მათგან მარჯვნივ მდგომ ქვედანაყოფებს. როცა ოცეული არ ეწყობა როგორც მარჯვენა ფლანგის ოცეული, ოცეულის სერჟანტი ოცეულს ერთ ხაზზე აწყობს მარცხენა ფლანგიდან.

4. ოცეულის რიგში გასასწორებლად გაიცემა კომანდა – „რიგში სწორდით“ და „შენწყვიტეთ - სწორება“. კომანდაზე – „სწორდით“, მეოთხე ათეულის მეთაური რჩება ადგილზე და მას უსწორდებიან დანარჩენი ათეულის მეთაურები. მარცხენა ფლანგის მეთაურის გარდა, ყოველი ათეულის მეთაური გვერდზე შლის ხელს და თავს აბრუნებს მარჯვნივ, მეოთხე ათეულის მოსამსახურეები ჰორიზონტალურად, წინ სწევნ მარცხენა ხელს და იკავებენ საჭირო დისტანციას (მკლავის სიგრძეს პლუს 15 სმ). პირველი, მეორე და მესამე ათეულის მოსამსახურეები მარცხენა ხელს გასწევნ წინ ჰორიზონტალურად და ამოუდგებიან მათ წინ მდგომ მოსამსახურეებს. ამავდროულად, თავის გაუნძრევლად იყურებიან მარჯვნივ და უსწორდებიან მათ მარჯვნივ მდგომ მოსამსახურეს. დგომის – „სმენა“ დასაკავებლად გაიცემა კომანდა – „შენწყვიტეთ - სწორება“. ამ კომანდის გაცემისას თითოეული მოსამსახურე მკვეთრად უბრუნდება დგომს – „სმენა“.

შენიშვნა: ოცეულის, როგორც უფრო დიდი ქვედანაყოფის ნაწილის, რიგში მოწყობისას ათეულის მეთაურები არც ხელს სწევნ და არც თავს აბრუნებენ. ისინი ათეულის წინ ღვებიან. ოცეულის სერჟანტმა უნდა დაუცადოს მის წინ მდგომი ოცეულის სერჟანტის მიერ კომანდის – „შენწყვიტეთ - სწორება“ გაცემას, სანამ თვითონ გასცემდეს კომანდას – „რიგში სწორდით“.

მუხლი 37. მიჯრალი და გაჯრალი მწყობრი

1. ქვედანაყოფის მჯკრივში მოწყობის შემდეგ, სრულდება კომანდა – „გაჯრალი მწყობრით - იარ“. ეს კომანდა შეიძლება შესრულდეს ყველა აღწერილი ინტერვალის დაცვის შემთხვევაში. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ წინა რიგი ორი ნაბიჯით იწევს წინ, მეორე რიგი – ერთი ნაბიჯით, მესამე რიგი კი რჩება ადგილზე, ხოლო მეოთხე რიგი ორი ნაბიჯით უკან გადაადგილდება. დამატებითი რიგების შემთხვევაში, მეხუთე რიგი ოთხი ნაბიჯით იწევს უკან, ხოლო მეექვსე რიგი – ექვსი ნაბიჯით.

შენიშვნა: საჭირო რაოდენობის ნაბიჯებით გადაადგილების შემდეგ ჯარისკაცები არ სწევნ ხელს. ზუსტი ინტერვალის დასაცავად ან მწყობრის სისწორისათვის ოცეულის მეთაური გასცემს კომანდას – „ახლო ინტერვალის (ორმაგი ინტერვალის), სწორება მარჯვნივ - სწორდით“. თუ ოცეული უსწორდება მის მარჯვნივ მდგომ ქვედანაყოფს, ათეულების მეთაურები აბრუნებენ თავს და თვითონაც უსწორდებიან იმ ქვედანაყოფს.

2. ახლო ინტერვალის მისაღებად გაიცემა კომანდა – „ახლო ინტერვალის ნაბიჯით - იარ“. შესასრულებელ კომანდაზე „იარ“, პირველი რიგი ოთხი ნაბიჯით იწევს უკან, მეორე რიგი - ორი ნაბიჯით, მესამე რიგი კი რჩება ადგილზე, ხოლო მეოთხე რიგი ორი ნაბიჯით წინ გადაადგილდება. შესასრულებელი კომანდის – „იარ“ შესასრულებლად, ოცეულის მეთაური და ოცეულის სერჟანტი თავიანთი პოზიციების დასაკავებლად შესაბამისი რაოდენობის ნაბიჯებს ღვამენ.

მუხლი 38. ოცეულის თავისუფალი დგომი

ოცეულის თავისუფალი დგომი ხორციელდება ისევე, როგორც ათეულის თავისუფალი დგომი, ამ თავით გათვალისწინებული ინსტრუქციების თანახმად.

მუხლი 39. ოცეულის დაშლა

1. ოცეულის დაშლა ხორციელდება ათეულის დაშლის ანალოგიურად.

2. თუ ოცეულის სერჟანტი გადანყვეტს, ათეულების კონტროლი შეიძლება გადაეცეს ათეულის მეთაურებს. ოცეულის სერჟანტი ათეულის მეთაურებს აძლევს კომანდას – „უმეთვალყურეთ თქვენს ათეულებს“ და ესალმებიან ერთმანეთს. ამის შემდეგ, ოცეულის სერჟანტი უკვე აღარ შედის მწყობრის შემადგენლობაში.

შენიშვნა: ათეულის მეთაურები, პოზიციების დატოვების გარეშე, აბრუნებენ თავს მარცხნივ და გასცემენ კომანდას „დაიშალეთ“.

3. ცალკეულ შემთხვევაში, ოცეულის სერჟანტმა შეიძლება გადააბაროს თავისი ქვედანაყოფი მასზე დაქვემდებარებულ პირს. ასეთ დროს:

ა) ოცეულის სერჟანტი გამოიძახებს მოსამსახურეს, რომელიც გამოდის მწკრივიდან (მოსამსახურე გადადგამს ორ ნაბიჯს წინ და დგება ოცეულის სერჟანტის პირისპირ. ოცეულის სერჟანტი აძლევს დამატებით ინსტრუქციას, რის შემდეგაც ესალმებიან ერთმანეთს. ამის შემდეგ, ოცეულის სერჟანტი იკავებს დაკვირვებისათვის ხელსაყრელ პოზიციას, მას აგრეთვე შეუძლია დაიკავოს პოზიცია მწყობრის ზურგშიც;

ბ) დაქვემდებარებული პირი ორ ნაბიჯს დგამს წინ და იკავებს ოცეულის სერჟანტის პოზიციას. რადგან ოცეულის სერჟანტი აღარ შედის მწყობრის შემადგენლობაში, მას შეუძლია მწყობრს გვერდზე ან უკან მიჰყვეს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, კორექტივები შეიტანოს ან გასცეს დამატებითი მითითებები.

4. თუ ოცეულის მეთაური თავის ადგილზეა, იგი გასცემს კომანდას – „ოცეულის სერჟანტო“. ოცეულის სერჟანტი ბრუნდება მარცხნივ, შემოუვლის ათეულის მეთაურებს მარცხნიდან, ჩერდება ოცეულის ცენტრიდან სამი ნაბიჯით წინ და ბრუნდება მარჯვნივ. ოცეულის მეთაურისაგან იღებს კომანდას – „უმეთვალყურეთ - ოცეულს“, რის შემდეგაც ესალმებიან ერთმანეთს. ამის შემდეგ, ოცეულის მეთაური აღარ არის მწყობრის ნაწილი, ოცეულის სერჟანტი რჩება თავის ადგილზე და ასრულებს ოცეულის მეთაურის ინსტრუქციებს.

მუხლი 40. გადაადგილებები

ოცეული მარშირებს ისევე, როგორც ათეული. ოცეულის მწკრივში მარშირებისას, პირველი ათეულის მეთაური მიმართველის მოვალეობას ასრულებს, ხოლო ოცეულის რიგში მარშირებისას წინამძღოლის ადგილს მეოთხე ათეულის მეთაური იკავებს. მწკრივში მარშირებისას, თითოეული ათეულის ყოველი წევრი ინარჩუნებს ხაზში სწორებას მის მარჯვნივ მდგომი მოსამსახურის მიხედვით. მწკრივში მარშირებისას პირველი, მეორე და მესამე ათეულის თითოეული წევრი ხაზში სწორებას ინარჩუნებს მარჯვნივ მდგომი მოსამსახურეების მიხედვით.

მუხლი 41. სწორება მარჯვნივ

1. ოცეული, ცერემონიების დროს და დროშების ჩატარებისას, მარჯვნივ (მარცხნივ) მიმართული მზერით თავაზიანობას გამოხატავს. მოქმედებების შესასრულებლად გაიცემა კომანდები: „სწორება - მარჯვნივ“ და „მოემზადეთ - წინ“.

2. ადგილზე დგომისას თითოეული მოსამსახურე ინარჩუნებს მხრებს პარალელურად და ატრიალებს თავს 45 გრადუსით მარჯვნივ. ის თვალს ადევნებს იმ მოსამსახურეს, რომელიც მის წინ გადაადგილდება. ამ დროისათვის თავი და მზერა მიმართულია მეთაურისაკენ. მხოლოდ ოცეულის მეთაური აძლევს მხედრულ სალამს.

3. მარშირებისას წინასწარი კომანდა – „სწორება“ გაიცემა მარჯვენა ფეხის დადგმისთანავე, ხოლო შესასრულებელი კომანდა – „მარჯვნივ“ გაიცემა იმავე ფეხის მეორედ დადგმისას. შესასრულებელი კომანდის – „მარჯვნივ“ გაცემის დროს, ყველა მოსამსახურე, მარჯვენა მწკრივის მოსამსახურეების გარდა, ატრიალებს თავს მარჯვნივ და უსწორდება მარჯვენა მწკრივს. მარჯვენა მწკრივის მოსამსახურეები არ ატრიალებენ თავებს, არამედ განაგრძობენ წინ ყურებას და ინარჩუნებენ დადგენილ დისტანციას. მხოლოდ ოცეულის მეთაური აძლევს მხედრულ სალამს.

მუხლი 42. რიგის მიმართულების შეცვლა

1. ოცეული მარშირების მიმართულებას იცვლის ათეულის მსგავსად;

2. რიგში გადაადგილებისას, ძირითადი ქვედანაყოფი არის ის ათეული, რომელიც იმყოფება შემობრუნების მხარეს.

3. 90 გრადუსით მიმართულების შესაცვლელად გაიცემა კომანდა – „რიგო, მარჯვნისაკენ – იარ“. შესასრულებელი კომანდის – „იარ“ გაცემისას, საყრდენი ათეული ასრულებს მოქმედებას ისევე, როგორც ათეულის მონყოფისას, იმ განსხვავებით, რომ ათეულის მეთაური დგამს ერთ სრულ ნაბიჯს და შემდეგ კი ნახევარ ნაბიჯს. დანარჩენი ათეულების მეთაურების რიგში ჩადგომამდე, ათეულის მეთაური აგრძელებს ნახევარი ნაბიჯით მარშირებას. დანარჩენი ათეულების მეთაურები, საჭირო ინტერვალის დაკავებისას, ასრულებენ 45-გრადუსიან ბრუნს და აგრძელებენ მარშირებას რკალურად. მიმართველი ათეულის მეთაურთან ხაზზე გასწორების შემდეგ, ისინი დგამენ ნახევარ ნაბიჯს. შესასრულებელი კომანდის შესაბამისად, ოცეულის მოსამსახურეები მარშირებენ პირდაპირ და გადაადგილდებიან იმავე მეთოდით, როგორც ათეულის მეთაურები.

შენიშვნა: როცა ოცეულის სერჟანტი გადაადგილებს თავის ოცეულს, როგორც გამოყოფილ ქვედანაყოფს, ან ასეული მარშირებს ოფიცრების მეთვალყურეობის გარეშე, ოცეულის სერჟანტი რჩება თავისი ოცეულის ცენტრში, როცა ოცეულის მეთაური და ოცეულის სერჟანტი მარშირებენ რიგში საკუთარ ადგილზე, ისინი ასრულებენ „ნახევრად მარჯვნივ (მარცხნივ)“ ბრუნით მოქმედებებს უფრო ხშირად, ვიდრე 90-გრადუსიანი კუთხით შემობრუნებას. „რიგო ნახევრად მარჯვნივ“ ბრუნის შესრულების შემდეგ ისინი აგრძელებენ გადაადგილებას რკალურად და იკავებენ საჭირო პოზიციებს. ზოგჯერ ოცეულის მეთაური საჭიროდ თვლის ნაბიჯის ზომის გაზრდას ან შემცირებას მის წინ მდგომ ქვედანაყოფთან საჭირო დისტანციის შესანარჩუნებლად.


4. მიმართულების 45 გრადუსით შესაცვლელად, გაიცემა კომანდა – „რიგო, ნახევრად მარჯვნივ – იარ“. შესასრულებელი კომანდის – „იარ“ გაცემისთანავე, ოცეული გადაადგილდება ისევე, როგორც 90 გრადუსით შეტრიალებისას, იმ განსხვავებით, რომ ძირითადი ათეულის მეთაური, ასევე სხვა ათეულების მეთაურებიც, ასრულებენ მოქმედებას – „რიგო, ნახევრად მარჯვნივ (მარცხნივ)“.

შენიშვნა: სირბილით მწყობრის გადაადგილებისას, ქვედანაყოფები ნაბიჯის ზომას არეგულირებენ ისე, რომ ინტერვალი და დისტანცია ცენტრალური წერტილის (ნიშნის) შიგნითაც და გარეთაც შენარჩუნებულია.

5. ოცეული საპირისპირო მიმართულებით ათეულის მსგავსად მარშირებს.

6. ოცეული მიმართულებას იცვლის ათეულის მსგავსად. მიმართულების შეცვლის ადგილთან ყველაზე ახლოს მდგომი ათეული ასრულებს მიმართველის როლს. მარშირებისას, დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად, ოცეულის მეთაური იძლევა კომანდას – „შემოუარეთ მარცხნიდან (მარჯვნიდან)“.

7. როცა სივრცე შეზღუდულია და ოცეულის სერჟანტს სურს თავისი ოცეულის საპირისპირო მიმართულებით გადაადგილება, იგი იძლევა კომანდას – „რიგო, საპირისპირო მიმართულებით – იარ“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ პირველი ათეული დგამს სამ ნაბიჯს წინ, ასრულებს მოქმედებას „რიგო, მარჯვნისაკენ“, გადაადგილდება ოცეულის წინ და ზუსტად მეოთხე ათეულის პირდაპირ ასრულებს მოქმედებას „რიგო, მარჯვნისაკენ“. მეორე ათეული დგამს ერთ ნაბიჯს წინ, ასრულებს მოქმედებას „რიგო, მარჯვნისაკენ“, გადაადგილდება პირდაპირ და მესამე და მეოთხე ათეულებს შორის, ბრუნდება ისევ მარჯვნივ. მესამე ათეული ასრულებს ორ მოკლე ბრუნს მარცხნივ და მარშირებს მესამე და მეორე ათეულებს შორის. მეოთხე ათეული გადაადგილდება ორი ნაბიჯით წინ, ბრუნდება მარცხნივ, მარშირებს ოცეულის წინ და პირველ და მეორე ათეულებს შორის ბრუნდება მარცხნივ (ნახ. 42).



შენიშვნა: ღამათი ერთი ნაბიჯი, თუ ეს მოქმედება ხდება მარშრუტის დროს

ნახ. 42. (ოცეულის საპირისპირო მიმართულებით მობრუნება)

8. როგორც კი მესამე ათეულის მეთაური ჩაუვლის თავისი ათეულის ბოლო მოსამსახურეს, ის და მისი ათეული გადადიან ნახევარი ნაბიჯით მარშირებაზე. ყველა მწკრივის შემონმების შემდეგ, დანარჩენი ათეულები საჭიროებისამებრ ბრუნდებიან მარჯვნივ ან მარცხნივ, მესამე ათეულთან იცავენ ნორმალურ ინტერვალს და იწყებენ ნახევარი ნაბიჯით მარშირებას.

9. ყველა ათეულის გვერდიგვერდ მოწყობის შემდეგ ისინი კომანდის გარეშე სრული ნაბიჯით იწყებენ მარშირებას.

10. მწყობრის ოცეულის მეთაურის არყოფნის შემთხვევაში, გადაადგილებისას, ოცეულის სერჟანტი მარშირებს პირველი ათეულის გასწვრივ. ოცეულის მეთაურის ყოფნის შემთხვევაში, ოცეულის სერჟანტი დგამს ერთ ნაბიჯს სიღრმისაკენ და სწორდება ცენტრში მეორე და მესამე ათეულებს შორის, ხოლო ოცეულის მეთაური პირველი ათეულის გასწვრივ მარშირებს.

11. მარშირების დროს წინასწარი კომანდა („რიგო, საპირისპირო მიმართულებით“) გაიცემა მინაზე მარცხენა ფეხის დადგმისთანავე, ხოლო შესასრულებელი კომანდა – „იარ“ – იმავე ფეხის მეორედ დადგმისას. შესასრულებელი კომანდის – „იარ“ გაცემისას, ოცეული ასრულებს მოქმედებას ისევე, როგორც კომანდის – „ადგილზე“ გაცემისას, იმ განსხვავებით, რომ ათეული დგამს ერთ დამატებით ნაბიჯს, რათა დარწმუნებული იყოს, რომ საყრდენი ფეხი საჭირო მდგომარეობაშია.

შენიშვნა: 1. როცა რიგში მხოლოდ სამი ათეული დგას, პირველი ათეული მოქმედების შესრულებამდე დგამს ორ ნაბიჯს.

2. ოცეულის მეთაური და ოცეულის სერჟანტი, თავიანთ ადგილებზე მარშირებენ, ოცეულის მეთაური სამ ნაბიჯს დგამს წინ, ბრუნდება მარჯვნივსაკენ, მარშირებს ოცეულის წინ, ტრიალდება ისევ მარჯვნივ (მეოთხე ათეულის წინ) პირდაპირ თავის ადგილას მიდის, დგამს ნახევარ ნაბიჯს და ათეულის მეთაურების მწკრივში დადგომის შემდეგ დგამს სრულ ნაბიჯს. ოცეულის სერჟანტი ბრუნდება მარჯვნივსაკენ, უკან მიჰყვება მესამე ათეულს გადაადგილების დასრულებამდე და ამის შემდეგ უბრუნდება თავის ადგილს.

მუხლი 43. ფლანგებისაკენ მარშირება

ოცეული ფლანგების მიმართულებით გადაადგილდება ათეულის მსგავსად.

მუხლი 44. მწკრივის მოწყობა და გადანწყობა

1. ოცეულის ერთ მწკრივად მოწყობა (მარჯვნიდან ან მარცხნიდან) ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ის მოწყობილია რიგში და დგას ადგილზე:

ა) ამ შემთხვევაში გაიცემა კომანდა – „მწკრივო, მარცხნიდან (მარჯვნიდან), ნაბიჯით – იარ“ ან „მწკრივო, თანმიმდევრობით, მესამე, მეორე, მეოთხე, პირველი, ნაბიჯით – იარ“;

შენიშვნა: თუ ათეული გადაადგილდება მარცხნივ ან მიჰყვება სხვა ქვედანაყოფს მარცხნიდან, მაშინ ყველა დამატებით კომანდას ათეულის მეთაური გასცემს თავის მარცხნივ მიბრუნებით. თუ ათეული გადაადგილება წინ ან მარჯვნივ ან მარჯვენა მხარეს მიჰყვება ქვედანაყოფს, ყველა დამატებით კომანდას ათეულის მეთაური გასცემს თავის მარჯვნივ მიბრუნებით. ათეულის მეთაურები შესაბამისი კომანდების გაცემისას უკან მიჰყვებიან ათეულის ბოლო ჯარისკაცს საჭირო დისტანციის დაცვით:

ბ) წინასწარი კომანდის გაცემის შემდეგ, განსაზღვრული ათეულის მეთაური გასცემს დამატებით კომანდას – „პირდაპირ“, ხოლო დანარჩენი ათეულების მეთაურები – კომანდას „ადგილზე“. ოცეულის სერჟანტის მიერ გაცემულ შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მიმმართველი ათეული მარშირებს პირდაპირ. მომდევნო ათეულის მეთაური თავის მიბრუნებით თვალყურს ადევნებს უახლოეს ქვედანაყოფს და როცა ბოლოს წინა მოსამსახურე გაუსწორდება მას და მარჯვენა ფეხს დაადგამს, ათეულის მეთაური გასცემს წინასწარ კომანდას – „რიგო, ნახევარი ბრუნით, მარცხნისაკენ (მარჯვნისაკენ).“ შესასრულებელ კომანდას – „იარ“ ათეულის მეთაური გასცემს მაშინ, როცა ბოლო მოსამსახურე გაუსწორდება მას და მარჯვენა ფეხს დაადგამს მინაზე, ბრუნდება მარცხნივ (მარჯვნივ), ხოლო წინამძღოლი ათეულის ბოლო მოსამსახურე საჭირო დისტანციის დაცვით მიჰყვება. ათეულის დანარჩენი მოსამსახურეები მარშირებენ პირდაპირ და იმეორებენ ათეულის მეთაურის მიერ შესრულებულ მოქმედებებს. დარჩენილი ათეულები, წინამძღოლი ქვედანაყოფის უკან მდგომი ათეულის მსგავსად, ეწყობიან რიგებად.

2. ოცეულს შეუძლია რიგიდან მწკრივში გადაწყობა:

ა) ამ მოქმედებების შესასრულებლად გაიცემა კომანდები: „მწკრივო, მარჯვნიდან (მარცხნიდან) ნაბიჯით – იარ“, „რიგო, მარცხნიდან (მარჯვნიდან) ნაბიჯით – იარ“. ოცეულის სერჟანტის მიერ გაცემული წინასწარი კომანდის შემდეგ, მიმმართველი ქვედანაყოფის ათეულის მეთაური გასცემს კომანდას – „რიგო, მარჯვნისაკენ (მარცხნისაკენ)“ (კომანდის – „პირდაპირ“ ნაცვლად), დანარჩენი ათეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „დარჩით – ადგილებზე“;

ბ) ოცეულის მეთაურის მიერ გაცემულ შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ მიმმართველი ათეული ასრულებს მოქმედებას – „რიგო, მარცხნისაკენ (მარჯვნისაკენ)“. დანარჩენი ათეულების მეთაურები შესაფერის დროს გასცემენ კომანდას – „რიგო, მარცხნისაკენ (მარჯვნისაკენ) იარ“.

შენიშვნები: 1. ოცეულის სერჟანტი ათეულის მეთაურებს არ ათავისუფლებს ათეულთა კონტროლისაგან. ათავისუფლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ოცეულის მწკრივებად მონყობა ხდება შენობაში.

2. ათეულის მეთაურები შესასრულებელ კომანდას – „იარ“ გასცემენ მაშინ, როცა ბოლო მოსამსახურე შემოტრიალებისას (რიგი მარცხნიდან) მარჯვენა ფეხს დაადგამს.

3. ოცეულის მწკრივიდან რიგში გადაწყობა ხდება მხოლოდ შეჩერების შემდეგ. ამისათვის გაიცემა კომანდა – „ოთხრიგად მარჯვნისაკენ (მარცხნისაკენ), ნაბიჯით – იარ“:

3. ოცეულის მწკრივიდან რიგში გადასაწყობად უნდა გაიცეს კომანდები: „დაიშალოთ“ და „მოეწყვეთ“:

ა) წინასწარ კომანდაზე მიმმართველი ათეულის მეთაური გასცემს კომანდას – „დარჩით – ადგილებზე“. დანარჩენი ათეულის მეთაურები გასცემენ კომანდას – „რიგო, ნახევარი ბრუნით, მარცხნისაკენ (მარჯვნისაკენ)“. ოცეულის სერჟანტის მიერ შესასრულებელი კომანდის – „იარ“ გაცემისას, მიმმართველი ათეული რჩება ადგილზე, ხოლო დანარჩენი ათეულები ასრულებენ მიღებულ კომანდას;

ბ) როცა თითოეული მოძრავი ათეულის მეთაური მიაღწევს დანიშნულების ადგილს, რომელიც დადგენილი ინტერვალით აშორებს მის მარჯვნივ (მარცხნივ) მდგომი ქვედანაყოფებისაგან, ის ავტომატურად ბრუნდება მარცხნივ (მარჯვნივ) და გასცემს კომანდას – „ადგილზე, ნაბიჯით – იარ“, და როცა მათი ათეულები გაუსწორდებიან მიმმართველ ათეულს, გასცემს კომანდას – „ათეულო – სდექ“.

მუხლი 45. ორ რიგად მონყობა და გადაწყობა

1. ოცეულის ორ რიგად მონყობა ხდება მარჯვნიდან ან მარცხნიდან, როცა ის ოთხ რიგად არის მონყობილი და გაჩერებულია. ამისათვის გაიცემა კომანდა „მარჯვნიდან (მარცხნიდან) ორ რიგად ნაბიჯით – იარ“:

ა) წინასწარი კომანდის შემდეგ, ორი მიმმართველი ათეულის მეთაური გასცემს კომანდას „პირდაპირ“, ხოლო დანარჩენი ათეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „ადგილებზე“;

ბ) ოცეულის სერჟანტის მიერ შესასრულებელი კომანდის – „იარ“ გაცემისთანავე, ორი მიმმართველი ათეული მარშირებს პირდაპირ. მიმმართველი ათეულების უკან მდგომი ათეულის მეთაური (მეორე ან მესამე) გასცემს კომანდას, რათა დარჩენილი ორივე ათეული მოიყვანოს მოძრაობაში. ათეულის მეთაური გასცემს წინასწარ კომანდას – „რიგო, ნახევარი ბრუნით, მარცხნისა-კენ (მარჯვნისა-კენ)“ მაშინ, როცა ბოლოდან მეორე მოსამსახურე გაუსწორდება მას, ხოლო შესასრულებელ კომანდას – „იარ“ გასცემს ბოლო მოსამსახურის მიერ მარჯვენა ფეხის (მის გვერდით) დადგმისთანავე;

გ) ოცეულის სერჟანტის მიერ კომანდის – „რიგო, ნახევარი ბრუნით, მარცხნისა-კენ (მარჯვნისა-კენ)“ შესრულების შემდეგ, ორივე ათეულის მეთაური კომანდის გარეშე ბრუნდება მარჯვნივ (მარცხნივ) და მიჰყვება მიმმართველი ათეულების ბოლო მოსამსახურეს საჭირო დისტანციის დაცვით. ათეულების დანარჩენი მოსამსახურეები მარშირებენ პირდაპირ და იმეორებენ თავიანთი მეთაურების მოქმედებებს.

2. ერთ რიგად მონყობილ ოცეულს შეუძლია ორ რიგად გადაწყობა. ამ მოქმედების შესასრულებლად გაიცემა კომანდა: „მარცხნიდან (მარჯვნიდან) ორ რიგად – იარ“:

ა) მიმმართველი ათეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „რიგო, ნახევარი ბრუნით, მარცხნისა-კენ (მარჯვნისა-კენ)“ (კომანდის – „პირდაპირ“ მაგივრად). მეორე (მესამე) ათეულის მეთაური გასცემს კომანდას ორივე ათეულისათვის – „რიგო, მარცხნისა-კენ (მარჯვნისა-კენ)“, თვითონ კი ბრუნდება ნახევრად მარცხნივ (მარჯვნივ). დანარჩენი ორი ათეულის მეთაური გასცემს კომანდას – „დარჩით – ადგილებზე“;

ბ) ოცეულის სერჟანტის შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ მიმმართველი ათეულების მეთაურები ბრუნდებიან მარცხნისაკენ (მარჯვნისაკენ). მომდევნო (მეორე ან მესამე) ათეულის მეთაური გასცემს კომანდას ორივე ათეულის მოქმედებაში მოსაყვანად. ათეულის მეთაური, როცა ბოლოდან მეორე მოსამსახურე გაუსწორდება მას, გასცემს წინასწარ კომანდას – „რიგო, მარცხნისა-კენ (მარჯვნისა-კენ)“. როგორც კი ბოლო მოსამსახურე, მარცხნივ შემოტრიალებისას, მარჯვენა ფეხს დადგამს, ან როცა მარჯვნივ შემოტრიალების შემდეგ, პირველად შეახებს მინას მარჯვენა ფეხს, ათეულის მეთაური გასცემს შესასრულებელ კომანდას – „იარ“. თუმცა კომანდაზე – „რიგო, მარცხნისა-კენ (მარჯვნისა-კენ)“, განაპირა ათეულები (მეოთხე ან პირველი) ასრულებენ კომანდას – „რიგო, ნახევარი ბრუნით, მარცხნისა-კენ (მარჯვნისა-კენ)“.

3. ოცეული ერთ რიგად ეწყობა მხოლოდ შეჩერების შემდეგ. ამისთვის გაიცემა კომანდა: „ოთხ რიგად, მარჯვნისა-კენ (მარცხნისა-კენ), ნაბიჯით – იარ“:

ა) ოცეულის მეთაურის გარეშე ოცეულის ოთხ რიგად გადაწყობისას ოცეულის სერჟანტი იკავებს პოზიციას ოცეულის ცენტრში, ხოლო ოცეულის მეთაურის ყოფნისას, ოცეულის მეთაური ბრუნდება ისე, როგორც მარშირებისას და იკავებს თავის საწყის ადგილს რიგში. ოცეულის სერჟანტი მიჰყვება უკანა ქვედანაყოფს და მისი გაჩერების შემდეგ იკავებს თავის ადგილს მწყობრში;

ბ) წინასწარი კომანდის შემდეგ, მიმმართველი ათეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „დარჩით ადგილებზე“, ხოლო მომდევნო ათეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „რიგო, ნახევარი ბრუნით, მარჯვინისა-კენ (მარცხინისა-კენ)“. ოცეულის სერჟანტის შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მიმმართველი ათეულები რჩებიან ადგილებზე, ხოლო მომდევნო ათეულების მეთაურები ნახევარზე მეტი ბრუნით ტრიალდებიან მარჯვინე (მარცხინე). როგორც კი მომდევნო ათეულების მეთაურები მიაღწევენ დანიშნულების ადგილს (მწკრივში), რომელიც უზრუნველყოფს მარცხინე (მარჯვინე) მდგომი ქვედანაყოფიდან დადგენილი ინტერვალით დაშორებას, ისინი ავტომატურად ბრუნდებიან მარცხინე (მარჯვინე). ადგილზე დარჩენილ ათეულებთან ყველაზე ახლოს მდგომი ათეულის მეთაური (მეორე ან მესამე) გასცემს კომანდას – „ადგილზე, ნაბიჯით – იარ“ და „ათეულებო – სდექ“.

თავი VIII **ოცეულის შემონმება**

მუხლი 46. ოცეულის შემონმების ძირითადი დებულებანი

1. ოცეული პირადი შემადგენლობისა და აღჭურვილობის შესამონმებლად ეწყობა მწკრივში. ეკიპაჟის იარაღისა და სატრანსპორტო საშუალებების შემონმებისას, პირადი შემადგენლობა ეწყობა უკანა მხარეს. თითოეული მოსამსახურე დგება თავისი სატრანსპორტო საშუალების უკან.

2. ოცეულის მეთაურმა ან ოცეულის სერჟანტმა შეიძლება შეამონმოს ყაზარმებში ოცეულის განლაგების მდგომარეობა, პირადი შემადგენლობის გარეგნული იერ-სახე, ინდივიდუალური იარაღი, საველე აღჭურვილობა და სანიტარიული მდგომარეობა.

მუხლი 47. მწკრივების შემონმება

1. მწკრივში მონყობილ ოცეულს, ოცეულის სერჟანტი აძლევს კომანდას – „ოცეულო – გაითვალეთ“. შესასრულებელ კომანდაზე – „გაითვალეთ“ – მთელი პირადი შემადგენლობა, მარჯვენა ფლანგის მოსამსახურეების გარდა, აბრუნებს თავს მარჯვინე, ხოლო მარჯვენა ფლანგის მოსამსახურეები იწყებენ გათვლას ერთიდან. შემდეგ, მარცხინე მდგომი მოსამსახურეები აგრძელებენ გათვლას და ამავდროულად ატრიალებენ თავს წინ. მთლიანი ქვედანაყოფის მოსამსახურეები იმავე პრინციპით ახორციელებენ გათვლას.

2. გათვლის შემდეგ ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „გაშლილი მწკრივით, ნაბიჯით – იარ“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, წინა მწკრივი დგამს ორ ნაბიჯს წინ, მეორე მწკრივი ერთ ნაბიჯს, მესამე მწკრივი რჩება ადგილზე, ხოლო მეოთხე მწკრივი – ორ ნაბიჯს უკან. დამატებითი მწკრივების შემთხვევაში, მეხუთე მწკრივი დგამს ოთხ ნაბიჯს უკან, ხოლო მეექვსე მწკრივი – ექვს ნაბიჯს უკან.

შენიშვნა: დადგენილი რაოდენობის ნაბიჯების გადადგმის შემდეგ, მოსამსახურეები არ ამოძრავებენ ხელებს. თუ ოცეულის მეთაურს უნდა ზუსტი ინტერვალის დაცვა, იგი გასცემს კომანდას – „ახლო ინტერვალით (ნორმალური ინტერვალით), სწორება მარჯვინე“.

3. ამის შემდეგ ოცეული მზად არის შესამონმებლად. ათეულების შემონმებას ახორციელებენ ათეულის მეთაურები, თუმცა ისინი შეიძლება შემონმდნენ ოცეულის სერჟანტის ან ოცეულის მეთაურის მიერ.

მუხლი 48. ათეულის შემონმება ათეულის მეთაურის მიერ

1. თუ ოცეულის სერჟანტს სურს, რომ ათეულების შემონმება ჩაატარონ ათეულების მეთაურებმა, ის მიმართავს მათ: „თქვენი ათეულები – შეამონმეთ“.

2. ათეულის მეთაური მარშირებს პირდაპირ და საჭიროებისამებრ ბრუნდება მარცხინე მანამ, სანამ 40 სმ-ის დაშორებით არ გაუსწორდება პირველ მოსამსახურეს.

შენიშვნა: თუ ოცეულის პირადი შემადგენლობა არის შეიარაღებული, ათეულის მეთაურებს იარაღი გადააქვთ ზურგზე, დიაგონალურად, ლულით დაბლა და მარჯვნივ. მოქმედება სრულდება კომანდის გარეშე, ათეულების მეთაურის მიერ ნაბიჯის გადადგმამდე.

3. ათეულის მეთაური ინაჩუნებს დგომს – „სმენა“, ამოძრავებს მხოლოდ თავს და თვალებს. ცენტრალურ ადგილზე ათეულის შემონმების შემდეგ მეთაური დგამს მოკლე ნაბიჯს წინ და მარჯვნივ და აგრძელებს შემონმებას; შემდეგ კვლავ შემობრუნდება ცენტრისაკენ, დგამს ნაბიჯს წინ და მარჯვნივ და ისევ ამონმებს, ხოლო შემდეგ უბრუნდება ცენტრალურ პოზიციას.

4. პირველი მოსამსახურის შემონმების შემდეგ ათეულის მეთაური ბრუნდება მარჯვნივ, როგორც მარშირებისას და დგამს ერთ ნაბიჯს (ნორმალური ინტერვალის შემთხვევაში – ორ ნაბიჯს), ჩერდება და დადგენილი დისტანციის დაცვით უსწორდება შემდეგ მოსამსახურეს. ათეულის მეთაური ამონმებს ათეულის დანარჩენ მოსამსახურეებსაც.

5. ათეულში შემავალი ბოლო მოსამსახურის შემონმების შემდეგ ათეულის მეთაური ბრუნდება მარჯვნივ, შემოუვლის ათეულს ზურგიდან და ამონმებს.

6. ათეულის მეთაური თავისი ადგილის დაკავების შემდეგ მიაბრუნებს თავს მარჯვნივ და გასცემს კომანდას – „თავისუფლად“.

7. ოცეულის სერჟანტი რჩება თავის ადგილზე. ბოლო ათეულის შემონმებისა და მის მიერ თავისუფალი დგომის მიღების შემდეგ, ოცეულის სერჟანტი ოცეულს აძლევს კომანდას – „სმენა“.

8. ოცეულის სერჟანტი კომანდის – „სმენა“ გასცემის შემდეგ, გასცემს კომანდას – „ახლო ინტერვალით, ნაბიჯით–იარ“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, პირველი მწკრივი დგამს ოთხ ნაბიჯს უკან, მეორე მწკრივი – ორ ნაბიჯს, მესამე მწკრივი რჩება ადგილზე, ხოლო მეოთხე მწკრივი – ერთ ნაბიჯს წინ. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ ოცეულის მეთაური და ოცეულის სერჟანტი თავისი ადგილების დასაკავებლად დგამენ საჭირო რაოდენობის ნაბიჯებს.

9. თუ ოცეულის შემონმება ხდება უფრო დიდი ქვედანაყოფის შემადგენლობაში და ოცეულის კონტროლის უფლება არ გადაეცემა ოცეულის სერჟანტს, იგი იღებს თავისუფალ დგომს და ელოდება მითითების მიღებას.

თავი IX **ასეულის მწყობრი**

მუხლი 49. ასეულის მწყობრის ძირითადი დებულებანი

1. ასეულის მონყობისას, ინდივიდუალური სამწყობრო მოქმედებები, იარაღით ილეთების შესრულება, ათეულისა და ოცეულის მონყობა ხორციელდება ისე, როგორც არის გათვალისწინებული შესაბამისი თავებით.

2. ასეულის მონყობისას ხორციელდება იგივე მოქმედებები, როგორც ოცეულის მონყობისას, სხვა ოცეულებთან კავშირში.

3. მონყობისას ასეულის მწყობრი შეიძლება შედგებოდეს ორი ან მეტი ოცეულისაგან.

4. მწკრივში ან მთლიანი მონყობის დროს, მიმმართველია მარჯვენა ოცეული, ხოლო რიგში მონყობისას – პირველი ოცეული.

5. ასეული შეიძლება მოაწყოს მისმა მეთაურმა, ოცეულის მეთაურებმა, ან ოცეულის სერჟანტებმა. თუ მეთაური არ ამონმებს ასეულს, ოცეულის სერჟანტები რჩებიან თავიანთ ადგილებზე და იქიდან უძღვებიან ასეულის სამწყობრო მომზადებას.

6. ასეულის გაჯარილი ან მიჯარილი მწყობრით მონყობას, ერთ ხაზზე გასწორებას, იარაღის დაწყობასა და აღებას, მარშირებას ან შემონმებისთვის მომზადებას, მოსამსახურეები ასრულებენ ოცეულის სერჟანტების კომანდებით. ოცეულის სერჟანტები გასცემენ კომანდებს თანამიმდევრობით, დაწყებული მიმმართველი ოცეულიდან.

7. ასეულის მოსამსახურეები მწყობრიდან გამოდიან ისეთივე წესით, როგორც ოცეულის სამწყობრო მომზადებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მწყობრიდან გამოძახებულები აძლევენ მხედრულ სალამს.

8. ასეული მწყობრით გადაადგილდება, ისვენებს და იღებს ღკომს – „სწორება მარჯვნივ“, ისეთივე წესით, როგორც ოცეული.

9. ასეულს აქვს ოთხი სახის წყობა: ასეული მწკრივში – ოცეულებით მწკრივებად, ასეული რიგში – ოცეულებით რიგებად; ასეული რიგში – ოცეულებით მწკრივებად (განსაკუთრებით ცერემონიების დროს) და ასეულის მწყობრი მწკრივში მიჯრილ რიგებად. ასეულის ორ რიგად მოწყობა ხდება ისევე, როგორც ოცეულისა.

მუხლი 50. ძირითადი პირადი შემადგენლობის ადგილი მწყობრში


1. ასეულის მეთაური დგება მწყობრის პირველი რიგიდან 12 ნაბიჯით წინ, ასეულის ცენტრში. როდესაც ასეული მოწყობილია რიგში, როგორც უფრო დიდი ქვედანაყოფის ნაწილი, ან როდესაც ხდება ასეულის მწკრივში მიჯრილ რიგებად მოწყობა, ასეულის მეთაური იკავებს ადგილს თავისი ქვედანაყოფის ცენტრიდან 6 ნაბიჯით წინ და წინმდგომი ქვედანაყოფიდან 12 ნაბიჯით უკან.

2. მედროშის ადგილია ასეულის მეთაურისაგან სრული ნაბიჯით უკან და სრული ნაბიჯით მარცხნივ.


შენიშვნა: როდესაც ასეული მარჯვნივსავე ბრუნდება და გადაადგილდება მოკლე დისტანციაზე, ასეულის მეთაურმა უხმაუროდ უნდა ანიშნოს მედროშეს, რომ დარჩეს ადგილზე და გადაადგილდეს მეთაურთან ერთად.

3. ოცეულის მეთაურები, როცა ასეული მწკრივშია მოწყობილი, (ოცეულებით მწკრივში) იკავებენ ადგილებს თავისი ოცეულის ცენტრიდან ექვსი ნაბიჯით წინ; როცა ასეული და ოცეულები კოლონებად არიან მოწყობილი ან ასეული რიგშია მოწყობილი ოცეულებით მწკრივად, ოცეულების მეთაურების ადგილია ოცეულის ცენტრიდან ერთი ნაბიჯით წინ. როცა ასეული მწკრივში მიჯრილ რიგებადაა მოწყობილი, ოცეულების მეთაურები განლაგდებიან თავიანთი ქვედანაყოფებისაგან ერთი ნაბიჯით წინ, თანაბარი შუალედებით მთელი ფრონტის გასწვრივ. თუ ასეულის მეთაური არ ესწრება მოწყობას, ოცეულების მეთაურები არ შედიან მწყობრის შემადგენლობაში.

4. ოცეულის მეთაურები, როცა ასეული მწკრივშია მოწყობილი, (ოცეულებით მწკრივში) იკავებენ ადგილებს თავისი ოცეულის ცენტრიდან ექვსი ნაბიჯით წინ; როცა ასეული და ოცეულები კოლონებად არიან მოწყობილი ან ასეული რიგშია მოწყობილი ოცეულებით მწკრივად, ოცეულების მეთაურების ადგილია ოცეულის ცენტრიდან ერთი ნაბიჯით წინ. როცა ასეული მწკრივში მიჯრილ რიგებადაა მოწყობილი, ოცეულების მეთაურები განლაგდებიან თავიანთი ქვედანაყოფებისაგან ერთი ნაბიჯით წინ, თანაბარი შუალედებით მთელი ფრონტის გასწვრივ. თუ ასეულის მეთაური არ ესწრება მოწყობას, ოცეულების მეთაურები არ შედიან მწყობრის შემადგენლობაში (ნახ.50.1).



ოფიცრის დასწრებით



ოფიცრის დასწრების გარეშე


ნახ.50.1. (ასეულების გაშლილი მწყობრი ოცეულების ხაზზე)

5. ოცეულის სერჟანტი, როცა მეთაურები ადგილზე არიან, იკავებს ადგილს ოცეულის ბოლო რიგის ცენტრიდან ერთი ნაბიჯით უკან:

ა) როცა ასეული მწყრივში ახლო ინტერვალითაა მოწყობილი, ოცეულის სერჟანტები ბოლო მწყრივიდან ერთი ნაბიჯით უკან განლაგდებიან ერთმანეთისაგან თანაბარი შუალედებით ფრონტის გასწვრივ. როცა ასეული ასეთივე მწყობრით არის მოწყობილი, ოცმეთაურების არყოფნის შემთხვევაში, ოცეულის სერჟანტები განლაგდებიან თავიანთი ქვედანაყოფებიდან ერთი ნაბიჯით წინ, ერთმანეთისაგან თანაბარი შუალედებით, პირველი მწყრივის გასწვრივ;

ბ) როცა ასეული მწყრივებადაა მოწყობილი (ოცეულები მწყრივში), ოცმეთაურების არყოფნის შემთხვევაში, ოცეულების სერჟანტები განლაგდებიან ოცეულის პირველი მწყრივის ცენტრიდან 3 ნაბიჯით წინ. როცა ასეული კოლონაშია მოწყობილი (ოცეულების კოლონებად), ოცმეთაურების არყოფნის შემთხვევაში, ოცეულების სერჟანტების ადგილია მარცხენა ფლანგის ცენტრიდან 3 ნაბიჯით გვერდზე;

გ) ოცმეთაურების გარეშე სამწყობრო სვლის დროს, როცა ასეული კოლონაშია მოწყობილი (ოცეულების კოლონებად), ოცეულის სერჟანტები რჩებიან თავიანთ ადგილებზე და უზრუნველყოფენ სვლის რიტმსა და კონტროლს თავიანთ ოცეულებში (ნახ.50.2).



ნახ. 50.2. (ასეული კოლონებად, ოცეული კოლონებად)

მუხლი 51. ასეულის მოწყობისა და გადაადგილების ძირითადი დებულებანი

1. ასეული, როგორც წესი, ეწყობა მწკრივებად, თუმცა შეიძლება გადაეწყოს კოლონებად, სადაც თითოეული მოსამსახურისთვის განსაზღვრულია პოზიცია.

2. ძირითადად, ასეული ეწყობა ისევე, როგორც ოცეული. კომანდაზე – „მოეწყვეთ“ (ახლო ინტერვალით), ოცეულები ეწყობიან მწკრივებად, სახით იმ მეთაურისაკენ, რომელიც აწყობს ქვედანაყოფს. ოცეულებს შორის დაცულია ხუთნაბიჯიანი ინტერვალი.

შენიშვნა: მწკრივში მიჯრილ რიგებად ასეულის მოსაწყობად გაიცემა კომანდა – „მწკრივში მიჯრილ რიგებად – მოეწყვეთ“. კომანდის გაცემამდე მეთაური, რომელიც აწყობს ქვედანაყოფს, მიუთითებს ინტერვალს, მწყობრის ფრონტზე მდგომი მოსამსახურეების რაოდენობას და განსაზღვრავს მიმართველ მოსამსახურეს, რომელსაც უნდა გაუსწორდნენ. ამ დროს ასეულის სერჟანტი და ოცეულის სერჟანტები მწყობრს მიჰყვებიან მარჯვენა ფლანგზე, ხოლო ასეულის მეთაური და ოცეულის მეთაურები მოძრაობენ მარცხენა ფლანგზე.

3. თუ ასეული შეიარაღებულია, მოსამსახურეები ეწყობიან კომანდაზე – „იარაღი – ქამარზე“. უსაფრთხოების მიზნით მეთაური, რომელიც აწყობს ქვედანაყოფს, კომანდების – „იარაღი მკერდზე“, „იარაღი ქამარზე“ გაცემამდე გასცემს კომანდას – „შეამონმეთ იარაღი.“ მოცემული კომანდა გაიცემა, ასევე კომანდამდე – „დაიშალეთ“.

4. როდესაც ასეულს აწყობენ სერჟანტები, სრულდება შემდეგი მოქმედებები:

ა) სერჟანტი, რომელიც აწყობს ასეულს, ღებუა ოცეულების ფრონტიდან ცენტრში 9 ნაბიჯით წინ, შემდეგ ის გასცემს კომანდას: „ახლო ინტერვალით – მოეწყვეთ“;

ბ) კომანდის შესრულებისას, ოცეულები ეწყობიან ისეთივე წესით, როგორც ოცეულის სამწყობრო სწავლებისას. ოცეულის სერჟანტი თავის ოცეულს უბრძანებს, რომ მოწესრიგდეს (თუ აუცილებელია) და გაუსწორდეს თავის მარჯვნივ მდგომ ოცეულს დადგენილი ინტერვალით. როდესაც ოცეულები მოეწყობიან, ოცეულის სერჟანტები სახით ფრონტისაკენ შემობრუნდებიან;

შენიშვნა: თუ გაცემულია კომანდა – „ახლო ინტერვალით – მოეწყვეთ“, ოცეულის მოსამსახურეები ეწყობიან ახლო ინტერვალით, ოცეულებს შორის კი შენარჩუნებულია ხუთნაბიჯიანი ინტერვალი.

გ) როცა ოცეულის სერჟანტები შებრუნდებიან სახით ფრონტისაკენ (თუ პირადი შემადგენლობა იარაღით დგას მწყობრში), პირი, რომელიც ატარებს ასეულის მოწყობას გასცემს კომანდას: „შეამოწმეთ – იარაღი“ და შემდეგ – „მოემზადეთ, იარაღი მკერდზე-ქამარზე (ფეხთან)“, ამის შემდეგ გასცემს კომანდას – „პატაკები ჩაიბარეთ“. ამ კომანდაზე ოცეულების სერჟანტები შემობრუნდებიან და იძლევიან კომანდას – „მომახსენეთ“. ათეულის მეთაურები აბარებენ მათ პატაკს, როგორც აღწერილია VII თავში. პატაკის მიღების შემდეგ ოცეულის სერჟანტები შემობრუნდებიან სახით ფრონტისაკენ, ამ დროს პირი, რომელიც ატარებს ასეულის მოწყობას, იძლევა კომანდას – „მომახსენეთ“. ოცეულების სერჟანტები აბრუნებენ თავს ასეულის სერჟანტისაკენ, აძლევენ მხედრულ სალამს და აბარებენ პატაკს თანამიმდევრულად, მარჯვნიდან მარცხნივ. როდესაც იგი ჩაიბარებს პატაკებს ოცეულების სერჟანტებისაგან, შემობრუნდება და ელოდება ასეულის მეთაურს იმ შემთხვევაში, თუ მან უნდა ჩაიბაროს ასეული. თუ ასეულის მეთაურს არა აქვს გათვალისწინებული ასეულის მიღება და შემოწმება, ასეულის სერჟანტი და ოცეულების სერჟანტები რჩებიან თავიანთ ადგილებზე და ატარებენ სამწყობრო მომზადებას.

დ) როდესაც ასეულის მეთაური შეჩერდება თავის ადგილას, პირი, რომელიც ჩაატარებს ასეულის მოწყობას, მიესალმება და აბარებს პატაკს: „ბატონო (მიუთითებს წოდებას) ყველა ესწრება“ ან ამდენი კაცი არ ესწრება“. ასეულის მეთაური, თავის მხრივ, მიესალმება და გასცემს კომანდას – „ადგილებზე“. პირი, რომელმაც ჩაატარა ასეულის მოწყობა, შემობრუნდება და მიდის თავისი ადგილისაკენ, ასეულის ბოლო რიგის ცენტრიდან სამი ნაბიჯით უკან შეჩერდება და შემობრუნდება, მედროშე გადადგამს სამ ნაბიჯს წინ. მარშირების დროს, ოცეულის სერჟანტები ბრუნდებიან მარჯვნივ და იკავებენ ადგილებს თავიანთი ოცეულების ზურგში (თუ ოცეულის მეთაური არ ესწრება, ისინი წინ გადადგამენ სამ ნაბიჯს). ოცეულის მეთაურები თავისი ოცეულის მარცხენა ფლანგზე სამწყობრო ნაბიჯით მიდიან და იკავებენ თავიანთ ადგილებს სახით მწყობრისაკენ;

ბ) როდესაც ასეულს აწყობს ასეულის მეთაური, სრულდება იგივე მოქმედებები, როგორც სერჟანტების მიერ ასეულის მოწყობისას, გამონაკლისია ის, რომ ოცეულის მეთაურები აწყობენ თავიანთ ოცეულებს. ოცეულის სერჟანტები და მედროშეები ეწყობიან თავიანთ ადგილებზე. ამ დროს კომანდის – „ადგილებზე“ გაცემა არ არის აუცილებელი.

მუხლი 52. ინტერვალის შეცვლა

1. ასეული ინტერვალს ცვლის ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც ოცეული.

2. როდესაც მეთაურს უნდა, რომ დაიცვას ახლო ინტერვალის მწყობრში და ამავე დროს შეინარჩუნოს ხუთნაბიჯიანი ინტერვალის ოცეულებს შორის, ის გასცემს კომანდას – „მიმმართველ ოცეულთან – მიიჯერ“. კომანდის მიღების შემდეგ, ოცეულის სერჟანტები შემობრუნდებიან და გასცემენ კომანდას – „პირველ-მეორეზე გაითვალეთ.“ ამ კომანდის შესრულების შემდეგ, ოცეულის სერჟანტები გასცემენ მომდევნო კომანდას – „ახლო ინტერვალით, ნაბიჯით – იარ“. მეორე, მესამე და მეოთხე ოცეულების სერჟანტები გასცემენ კომანდას – „სწორება - მარჯვნივ“, შემდეგ კი კომანდას – „ნახევარი ნაბიჯით – იარ.“ ისინი გაჩერდებიან ხუთნაბიჯიანი ინტერვალით და უსწორდებიან მარცხნივ მყოფ ოცეულს. თუ გაცივმა კომანდა – „მესამე ოცეულთან მიიჯერ“, აღნიშნული ოცეულის მარჯვნივ მყოფი ოცეულების სერჟანტები ტოვებენ თავიანთ ოცეულებს ახლო ინტერვალის მწყობრში, სწორებით

მარცხნივ. ოცეულები განაგრძობენ მარშირებას ნახევარი ნაბიჯით ხუთნაბიჯიანი ინტერვალის დაცვით, შეჩერდებიან და დგებიან ღკომში – „სწორება მარჯვნივ”.

3. ასეულის ახლო ინტერვალით მოწყობის (მწკრივებად) შემთხვევაში, მეთაურს შეუძლია ატაროს ასეული ნახევარი ნაბიჯით მოკლე დისტანციაზე (კოლონებად მოწყობისას – უფრო ნაკლებ დისტანციაზე). თუ მას სურს მარშირებისას მწყობრის გატარება სრული ნაბიჯით ახლო დისტანციაზე, ის გასცემს კომანდას – „სრული ნაბიჯით – იარ”. ამ კომანდაზე, პირველი ოცეულის სერჟანტი იძლევა კომანდას – „ოცეულო სრული ნაბიჯით – იარ”, დანარჩენი ოცეულების მეთაურები კი კომანდას – „გააგრძელეთ სვლა”. როგორც კი პირველი ოცეული იწყებს სიარულს სრული ნაბიჯით, მეორე ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „სრული ნაბიჯით – იარ”. დანარჩენი ოცეულები ასრულებენ კომანდას ისევე, როგორც მეორე ოცეული.

4. როდესაც მეთაურს სურს, რომ ასეულმა დაიკავოს ნორმალური ინტერვალი, ახლო ინტერვალიდან მწკრივში ღკომისას ხუთნაბიჯიანი ინტერვალის შენარჩუნებით, ის გასცემს კომანდას: „ძირითადი ოცეულისგან ნორმალური ინტერვალით – გაიშალეთ”. ოცეულების სერჟანტები შემობრუნდებიან და გაატარებენ თავიანთ ოცეულებს (ნახევარი ნაბიჯით). ოცეულებს შორის ხუთნაბიჯიანი ინტერვალისა და მარცხენა ოცეულზე სწორების შენარჩუნებით, ოცეულის მეთაურები (ოცეულის სერჟანტები) იძლევიან კომანდას – „პირველ-მეორეზე - გაითვალეთ”. შემდეგ კი გასცემენ კომანდას – „ნორმალური ინტერვალით ნაბიჯით – იარ.”

მუხლი 53. დისტანციის შეცვლა

1. ასეულის მარშირებისას (ნახევარი ნაბიჯით მარშირებისას, როდესაც ასეული მოძრაობს რიგებში მოწყობილი, ნორმალურ ინტერვალზე ნაკლებ დისტანციაზე) დისტანციის გასაზრდელად გამოიყენება სხვადასხვა ხერხები.

2. იმისათვის, რომ გაიზარდოს დისტანცია რიგებად მოწყობილი ასეულის ქვედანაყოფებს შორის, ნახევარი ნაბიჯით მარშირებისას ჩვეულებრივი დისტანციის მიღებამდე, გაიცემა კომანდა – „სრული ნაბიჯით - იარ”. წინასწარ კომანდაზე – „სრული ნაბიჯით”, პირველი ოცეულის სერჟანტი იმეორებს შესასრულებელ კომანდას, ხოლო ყველა მომდენო ოცეულის სერჟანტები გასცემენ კომანდას – „გააგრძელეთ სვლა”. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ” მიმართველი ოცეულის წინა რიგი აკეთებს კიდევ ერთ არასრულ ნაბიჯს და აგრძელებს სვლას სრული ნაბიჯით. ყველა დანარჩენი რიგი აგრძელებს სვლას არასრული ნაბიჯით, ვიდრე მის წინ მდგომი გაივლის სრული ნაბიჯით და 100 სმ-იანი დისტანციით დაშორდება.

3. მომდევნო ოცეულების სერჟანტები, მას შემდეგ, რაც მათ წინ მყოფი ოცეულები დაიკავებენ ჩვეულებრივ დისტანციას და დაიწყებენ სვლას სრული ნაბიჯით, გასცემენ კომანდას: „სრული ნაბიჯით - იარ”.

შენიშვნა: შეჩერების შემდეგ მეთაური გასცემს კომანდას – „ოცეულებო გაშალეთ”. ამ კომანდაზე მიმართველი ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „სრული ნაბიჯით – იარ”, ხოლო ყველა მომდევნო ოცეულის სერჟანტები – კომანდას – „ნახევარი ნაბიჯით – იარ”. კომანდის „ნაბიჯით - იარ” შესრულებისას პირველი მწკრივი მიდის სრული ნაბიჯით, ყველა დანარჩენი მწკრივები არასრული ნაბიჯით და ასრულებენ მოძრაობებს ისე, როგორც მე-2 პუნქტშია აღწერილი.

მუხლი 54. ასეულის მოწყობა ერთ ხაზზე

1. ასეულის ერთ ხაზზე მოსაწყობად მეთაური მიუთითებს ოცეულის სერჟანტებს: „უბრძანეთ თქვენს ოცეულებს მიიღონ მდგომარეობა – სწორება მარჯვნივ”:

ა) ამ მითითებაზე ოცეულის ყველა სერჟანტი შემობრუნდება. მარჯვენა ფლანგის ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „სრული ნაბიჯით – იარ”, შემდეგ კი „სწორება – მარჯვნივ”. როდესაც მარჯვენა ფლანგის პირველი რიგის მოწყობა დამთავრდება, ოცეულის სერჟანტი მარცხენა ფლანგზე

გასცემს კომანდას – „სრული ნაბიჯით – იარ“, შემდეგ კომანდას – „სწორება – მარჯვნივ“ და ასწორებს ოცეულს ერთ ხაზზე, როგორც ოცეულის მონწყობისას. შემდეგ ბრუნდება ნახევრად მარჯვნივ, მიდის თავისი ადგილისაკენ და დგება მწკრივის მარცხენა ფლანგზე მდგომი სერჟანტისაგან ერთი ნაბიჯით მარცხნივ და უსწორდება ხაზს;

ბ) პირველი მწკრივის მონწყობის შემდეგ ოცეულის სერჟანტი დგება პირველი მწკრივის ცენტრში, ბრუნდება ნახევრად მარჯვნივ, დგამს ორ მოკლე ნაბიჯს, შეჩერდება, უსწორდება მეორე მწკრივის ხაზს და აწყობს მეორე მწკრივს. მესამე და მეოთხე მწკრივის მონწყობა ხდება იმავე მეთოდით, როგორც მეორე მწკრივისა;

გ) მეოთხე მწკრივის ერთ ხაზზე გასწორების შემდეგ, ოცეულის სერჟანტი მარშირებისას თავს აბრუნებს მარცხნივ, უბრუნდება თავის ადგილს, შეჩერდება ოცეულის ცენტრში წყობის პერპენდიკულარულად, მიიღებს მდგომარეობას – „სწორება მარჯვნივ“, გასცემს კომანდას – „მოემზადეთ – პირდაპირ“ და შემობრუნდება. მეორე ოცეულის მარცხნივ მდგომი ყველა ოცეულის სერჟანტი ასრულებს იმავე მოძრაობას, როგორც მეორე ოცეულის სერჟანტი;

შენიშვნა: კომანდის – „სწორება მარჯვნივ“ გაცემის წინ, თუ საჭიროა, მიმმართველი ოცეულის მარცხნივ მდგომი ოცეულის სერჟანტები გასცემენ კომანდას – „დაიცავით ინტერვალი“. მიმართველი ათეულის (I ათეულის) მეთაური მარშირებისას იყურება მარჯვნივ და გადაადგილდება თავისგან მარჯვნივ მყოფი ოცეულის მარცხენა ფლანგისაკენ (პირველი ათეულისაკენ), შეჩერდება, შემობრუნდება, გადადგამს 5 ნაბიჯს წინ, შეჩერდება და პირით მარჯვნივ გაუსწორდება მარჯვნივ მყოფ ათეულს.

2. რიგებში ასეულის ერთ ხაზზე მოსაწყობად, მეთაური ოცეულების სერჟანტებს მიუთითებს: „უბრძანეთ თქვენს ოცეულებს გაუსწორდნენ ერთმანეთს“. ამ მითითებაზე პირველი ოცეულის სერჟანტი შემობრუნდება და გასცემს კომანდას – „გაუსწორდით“. სხვა ოცეულის სერჟანტები გასცემენ კომანდას – „ადგილებზე“. პირველი ოცეული გასწორდება ისე, როგორც ოცეულის მონწყობისას არის მითითებული. დანარჩენი ოცეულები ასრულებენ მოქმედებებს თანამიმდევრობით.

მუხლი 55. გაჯარილი და მიჯარილი მწკრივი

1. მწკრივის გაჯარისათვის მეთაური მიუთითებს ოცეულის სერჟანტებს: „თქვენმა ოცეულებმა გაჯარილ მწკრივში მიიღონ მდგომარეობა – სწორება მარჯვნივ“. ამ მითითებაზე, ოცეულის ყველა სერჟანტი შემობრუნდება. მარჯვენა ფლანგის ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „გაჯარილ მწკრივში, ნაბიჯით – იარ“. როდესაც ოცეული გაიჯარება, სერჟანტი დაუყოვნებლივ გასცემს კომანდას – „სწორება – მარჯვნივ“ და ერთ ხაზზე აწყობს ოცეულს ისე, როგორც ოცეულის მონწყობაშია აღწერილი. როდესაც მარჯვენა ოცეულის პირველი მწკრივი გასწორდება ხაზზე, მარცხენა ფლანგის ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „გაჯარილ მწკრივში, ნაბიჯით – იარ“, შემდეგ „სწორება – მარჯვნივ“ და აწყობს თავის ოცეულს. იმავე თანამიმდევრობით მოქმედებებს ასრულებენ დანარჩენი ოცეულის სერჟანტებიც.

შენიშვნა: როდესაც იარალი მიწაზეა დაწყობილი, ასეულმა შეიძლება იაროს მწყობრში რიგებად (სწორებით მარჯვნივ) ნორმალური ინტერვალით გაჯარილ მწკრივებში მოკლე დისტანციამდე. მას შემდეგ, რაც მოიხსნიან იარალს, პირი რომელიც ატარებს ასეულის მონწყობას, გასცემს კომანდას – „ნორმალური ინტერვალით – იარ“, როდესაც მოსამსახურეები მიწაზე დაწყობილ იარალთან ბრუნდებიან, გაიცემა კომანდა – „ორმაგი ინტერვალით – იარ“. ასეულის ზურგისაკენ მოძრაობისათვის უნდა გაიცეს კომანდები: „დაიშაღეთ“ და „მოეწყვეთ“.

2. მწკრივის მიჯარისათვის მეთაური მიუთითებს ოცეულის სერჟანტებს: „უბრძანეთ თქვენს ოცეულებს დადგნენ ახლო ინტერვალით მწკრივში“. ამ მითითებაზე, ოცეულის ყველა სერჟანტი შემობრუნდება ზურგისაკენ და თანამიმდევრობით, მარჯვნიდან მარცხნივ გასცემენ კომანდას – „ახლო ინტერვალით მწკრივში, ნაბიჯით – იარ“. ოცეულები ასრულებენ იმავე მოქმედებებს, რაც აღწერილია ოცეულის

მოწყობაში. მას შემდეგ, რაც მოქმედებები დასრულდება, ოცეულის სერჟანტები შემობრუნდებიან სახით ფრონტისაკენ.

მუხლი 56. კოლონის მარშირების მიმართულების შეცვლა

1. ასეული მოძრაობის მიმართულებას იცვლის ძირითადად ისევე, როგორც ათეული და ოცეული. ამ დროს გაიცემა კომანდა – „რიგო, მარჯვენა მხრით წინ (მარცხენა მხრით წინ), რიგო, ნახევარი ბრუნით მარჯვნივ (მარცხნივ), ნაბიჯით - იარ“.

2. კოლონის მარშირებისას, მიმმართველი ოცეული ან ათეული არის ის ქვედანაყოფი, რომელიც დგას ფლანგზე მოხვევის მიმართულებით.

3. როდესაც ასეული გაჩერებულია, ოცეულის სერჟანტი იმეორებს მეთაურის მოსამზადებელ კომანდას, მიმმართველი ოცეულების სერჟანტები კი გასცემენ დამატებით კომანდას – „წინ“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ მიმმართველი ოცეული ასრულებს მოქმედებებს, რაც აღწერილია ოცეულის მოწყობაში; მომდევნო ოცეულები ასრულებენ მოქმედებებს ოცეულის სერჟანტების კომანდებზე დაახლოებით იმავე ადგილზე.

4. მარშირების დროს, მოქმედებები სრულდება ისევე, როგორც შეჩერების დროს, იმ განსხვავებით, რომ მიმმართველი ოცეულის სერჟანტი გასცემს დამატებით კომანდას – „გააგრძელეთ სვლა“, ნაცვლად კომანდისა – „წინ“.

5. ასეული კომანდას – „ზურგისაკენ“ ასრულებს იმავე თანამიმდევრობით, როგორც ოცეული.

6. შეჩერების შემდეგ, როდესაც ასრულებენ კომანდას – „მოპირდაპირე რიგო - იარ“, მიმმართველი ოცეულის სერჟანტი იმეორებს წინასწარ კომანდას, მომდევნო ოცეულების სერჟანტები გასცემენ დამატებით კომანდას – „წინ“:

ა) შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ მიმმართველი ოცეული მოქმედებს ისე, როგორც აღწერილია ოცეულის მოწყობაში. მომდევნო ოცეულები ასრულებენ მოქმედებებს ოცეულის სერჟანტის კომანდაზე დაახლოებით იმავე ადგილას;

ბ) როდესაც მოქმედება სრულდება მარშირებისას, შესასრულებელი კომანდა გაიცემა მაშინ, როდესაც მარცხენა ფეხი შეეხება მიწას. მოქმედება სრულდება ძირითადად ისევე, როგორც შეჩერების შემდეგ, ამასთან, მომდევნო ოცეულების სერჟანტები გასცემენ დამატებით კომანდას – „გააგრძელეთ სვლა“ და არა „წინ“;

გ) შეჩერების შემდეგ, მედროშე იღებს სწორებას მარცხნივ ან ბრუნდება მარცხნივ, გამოდის მწყობრიდან და გადაინაცვლებს მიმმართველი ოცეულის წინ, რითაც ათავისუფლებს ასეულის ზურგს;

დ) თუ მეთაური გასცემს კომანდას ცალკეულ ქვედანაყოფებში თავისი ადგილიდან, კომანდის გაცემის შემდეგ ის გაემართება თავისი ახალი ადგილისაკენ ქვედანაყოფის მარცხენა ფლანგზე. თუ ის ასეულის თავშია და იქიდან გასცემს კომანდას, ის გადაადგილდება იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც გადაადგილდება მედროშე.

მუხლი 57. ოცეულებს შორის ინტერვალის შემცირება

1. ოცეულებს შორის ინტერვალის მცირდება მხოლოდ მაშინ, როცა ასეული მოწყობილია კოლონაში ოცეულებით რიგებში და მიღებული აქვთ დგომი – „სწორება მარჯვნივ“, მეთაური და ოცეულის სერჟანტები დგანან თავიანთ ადგილებზე.

2. მეთაური ოცეულის სერჟანტებს მიუთითებს: „მიიჯერით მიმმართველ ოცეულთან“. მიმმართველი ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „დარჩით ადგილებზე“. ამის შემდეგ მიმმართველი ოცეულის სერჟანტი სწორებით მარცხნივ სამწყობრო ნაბიჯით მიდის ასეულის მწყობრის ზურგისაკენ.

3. მომდევნო ოცეულის სერჟანტს მიჰყავს თავისი ოცეული წინ და გასცემს კომანდას – „ადგილზე ნაბიჯით - იარ“. მან შესასრულებელი კომანდა „იარ“ უნდა გასცეს მაშინ, როცა ათეულების მეთაურები

სამი ნაბიჯით არიან დაშორებული წამყვანი ოცეულის ბოლო მოსამსახურისგან, რათა მომდევნო ოცეულის მოსამსახურეებმა დაიწყონ ადგილზე სვლა სწორი დისტანციიდან.

4. მოსამსახურეები ადგილზე დადიან და უსწორდებიან ერთმანეთს, რათა უზრუნველყონ ხაზზე სათანადო სწორება. მარშირებისას მოსამსახურეთა შორის ჩვეულებრივი მანძილი არის 1 მკლავის სიგრძეს პლუს 15-სმ. იმისათვის, რომ წყობა თანაბარი იყოს და არ დარჩეს ცარიელი ადგილები, ათეულების მეთაურები გადადგამენ რამოდენიმე ნაბიჯს.

5. როცა ოცეულის სერჟანტი დარწმუნდება, რომ ოცეულის ერთ ხაზზე მოწყობა სწორად განხორციელდა, ის გასცემს კომანდას - „ოცეულო - სდექ“. ამის შემდეგ იგი, სწორებით მარცხნივ, მიდის ასეულის ზურვისაკენ.

6. დანარჩენი ოცეულები მოქმედებენ ისევე, როგორც მიმმართველი ოცეული - თანამიმდევრობით ფრონტიდან ზურვისკენ. ოცეულის სერჟანტები ელოდებიან, ვიდრე მათ წინ მყოფი ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდებს: „ადგილზე ნაბიჯით - იარ“ და „პირდაპირ - იარ“.

7. ოცეულების სერჟანტები დგებიან ასეულის მწყობრის ზურგიდან ერთი ნაბიჯით უკან და ამგვარად შედიან ისინი მწყობრის შემადგენლობაში. თუ მეთაურ სურს მწკრივის ზუსტად ერთ ხაზზე გასწორება, ის გასცემს კომანდას - „გაუსწორდით ერთმანეთს“. ამ დროს იგი რჩება თავის ადგილზე და იქიდან ხელმძღვანელობს ასეულის მარშირებას.

მუხლი 58. ოცეულებს შორის მანძილის გასწორება

1. ასეულის კოლონებად მარშირებისას ან კოლონებში დგომის დროს სწორი მანძილის დასაცავად მეთაური გასცემს კომანდას - „გაუსწორდით წამყვან ოცეულს“.

2. ასეულის გაჩერების შემთხვევაში, მიმმართველი ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას - „დარჩით - ადგილებზე“, მომდევნო ოცეულების სერჟანტები კი კომანდას - „პირდაპირ, ნაბიჯით - იარ“, ამის შემდეგ, გაიცემა კომანდა - „ადგილზე, ნაბიჯით - იარ“, ხოლო როცა უკვე სწორი დისტანციაა დაკავებული, კომანდას - „ოცეულო - სდექ“.

3. მარშირებისას, მითითებაზე: „გაუსწორდით მიმმართველ ოცეულს“, მიმმართველი ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას - „ნახევარი ნაბიჯით - იარ“, მომდევნო ოცეულების სერჟანტები გასცემენ კომანდას - „გააგრძელეთ სვლა“, ხოლო როგორც კი დაიკავენ სწორ დისტანციას, კომანდას - „ნახევარი ნაბიჯით იარ.“

4. მეთაური კომანდებს: „პირდაპირ ნაბიჯით - იარ“ და „სდექ“ გასცემს მას შემდეგ, რაც ყველა ოცეული აღიდგენს სწორ დისტანციას და გადავა ნახევარი ნაბიჯით მარშირებაზე.

მუხლი 59. ორ რიგად მოწყობა და გადანწყობა

1. ასეული ეწყობა ორ რიგად ისევე, როგორც ოცეული. ოცეულის სერჟანტები შესასრულებელი კომანდის მიღებამდე გასცემენ დამატებით კომანდებს:

ა) ამ მოქმედების შესასრულებლად გაიცემა კომანდა - „მარჯვნიდან (მარცხნიდან) ორ რიგად, ნაბიჯით - იარ“. მიმმართველი ოცეულის სერჟანტი იმეორებს წინასწარ კომანდას, ხოლო დანარჩენი ოცეულების სერჟანტები გასცემენ დამატებით კომანდას - „დარჩით - ადგილებზე“;

ბ) კომანდაზე - „იარ“ მიმმართველი ოცეული ასრულებს მოქმედებას ისე, როგორც ოცეულის მოწყობაშია მითითებული. დანარჩენი ოცეულები ასრულებენ მოქმედებას თავიანთი სერჟანტის კომანდაზე. მომდევნო ოცეულების სერჟანტები გასცემენ კომანდას იმის გათვალისწინებით, რომ დაკულ იქნეს დადგენილი ხუთნაბიჯიანი დისტანცია ოცეულებს შორის.

2. ოთხ რიგად გადანწყობა ხდება მხოლოდ შეჩერების დროს. ამისათვის გაიცემა კომანდა - „მარცხნიდან ოთხ რიგად, ნაბიჯით - იარ“. შესასრულებელ კომანდაზე ყველა ოცეული ასრულებს მოქმედებას ერთდროულად, როგორც ეს ოცეულის მოწყობისას არის აღწერილი. როგორც კი

ოცეულები გადაეწყობიან, ოცეულის სერჟანტები მაშინვე ავტომატურად წაიყვანენ ოცეულებს წინ და ოცეულებს შორის დაიკავენ დადგენილ ხუთნაბიჯიან დისტანციას.

მუხლი 60. ასეულის მონყობა მწკრივებად ახლო ინტერვალით (მთლიანი მონყობა)

1. ასეული, ასეულის კოლონაში მონყობიდან (ოცეულები კოლონებად) ან მარშირებისას, შეიძლება გადაეწყოს მწკრივებში ახლო ინტერვალით. ასეული უნდა იდგეს ახლო ინტერვალით მანამ, სანამ გაიყვანა კომანდა – „ასეულო, ახლო ინტერვალით მთლიან მწყობრში მარცხნივ – მიიჭერ.“

2. შეჩერებისას, წინასწარ კომანდაზე – „ასეულო, ახლო ინტერვალით მთლიან მწყობრში მარცხნივ“, მიმმართველი ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „დარჩით – ადგილებზე“, ხოლო მომდევნო ოცეულების სერჟანტები გასცემენ კომანდას – „რიგო, ნახევარი ბრუნით მარცხნისა-კენ“. შესასრულებელ კომანდაზე – „მიიჭერ“, მიმმართველი ოცეული რჩება ადგილზე, ხოლო დანარჩენი ოცეულები ასრულებენ კომანდას – „რიგო, ნახევარი ბრუნით – მარცხნისა-კენ“ და შემდეგ – „რიგო, ნახევარი ბრუნით მარჯვნისა-კენ“ ისე, რომ როდესაც შეჩერდებიან, თითოეული ოცეული მიჯრილი იქნება მარჯვნივ მყოფ ოცეულთან. როდესაც ოცეულები გაუსწორდებიან მიმმართველ ოცეულს, ოცეულების სერჟანტები გასცემენ კომანდას – „ადგილზე, ნაბიჯით – იარ“. სანამ ოცეული ადგილზე მარშირებს, ოცეულის შემადგენლობაში მყოფი მოსამსახურეები მათ მარჯვნივ მდგომ მოსამსახურეებს ერთ ხაზზე უსწორდებიან. ოცეულის მეთაურები მოსამსახურეებს ადგილზე ნაბიჯით სიარულს რვა თვლამდე აღროვებენ და შემდეგ გასცემენ კომანდას – „ოცეულო - სდექ“.

3. მარშირებისას წინასწარი კომანდა – „ასეულო, ახლო ინტერვალით მთლიან მწყობრში მარცხნივ – მიიჭერ“ გაიყვანა მარცხენა ფეხის მიწაზე დადგმისთანავე, შემდეგ მიმმართველი ოცეულის სერჟანტი გასცემს დამატებით კომანდას – „ადგილზე, ნაბიჯით – იარ“, მომდევნო ოცეულების სერჟანტები კი კომანდას – „რიგო, ნახევარი ბრუნით მარცხნისა-კენ“. კომანდაზე – „იარ“ მიმმართველი ოცეული იწყებს ადგილზე სიარულს, დაახლოებით 8 თვლის შემდეგ მიმმართველი ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „ოცეულო - სდექ“, დანარჩენი ოცეულები ეწყობიან ისევე, როგორც ადგილზე დგომისას.

შენიშვნა: თუ ოცეულის სერჟანტები მოძრაობენ მწყობრში თავიანთი ოცეულების მარცხენა ფლანგზე, მათ უნდა დაიცადონ სანამ მათ წინ მიმავალი ოცეულის სერჟანტები არ გასცემენ კომანდას – „სდექ“ და არ გადაადგილდებიან ასეულის წინ და მხოლოდ ამის შემდეგ იკავებენ თავიანთ ადგილებს.

მუხლი 61. ასეულის გასწორება მწკრივში ახლო ინტერვალით

1. ასეულის მწკრივში ახლო ინტერვალით გასასწორებლად, გაიყვანა კომანდა – „ახლო ინტერვალით, სწორება მარჯვნივ“.

2. კომანდაზე – „სწორება მარჯვნივ“ მარჯვენა ფლანგზე მდგომი ოცეულის სერჟანტი მიდის მარჯვენა ფლანგისაკენ და ამოწმებს იმდენ მწკრივს, რამდენიც საჭიროა, რათა უზრუნველყოს მწყობრის სწორად მონყობა ისეთივე წესით, როგორც ოცეულში. როდესაც დაამთავრებს შემოწმებას, ის უბრუნდება თავის ადგილს მესამე ათეულის ცენტრიდან ერთი ნაბიჯით წინ, შეჩერდება და მიიღებს დგომს – „სწორება მარჯვნივ“. ოცეულის სერჟანტები უსწორდებიან ერთმანეთს მარჯვნივ თანაბარი ინტერვალებით. ამის შემდეგ, მეთური გასცემს კომანდას – „მოემზადეთ – პირდაპირ“.

მუხლი 62. მარშირების მიმართულების შეცვლა ასეულის მწკრივში ახლო ინტერვალით რიგებად მონყობის დროს

1. ასეული მარშირების მიმართულებას იცვლის ძირითადად ისევე, როგორც ოცეული კოლონაში გადაადგილებისას.

2. როდესაც შესრულდება კომანდა – „სდექ“, მეთაური გასცემს კომანდას – „იარალი მარჯვენა მხარზე“ (თუ შეესაბამება), შემდეგ მიბრუნდება სასურველი მიმართულებით, თავს მიაბრუნებს მწყობრისაკენ და გასცემს კომანდას – „მარჯვენა (მარცხენა) მხრით, წინ ნაბიჯით – იარ“:

ა) შესასრულებელ კომანდაზე „იარ“, ოცეულის მეთაურები აბრუნებენ თავს ნახევრად მარჯვნივ (მარცხნივ) და აგრძელებენ გადაადგილებას „მარჯვენა (მარცხენა) მხრით წინ“, სანამ სასურველი მიმართულების პარალელურად არ დადგებიან, შემდეგ გადადიან ნახევარი ნაბიჯით მარშირებაზე, სწორებით მარჯვენა ფლანგისაკენ, სანამ გაიყვანა კომანდა – „პირდაპირ“;

ბ) მარჯვენა (მარცხენა) მიმმართველი (მიმმართველი ათეულის მეთაური ბრუნვის მიმართულებით) სწორებით მარჯვნივ (მარცხნივ) სვლისას გადადგამს ერთ სრულ ნაბიჯს მითითებული მიმართულებით და გადადის ნახევარი ნაბიჯით მარშირებაზე. დანარჩენი ათეულების მეთაურები (წინა მწკრივში) თავს ნახევრად მარჯვნივ (მარცხნივ) აბრუნებენ და აგრძელებენ სვლას „მარჯვენა (მარცხენა) მხრით, წინ“, სანამ მიმმართველს ერთ ხაზზე გაუსწორდებიან;

გ) ამ დროს ისინი იწყებენ მარშირებას ნახევარი ნაბიჯით და სწორდებიან ბრუნვის მიმართულებით, ვიდრე მიიღებენ კომანდას – „პირდაპირ“, ამ დროს სწორება ავტომატურად ხდება მარჯვნივ, ყველა სხვა მოსამსახურე მიდის წინ და ასრულებს მოძრაობას ისევე, როგორც მათი ათეულის მეთაურები.

3. მარშირებისას მიმართულების შეცვლა სრულდება ისეთივე მოქმედებებით, როგორც ადგილზე დგომისას, იმ განსხვავებით, რომ მეთაური შემობრუნდება და უკან სვლით გასცემს კომანდას – „მარჯვენა (მარცხენა) მხრით, წინ – იარ“, შემდეგ ის მობრუნდება მარჯვნივ და თვითონაც ამთავრებს მოძრაობას. მას შემდეგ, რაც ასეული დაამთავრებს ბრუნს, შემობრუნდება, გასცემს კომანდას – „პირდაპირ“ და ისევ მიბრუნდება.

მუხლი 63. ასეულის გადანყოფა მწკრივში ახლო ინტერვალით მიჯრილი რიგებიდან კოლონაში

1. ასეულის გადანყოფა მწკრივში ახლო ინტერვალით მიჯრილი რიგებიდან კოლონაში, სრულდება კომანდაზე – „ოცეულების რიგებში, მარჯვენა ოცეულის რიგო, მარჯვნივ (ნახევრად მარჯვნივ) ნაბიჯით – იარ“, მარჯვენა ოცეულის მეთაური გასცემს დამატებით კომანდას – „პირდაპირ“ (კოლონა მარჯვნივ ან კოლონა ნახევრად მარჯვნივ), ხოლო დანარჩენი ოცეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „დარჩით ადგილებზე“.

2. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მარჯვენა ოცეული მიდის მითითებული მიმართულებით, სხვა ოცეულები თანამიმდევრობით მიჰყვებიან მას კომანდაზე – „რიგო, ნახევრად მარჯვნივ“ ან „რიგო, ნახევრად მარცხნივ“.

3. მარშირებისას მეთაური გასცემს კომანდას – „იარალი მკერდზე“ და შემდეგ კი კომანდას – „ოცეულების რიგში, მარჯვენა ოცეულო, სირბილით იარ“. წინასწარი კომანდის შემდეგ მარჯვენა ოცეულის მეთაური გასცემს დამატებით კომანდას – „სირბილით“. დანარჩენი ოცეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „განაგრძეთ სვლა“, ხოლო შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მარჯვენა ოცეული მიდის სირბილით, დანარჩენი ოცეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „რიგო, ნახევრად მარჯვნივ, სირბილით – იარ“. ამ კომანდაზე ოცეულები მიმმართველი ოცეულის კოლონასთან მიჰყავთ.

4. ოცეულის მეთაური და ოცეულის სერჟანტი იცვლიან ადგილებს დამატებითი კომანდის შემდეგ, შესასრულებელ კომანდამდე.

მუხლი 64. ასეულის მონყოფა კოლონებში ოცეულების მწკრივებად და გადანყოფა

1. ასეულის მონყოფა კოლონაში ოცეულების მწკრივებად და გადანყოფა სრულდება კომანდაზე – „ოცეულების რიგო, მწკრივში ნაბიჯით – იარ“. მიმმართველი ოცეულის მეთაური გასცემს დამატებით კომანდას – „დარჩით ადგილებზე“, მეორე ოცეულის მეთაური – დამატებით კომანდას – „რიგო, მარჯვნივ“, ხოლო დანარჩენი ოცეულების მეთაურები კი გასცემენ დამატებით კომანდას – „პირდაპირ“.

2. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“ მიმმართველი ოცეული დგას ადგილზე, მეორე ოცეული ასრულებს კომანდას – „რიგო, მარჯვნივ“, გადადგამს 12 ნაბიჯს, ჩაუვლის პირველ ოცეულს მარჯვენა მხრიდან და ასრულებს კომანდას – „რიგო, მარცხნივ“, როგორც კი ისინი გაუსწორდებიან მიმმართველ ოცეულს ხაზზე, ოცეულის მეთაური გასცემს კომანდას – „ადგილზე, ნაბიჯით – იარ“. ამ დროს, ოცეული ადგილზე დადის, 8 თვლის შემდეგ მეთაური გასცემს კომანდას – „ოცეულო სდექ“. მომდევნო ოცეულები კომანდაზე – „რიგო, მარჯვნივ“, ბრუნდებიან დაახლოებით იმავე ადგილას, სადაც მათ წინ მყოფმა ოცეულმა შეასრულა იგივე კომანდა, შემდეგ მეთაური გასცემს კომანდას – „რიგო, მარცხნივ“ და შეჩერდებიან ისევ, როგორც მეორე ოცეული. როდესაც ოცეულები გაჩერდებიან ადგილებზე, მეთაური, რომელიც ატარებს ასეულის მოწყობას, გასცემს კომანდას – „მარცხნივ, სწორდით“. ამ კომანდაზე, ოცეულების მეთაურები და სერჟანტები სიარულის დროს სწორდებიან და იკავებენ თავიანთ ადგილებს.

3. მარშირებისას გადაწყობა სრულდება ისევე, როგორც ადგილზე დგომისას. ამ შემთხვევაში, მეთაური გასცემს შესასრულებელ კომანდას მარჯვენა ფეხის დადგმისთანავე. მიმმართველი ოცეულის მეთაური გასცემს კომანდას – „ადგილზე ნაბიჯით – იარ“, მეორე ოცეულის მეთაური – წინასწარ კომანდას – „რიგო, მარჯვნივ“, ხოლო მომდევნო ოცეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „განავრძეთ სვლა“. შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მიმმართველი ოცეული იწყებს ადგილზე სიარულს (დაახლოებით 8 თვლამდე), ამის შემდეგ, მეთაური გასცემს კომანდას – „ოცეულო, სდექ“. დანარჩენი ოცეულები მოქმედებებს ასრულებენ ისევე, როგორც ადგილზე დგომისას.

4. იმისათვის, რომ ოცეულები ისევ გადაეწყონ რიგებად, მეთაური გასცემს კომანდას – „სწორება მარჯვნივ“ და „მარცხენა ოცეულო ოცეულების რიგებად, ნაბიჯით – იარ“:

ა) კომანდაზე – „სწორება მარჯვნივ“ ოცეულების მეთაურები და ოცეულების სერჟანტები მარჯვნივ სწორებით მიდიან და იკავებენ თავიანთ ადგილებს კოლონაში;

ბ) წინასწარ კომანდაზე – „ოცეულების მარცხენა კოლონა“ მარცხენა ოცეულის მეთაური გასცემს კომანდას – „წინ“ (რიგო მარცხნივ, ნახევრად მარცხნივ). დანარჩენი ოცეულების მეთაურები გასცემენ კომანდას – „კოლონა, ნახევრად მარცხნისაკენ ნაბიჯით – იარ“;

გ) შესასრულებელ კომანდაზე – „იარ“, მარცხენა ოცეული ასრულებს მოძრაობას მითითებული მიმართულებით. სხვა ოცეულების მეთაურები გასცემენ შესაბამის ბრძანებებს ისე, რომ მიჰყვნენ მიმმართველ ოცეულს დადგენილ დისტანციაზე.

შენიშვნა: მეორე ოცეულის მომდევნო ოცეულები არეგულირებენ ნაბიჯის სიგრძეს საჭიროების მიხედვით, რათა დაიცვან სწორი დისტანცია წინა ოცეულის მიმართ.

მუხლი 65. ასეულის დაშლა

1. ასეულის დაშლა ხორციელდება დგომიდან – „სმენა“. მას, ჩვეულებრივ, შლის მეთაური, რომელიც ატარებს მოწყობას.

2. მეთაური იძლევა კომანდას – „ჩაიბარეთ ოცეულები.“ ოცეულის მეთაურები რიგრიგობით მხედრულად ესალმებიან მეთაურს, რომელიც მხედრული მისალმებითვე ჰასუხობს და შემდეგ ტოვებს მწყობრს.

3. ოცეულის მეთაური მობრუნდება და იძლევა კომანდას – „ოცეულის სერჟანტებო“, ოცეულის სერჟანტი სწორებით მარჯვნივ ჩაუვლის ათეულის მეთაურებს, გაჩერდება სამი ნაბიჯით წინ, ოცეულის მეთაურთან სწორებით მარჯვნივ. შემდეგ ოცეულის მეთაური მიმართავს მას: „ჩაიბარეთ ოცეული“. შემდეგ ისინი მისალმებიან და ტოვებენ მწყობრს;

4. ოცეულის სერჟანტები გამოდიან სამი ნაბიჯით წინ, შებრუნდებიან ზურგისაკენ და დაშლიან ოცეულს.

თავი X
ასეულის სამწყობრო დათვალიერება

მუხლი 65. ასეულის სამწყობრო დათვალიერების ჩატარების ძირითადი დებულებანი

1. ასეულს აქვს ერთი განსაზღვრული წყობა პირადი შემადგენლობისა და აღჭურვილობის შესამოწმებლად – ასეული მწკრივში (ოცეულებით მწკრივში). ეკიპაჟების შეიარაღებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებისას პირადი შემადგენლობა ეწყობა უკანა მხარეს.

2. შეიძლება შემოწმდეს ყაზარმაში ოცეულის პირადი შემადგენლობის განლაგება, რაც გულისხმობს მოსამსახურეთა გარეგნული იერის, ინდივიდუალური იარაღისა და საველე აღჭურვილობის შენახვისა და სანიტარული პირობების დათვალიერებას.

მუხლი 67. ასეულის შემოწმება მწკრივებში (მწკრივში მონყობა)

1. ასეულის მწკრივებში შესამოწმებლად ასეული გადაეწყობა მწკრივში.

2. ასეულის მწკრივად მოსაწყობად ოცეულის სერჟანტები იღებენ მითითებას:

ა) „მოემზადეთ შემოწმებისათვის“, რომელზეც ოცეულის სერჟანტები შემობრუნდებიან, გაჭრიან მწკრივს და ერთ ხაზზე აწყობენ ასეულს;

ბ) როცა თითოეული ოცეულის სერჟანტი დადგება პირით ასეულისაკენ, მეთაური გასცემს კომანდას – „თავისუფლად“.

3. ასეულის შემოწმების დროს, მედროშე, ოფიცრები და სერჟანტები არ დგანან მწყობრში. როდესაც მათ უახლოვდება პირი, რომელიც ატარებს შემოწმებას, ისინი დგებიან „სმენაზე“, შემოწმების შემდეგ კი უბრუნდებიან თავისუფალ მდგომარეობას (იარაღს არ ამოწმებენ).

4. როცა შემოწმებელი პირი მიუახლოვდება მარჯვენა ფლანგის ოცეულს, ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „ოცეულო, სმენა“. ხოლო როდესაც ის შეჩერდება ოცეულის პირდაპირ, მოახსენებს, რომ ოცეული მზად არის შესამოწმებლად. ოცეულის სერჟანტი და მეთაური მხედრულად ესაუბრებიან. პირი, რომელიც ატარებს შემოწმებას, ამოწმებს ოცეულის სერჟანტს და შემდეგ მიმართავს მას გაუძღვეს შემოწმების დროს, მიდის სწორებით ნახევრად მარცხნივ და ჩერდება პირველი ათეულის მეთაურის წინ. როცა უფროს სერჟანტს მარშირებისას მიღებული აქვს სწორება ნახევრად მარცხნივ, ოცეულის სერჟანტს მიღებული აქვს სწორება მარჯვნივ და ჩერდება პირველი ათეულის მეორე ჯარისკაცის წინ, ერთ ხაზზე, ნორმალური ან ახლო ინტერვალით უფროსი სერჟანტის მიმართ. დანარჩენი ოცეულების სერჟანტები, როდესაც უფროსი სერჟანტი უახლოვდება მათ ოცეულებს, ასრულებენ იმავე მოქმედებებს.

5. როგორც კი ოცეულის სერჟანტი და შემოწმებელი პირი გაჩერდებიან პირველი ორი მოსამსახურის წინ, ოცეულის სერჟანტი გასცემს კომანდას – „მეორე, მესამე და მეოთხე ათეულებო, თავისუფლად“. როდესაც ისინი შემოწმების დროს გადაადგილდებიან ერთიდან მეორე მოსამსახურესთან, მათ მიღებული აქვთ სწორება მარჯვნივ, გადადგამენ ორ მოკლე ნაბიჯს (თუ ასეული ახლო ინტერვალით არის მოწყობილი), შეჩერდებიან და მიიღებენ სწორებას მარცხნივ. თითოეული რიგის შემოწმების დაწყებისას, ოცეულის სერჟანტი მომდევნო ათეულს მიმართ გასცემს კომანდას – „სმენა“. როდესაც დაიწყება შემდეგი რიგის შემოწმება, ოცეულის სერჟანტი შემოწმებული რიგისათვის გასცემს კომანდას – „თავისუფლად“. ჩვეულებრივ, როდესაც მონმდება თითოეული რიგის ზურგი, შემოწმება ხორციელდება ჩამოვლით.

6. როდესაც შემოწმებელი პირი შეჩერდება შესამოწმებელი მოსამსახურის პირისპირ, თუ ის იარაღით დგას მწყობრში, ამოწმებს თავის იარაღს. თუ შემოწმებელს სურს პირადად შეამოწმოს იარაღი, ის ჯერ ამოწმებს იარაღს, შემდეგ მოსამსახურის ფორმას და გარეგნობას. როდესაც ის ხელს მოჰკიდებს იარაღს, მოსამსახურე ხელს უშვებს მას და დგება „სმენაზე“. როდესაც იგი დაამთავრებს შემოწმებას, იარაღს აბრუნებს იმავე წესით, როგორითაც მიიღო, ხოლო მოსამსახურე თავისი იარაღის

მიღებისას მოჰკიდებს მარცხენა ხელს საკეტის ცოტა ზემოთ, მარჯვენა ხელს კი კონდახის ქვედა მხარეს. ამის შემდეგ ასრულებს შემდეგი კომანდების შესაბამის მოძრაობებს: „მოემზადეთ“, „იარალი მკერდთან“, „იარალი ფეხთან“.

7. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებელი თვითონ არ ამოწმებს იარალს, მოსამსახურე განაგრძობს იარალის შემოწმებას მანამ, სანამ შემოწმებელი მის წინ დგას, ამის შემდეგ ის ასრულებს მოქმედებას – „მოემზადეთ, იარალი მკერდთან“ და „იარალი ფეხთან“. როდესაც შემოწმებელი გადადის შემოწმებული რიგის უკან, თითოეული მოსამსახურე, რომელსაც მიუახლოვდება შემოწმებელი ხსნის თავისი ხიშტდანის საკეტს, წვერით დაიჭერს მარცხენა ხელით და ნელა გასწევს წინ. ამ მდგომარეობაში უჭირავს ქარქაშის მოხსნამდე, ხოლო თუ ქარქაშს არ ამოწმებენ, მაშინ უჭირავს შემდგომ მოსამსახურესთან შემოწმებლის გადასაცვლებამდე. ამ დროს უსაფრთხოების ღვედი შეკრულია და მოსამსახურეს მიღებული აქვს მდგომარეობა – „სმენა“.

5. იარალის შემოწმების სწორი მეთოდი მდგომარეობს შემდეგში:

ა) პირი, რომელიც იღებს შაშხანას შესამოწმებლად, მარჯვენა ხელს ჰკიდებს სალულის ზედა ნაწილს, გადასწევს შაშხანას დიაგონალურად მარცხნივ, ცოტათი მოაბრუნებს, მიაღებს მარცხენა ხელის ნეკს საკეტის ჩარჩოს და ჩაიხედავს ლულაში;

ბ) მარცხენა ხელი უნდა ჩაეჭიდოს კონდახის ქვედა მხარეს, შაშხანა იწვევს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ლულის ტუჩით მარჯვნივ. იარალი თავსდება სხეულის ცენტრში, მკლავები ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, ხელისგულები ზევით. იარალი გადაინევა ჰორიზონტალურად მარცხნივ და მონმდება მისი ზედა ნაწილი, აღჩამქრობის ჩათვლით;

გ) პირი, რომელიც ამოწმებს იარალს, იჭერს იარალს ჰორიზონტალურად, ატრიალებს 180 გრადუსით სამიზნით მიწის ზედაპირისაკენ. გადასწევს მას ჰორიზონტალურად მარცხნივ და ამოწმებს ლულას, შემდეგ გადასწევს მარჯვნივ და შეამოწმებს კონდახს. როდესაც გადაიტანს შაშხანას სხეულის გასწვრივ, გადააბრუნებს მას და შეამოწმებს მოძრავ ნაწილებს მიმღებზე. როდესაც დაამთავრებს ქვედა ნაწილის შემოწმებას, აბრუნებს შაშხანას სხეულის ცენტრთან;

დ) პირი, რომელმაც შეამოწმა იარალი, დაიკავებს მას ჰორიზონტალურად, შეატრიალებს 180 გრადუსით, სამიზნით ზევით (სხეულიდან შორს), უშვებს მარცხენა ხელს და აბრუნებს იარალს იმავე წესით, როგორც მიიღო;

6. ოცეულის შემოწმების დასრულებისას, ოცეულის სერჟანტი ოცეულის მისამართით გასცემს კომანდას – „სმენა“ და უკან მიჰყვება შემოწმებელ პირს ოცეულის წინ; შემდეგ იკავებს თავის ადგილს სახით მწყობრისკენ. როგორც კი შემოწმებელი პირი დატოვებს პირველ ოცეულს, ოცეულის სერჟანტი შემობრუნდება და გასცემს კომანდებს: „ახლო ინტერვალით მიჯრილ რიგებად ნაბიჯით – იარ“ და „თავისუფლად“. ამის შემდეგ, თვითონაც შემობრუნდება და მიიღებს დგომს – „თავისუფლად“. როდესაც დამთავრდება ბოლო ოცეულის შემოწმება, შემოწმებელი მხედრულად მიესალმება ამ ოცეულის სერჟანტს, უბრუნდება თავის ადგილს ასეულის ცენტრში და გასცემს კომანდას – „სმენა“; ამის შემდეგ ის დაშლის ასეულს.

7. ზემდგომი პირის მიერ ასეულის შემოწმებისას, ასეულის მეთაური (მოსამსახურე, რომელიც ასრულებს მის ფუნქციას) მისი მიახლოებისას გასცემს კომანდას – „ასეულო სმენა“. ამის შემდეგ იგი მიბრუნდება ზურგისაკენ, მიესალმება შემოწმებელს და მოახსენებს – „ბატონო (შესაბამისი წოდება) ასეული მზად არის შემოწმებისათვის“. შემოწმება ხდება ამ თავით დადგენილი წესით. ასეულის მეთაური იკავებს ადგილს შემოწმებელი პირის მარცხნივ. ასეულის მეთაური შემოწმებას დაამთავრებს ისევე, როგორც ეს მითითებულია ოცეულის სერჟანტისათვის.

თავი XI მხედრული მისალმება

მუხლი 68. მხედრული მისაღმების წესი

1. მოსამსახურე, რომელსაც აცვია სპეციალური ფორმის ტანსაცმელი, მისაღმებას ახდენს მხედრული წესით. პირველად მიესალმება თანამდებობრივად დაქვემდებარებული ან/და უფრო დაბალ თანამდებობაზე მყოფი მოსამსახურე. თანაბარი თანამდებობის მქონე მოსამსახურეთაგან პირველი მიესალმება წოდებით ქვემდგომი, ხოლო თანაბარი წოდების მქონე მოსამსახურეთა შემთხვევაში - ასკით უმცროსი.

შენიშვნა: ეს დებულება გამოიყენება, თუ არ არის დადგენილი კონკრეტულ შემთხვევებში მხედრული მისაღმების განსხვავებული წესი.

2. მხედრულად მისაღმება სავალდებულოა:

ა) საქართველოს ან სხვა ქვეყნების ეროვნული ჰიმნების შესრულების დროს;

ბ) ეროვნული დროშის აღმართვა-დაშვებისას;

გ) საქართველოს პრეზიდენტის საპატივსაცემოდ (მათ შორის გაადგილების სვლა-გეზზე, იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი გეგმის მიხედვით მოსამსახურე დგას სახით გზისკენ ან მოძრაობის შესაბამისი მიმართულებისკენ);

დ) პატივისცემა ცერემონიის დროს და შესაბამისი სიგნალის გაცემისას;

ე) ფიცის დადებისას;

ზ) პატაკების ჩაბარებისას ან მიმართვით წარდგომისას;

თ) სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების და მათზე ზემდგომ თანამდებობის პირების მისაღმებისას;

ი) მწყობრში დგომისას, ამ წესდებით დადგენილი წესით.

3. მოსამსახურე შეიძლება მხედრულად მიესალმოს თანამდებობრივად სხვა ზემდგომ პირს ან სხვა მოსამსახურეს, რომლებიც მხედრულადვე უპასუხებენ, თუ ისინი იმყოფებიან უნიფორმაში. სხვა შემთხვევაში ისინი უპასუხობენ სიტყვიერად, ხელის ჩამორთმევით ან თავის დაკვრით.

4. მხედრული მისაღმება სავალდებულო არ არის:

ა) შენობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსამსახურე აბარებს პატაკს;

ბ) არაპრაქტიკულ გარემო პირობებში (საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის დაწესებულებებში და სხვა), როდესაც მხედრული წესით მისაღმებისათვის გარემოება აშკარად შეუფერებელია, მოსამსახურეები ერთმანეთს თავის დაკვრით, ხელის ჩამორთმევით ან სიტყვიერად მიესალმებიან;

გ) როდესაც მოსამსახურეებს არ აცვიათ სპეციალური ფორმის ტანსაცმელი.

5. მხედრული მისაღმება არ ხდება საბრძოლო დავალების შესრულების დროს.

მუხლი 69. შენობაში პატაკის ჩაბარება

1. როდესაც მოსამსახურე აბარებს პატაკს ხელმძღვანელ პირს სამუშაო ოთახში, იგი მოიხდის ქედს, კარზე აკაკუნებს და შედის. უახლოვდება ორ ნაბიჯზე მის მაგიდას, ჩერდება, მიესალმება და აბარებს პატაკს. მას მარჯვენა ხელი მიღებული აქვს მარჯვენა საფეთქელზე (ასრულებს მხედრულ მისაღმებას) პატაკის დამთავრებამდე. თავის მხრივ, ხელმძღვანელი პირი (თუ მას აცვია სპეციალური ფორმის ტანსაცმელი) უპასუხობს მხედრული მისაღმებით, სხვა შემთხვევაში - 68-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

2. მოსამსახურე მხედრული მისაღმების შემდეგ ტრიალდება შესაბამის მხარეს, გადის ან ასრულებს ხელმძღვანელის შესაბამის მითითებას.

მუხლი 70. პატაკის ჩაბარება ღია ცის ქვეშ

ღია ცის ქვეშ პატაკის ჩაბარების დროს, მოსამსახურე ხელმძღვანელი პირისკენ მიდის სწრაფად, ჩერდება მისგან დაახლოებით სამი ნაბიჯის დაშორებით, მიესალმება მხედრული წესით და აბარებს პატაკს. როდესაც მას ათავისუფლებს პატაკის მიმღები, კვლავ ხდება მხედრული მისაღმების

ერთიერთგაცვლა. თუ მოსამსახურე შეიარაღებულია, მისალმებას ასრულებს იარაღით ილეთების შესრულების წესით.

მუხლი 71. მოსამსახურეთა მისალმება ტრანსპორტში

სამსახურებრივ ტრანსპორტში მყოფ მოსამსახურეთა მისალმების პრაქტიკა, არასავალდებულოდ და თავაზიანად მიიჩნევა. არ არის აუცილებელი, მოსამსახურეები მიესალმონ ერთმანეთს მხედრული წესით, თუ რომელიმე მათგანი ჩაივლის საკუთარი ტრანსპორტით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესავალდებულო მდგომარეობაში მორიგე მხედრული წესით ესალმება ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებაში მყოფ შესაბამისი თანამდებობის პირს. მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მძღოლი მოსამსახურეები მხედრულ სალაშს არ ასრულებენ.

მუხლი 72. მხედრული მისალმება სხვადასხვა ვითარებაში

1. მწყობრში ცალკეული მოსამსახურეები არ ესალმებიან ერთმანეთს მხედრული წესით, გამონაკლისია „საზეიმო დგომი“. მეთაურები, რომლებიც წარმოადგენენ მთელი მწყობრის ნაწილს, მათთან მიახლოებულ ზემდგომ პირებს მიესალმებიან დგომის – „სმენა“ მიღების შემდეგ.

2. ეროვნული ჰიმნის მოსმენის დროს, ყველა უნიფორმიანი მოსამსახურე პირველივე ნოტზე ტრიალდება დროშისაკენ, მაგრამ არა მწყობრში (თუ დროშის დანახვა შესაძლებელია), დგება „სმენაზე“ და ასრულებს მხედრულ მისალმებას. მოსამსახურეები ინარჩუნებენ მხედრული მისალმების დგომს ჰიმნის დამთავრებამდე. მოსამსახურე, რომელსაც უნიფორმა არ აცვია, მიიღებს დგომს – „სმენა“ და მარჯვენა ხელს იღებს გულზე.

3. როდესაც ეროვნულ ჰიმნს ასრულებენ შენობაში, მოსამსახურეები დგებიან სმენაზე პირით დროშისკენ ან იქითკენ, საიდანაც ჰიმნი გაისმის.

მუხლი 73. მხედრული მისალმება დროშებთან

როდესაც მოსამსახურე ჩაუვლის გაშლილ ეროვნულ დროშას, ექვსი ნაბიჯის დისტანციაზე ასრულებს მხედრულ მისალმებას და შესაბამის მდგომარეობაშია მანამ, სანამ ექვსი ნაბიჯით არ დაშორდება მას, ან კიდევ, როდესაც დროშას ოფიციალურად ჩაატარებენ მათ წინ ექვს ნაბიჯზე, ისინი ასრულებენ მხედრულ მისალმებას და ინარჩუნებენ შესაბამის მდგომარეობას მანამ, სანამ დროშა მათ ექვსი ნაბიჯით არ დაშორდება.